

უილიამ შექსპირი

იულიუს კეისარი  
მეფე ლირი  
მაკბეთი

ინგლისურიდან თარგმნა  
მანანა ანთაძემ

ტრაგედიები  
I



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი  
2017

# მეშვე ღირსი

## მოქმედი პირნი

**ლირი – ბრიტანეთის მეფე**  
**საფრანგეთის მეფე**  
**ბურგუნდიის ჰერცოგი**  
**კორნუოლის ჰერცოგი**  
**ოლბენის ჰერცოგი**  
**კენტის გრაფი**  
**გლოსტერის გრაფი**  
**ედგარი გლოსტერის ვაჟი**  
**ედმუნდი გლოსტერის უკანონო ვაჟი**  
**კარენი კარისკაცი**  
**მონუცი კაცი გლოსტერის მოიჯარე**  
**ექიმი**  
**მასხარა**  
**ოსვალდი გონერილის სტიუარდი**  
**ოფიცერი ედმუნდის ხელქვეითი**  
**რაინდი კორდილიას მხლებელი**  
**მაცნე**  
**კორნუოლის მსახურები**

**გონერილი**  
**რიგანი** ლირის ასულნი  
**კორდილია**

ლირის მხლებელი რაინდები, ოფიცრები, შიკრიკები,  
ჯარისკაცები და ამაღა  
მოქმედება ხდება ბრიტანეთში

# პირველი მოქმედება

## სურათი I

*მეფე ლირის სასახლე  
შემოდინ კენტი, გლოსტერი და ედმუნდი*

### კენტი

მე მეგონა, მეფეს ოლბენის ჰერცოგი უფრო უყვარდა, ვიდრე კორნუოლის.

### გლოსტერი

ასე გვეგონა ყველას, მაგრამ ახლა, სამეფო რომ გაანაწილა, აღმოჩნდა, რომ ორივე ჰერცოგს ერთნაირად სწყალობს. ისე ზუსტად მოზომა თითოეული წილი, როგორც არ უნდა მონდომოს რომელიმემ, სხვისი ჩემსას ვლობიაო, ვერ იტყვის.

### კენტი

ეს თქვენი შვილი ხომ არ არის, მილორდ?

### გლოსტერი

მაგის არსებობა ჩემი ბრალია, ნამდვილად. იმდენჯერ გავწითლდი ამის აღიარებით, რომ უკვე შევეჩვიე.

### კენტი

ვერ მიგიხვდით.

### გლოსტერი

სამაგიეროდ ამ ყმაწვილის დედა მიმიხვდა. უცებ დამრგვალდა და სულ მალე, ჩემო ბატონო, ბიჭს არწევდა აკვანში, ისე, რომ ქმარი არ ჰყავდა. ხვდებით, რა ცოდვა მადევს?

### კენტი

უცოდველობას ვინ ინატრებს, თუ ასეთი შედეგი იქნება.

### გლოსტერი

საქმე ისაა, რომ მე მყავს ბიჭი, კანონიერი შვილი, ამაზე ერთი წლით



უფროსი, რომელიც არა მგონია, უფრო მიყვარდეს. მართალია, ვაჟბატონი უტიფრად გამოძეცხადა, არავის მოუწვევია, მაგრამ, დედამისი ისეთი ლამაზი იყო და ამბავიც მეტად საამო გართობად მახსოვს, რა მექნა, უნდა მიმელო ეს ნაბიჭვარი. ედმუნდ, ამ კეთილშობილ ბატონს იცნობ?

**ედმუნდი**

არა, მილორდ.

**გლოსტერი**

კენტის გრაფი. გახსოვდეს, ეს ღიღებული ადამიანი ჩემი მეგობარია.

**ედმუნდი**

მზად ვარ გემსახუროთ, თქვენო ბრწყინვალეებავ.

**კენტი**

უნდა მიყვარდე, და მომიწვევს უკეთ გაგიცნო.

**ედმუნდი**

მე კი ვეცდები, ეგ სიყვარული დავიმსახურო.

**გლოსტერი**

ცხრა წელი იყო აქედან წასული. ისევ აპირებს. მეფე მობრძანდება.

*საყვირის ხმა. შემოდინა ლირი, კორნუოლი, ოლბენი, კონერლი, რივანი, კორდილია და მეფის ამაღლა*

**ლირი**

გლოსტერ, უნძე საფრანეთის მეფეს და ბურგუნდიის ჰერცოგს.

**გლოსტერი**

ანლავე, ჩემო ბატონო!

*გლოსტერი და ედმუნდი გადიან*

**ლირი**

მე კი მანამდე, თქვენ გაგიმხელთ, რა გადავწყვიტე. მომეცით რუკა. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენს სამეფოს

სამ ნაწილად ვყოფ. სიბერის ჟამს, მსურს ჩამოვიხსნა  
ეს მეტიმეტად მძიმე ტვირთი – მოვალეობა  
და მმართველობა ახალგაზრდებს გადავულოცო.  
მსუბუქად ვივლი, სამარემდე. შვილო კორნუოლ,  
და არანაკლებ საყვარელო, შვილო ოლბენი.  
ახლავე გეტყვით, თუ რას ვაძლევ, ჩემს ქალიშვილებს,  
რომ მათ არ ჰქონდეთ, მომავალში, შუღლის მიზეზი.  
დიდი ჰერცოგი ბურგუნდიის და ფრანგთა მეფე  
უმცროსი ქალის სიყვარულში მეტოქეობენ.  
ჩვენს სასახლეში ბრძანდებიან დიდი ხანია,  
პასუხს ელიან, მაგრამ ჯერ თქვენ, ჩემო შვილებო,  
სანამ დრო არის, უნდა მითხრათ (ამიერიდან  
ძალაუფლება არ მექნება. ქვეყნის მართვაზე  
უარს რომ ვიტყვი, გამგებლობა არ შემეძლება),  
რომელს გიყვარვართ უფრო მეტად, უფრო ძლიერად.  
მაგ გულუხვობის კვალობაზე მსურს რომ მოვიქცე.  
ასე გიბოძოთ საზღაური. შენ უფროსი ხარ.  
ჩემო გონიერი, ამიტომაც, შენგან დავიწყებ.

### **გონიერი**

სიტყვა ვერ შეძლებს გამოხატოს. მე თქვენ მიყვარხართ  
იმაზე მეტად, ვიდრე მიყვარს მთელი სამყარო,  
ეს თვალის ჩინი, ანდა ჩემი თავისუფლება,  
რაც ძვირფასია, ღირებული და მშვენიერი.  
მიყვარხართ ისე, როგორც მიყვარს, ალბათ სიცოცხლე,  
სავსე ღირსებით, ნეტარებით და სიტკბოებით,  
როგორც არცერთ შვილს, არასოდეს, არცერთი მამა  
არ ჰყვარებია. სუნთქვას მიკრავს ამის შეგრძნება  
და სიტყვებს ვკარავ. როგორ ვითხრათ, როგორ ავიხსნათ,  
რა დიდია ეს სიყვარული.

### **კორდილია**

*თავისთვის*

შენ, კორდილია,  
როგორ იტყობი? გიყვარდეს და, ჩემად იყავი!

### **ღირი**

აი აქედან, აქამოდღე, ეს მთა და ბარი,  
ულრან ტყეებით, საძოვრებით, შემოგარენით,  
შენ მოგაკუთვნე. ეს წყალუხვი მდინარეებით,  
შენ და ოლბენის მემკვიდრეებს გადმოგეცემათ.  
სამარადუამოდ. ახლა, რიგან! ნეტავ რას იტყვის  
მეორე შვილი და მეუღლე კორნულისა?!

### **რიგანი**

მეც ჩემს დას ვგავარ, ხომ ასეა, მამავ - ბატონო!  
და ფასიც დამდეთ ისეთივე, როგორც მისია.  
არ შემიძლია, ერთ რამეში არ გამოგიტყდეთ!  
რაც ჩამოთვალა, მომეჩვენა, რომ იყო ცოტა.  
ვერ შევადარებ თქვენს სიყვარულს ვერცერთ სიამეს,  
ჩემი ცხოვრების აზრი არის ეს სიყვარული,  
თქვენო ღირსებავ!

### **კორდილია**

*თავისთვის*

რა საბრალო ხარ, კორდილია!

თუმცაღა რატომ! მე ის მიყვარს მართლაც გულწრფელად!  
ეს კი მეტია, ვიდრე მხოლოდ სიტყვა მორთული.

### **ღირი**

ამიერიდან, შენ და მთელ შენს შთამომავლობას,  
გაძლევეთ მესამედს, დიდებული სახელმწიფოსი.  
თავისი სივრცით, შემკულობით, ეს შენი წილი,  
გონერელისას, სრულიადაც არ ჩამორჩება.  
ახლა შენ, ჩემო სიხარულო, ჩემო უმცროსო!  
და არა მცირევე, სხვათა შორის, მამის გულშია.  
შენ, ვის სინორჩეს, საფრანგეთის ვენახებისა  
და ბურგუნდიის დიდებული რძის მეპატრონე  
გვირგვინოსნები ტრფიალებით რომ შესცქერიან!  
ეს მესამედი უკეთესი გინდა, გამოდგეს?!  
შენს ღებზე მეტი რომ მიიღო, რას მეტყვი, ვისმენ!

**კორდილია**  
არაფერს.

**ლირი**  
არაფერს?

**კორდილია**  
არაფერს!

**ლირი**  
არაფერი არაფერს მოგცემს. მიდი, მითხარი!

**კორდილია**  
რა გავაკეთო, ბაგეები გული გავხადო?  
მიყვარხართ ისე, დიღო მეფევე, როგორც ვალად მღევს.  
არც უფრო მეტად, არც ნაკლებად!

**ლირი**  
რაო, რას ამბობ?  
კარგად დაფიქრდი, კორდილია, რას ლაპარაკობ,  
თუ რომ არ გინდა, შენს ბედს აქვე გამოეთხოვო.

**კორდილია**  
მე თქვენ სიცოცხლე მომანიჭეთ. თქვენ მე გამზარდეთ.  
ვიცი, გიყვარვარ მეფეო და, ვალდებული ვარ,  
თქვენი ამაგი დაგიბრუნოთ, პატივისცემით,  
სიყვარულით და მორჩილებით. როგორც ახლა თქვეს,  
ჩემს დებს თუ მხოლოდ თქვენ უყვარხართ, ქმარი რატომ ჰყავთ?  
რომ გავთხოვდები, მაშინ ქმარი, მე თქვენ გარწმუნებთ,  
გაანახვერებს ამ სიყვარულს, მოვალეობას.  
ჩემი დებივით არასოდეს არ გავთხოვდები,  
მამა მიყვარდეს ერთადერთი და სხვა არავინ.

**ლირი**  
შენ ამას მართლა გულით ამბობ?

**კორდილია**

დიახ, ასეა.

**ლირი**

ასე ნორჩი და, ასეთი გულქვა?

**კორდილია**

ასე ნორჩი, მილორდ, და ასე გულწრფელი.

**ლირი**

რახან ასეა, გულწრფელობა იკმარე მზითვად.  
ვფიცავ მე ღვთიურ შარავანდელს, დიდებული ძვის,  
ვფიცავ მე წყვილადს, და ჰეკატეს მაგიურ ძალას,  
სფეროთა ბრუნვას, მზებულობის მონაცვლეობას,  
რომ დღეის იქით, ვინმე სკვითი, ან ბარბაროსი,  
გადამთიელი, უფრო ნახავს ადგილს ჩემს გულში,  
ვიდრე შენ, ჩემო ყოფილო შვილო!

**კენტბი**

დიდებული,

მეფევე ბატონო, თქვენს ბრწყინვალეობას

**ლირი**

გაჩუქდი, კენტბ!

სჯობს ნუ ჩადგები ურჩხულსა და მის რისხვას შორის.  
ყველაზედ მეტად ეგ მიყვარდა. იმედი მქონდა,  
სულს დაველევი მაგის ალერსში. წადი, მომშორდი!  
აღარასოდეს დაგინახოს ჩემმა თვალებმა!  
მამის გულს, მისგან უარყოფილს, ახლა სამარე  
თუ დაამშვიდებს. ფრანგი მოვიდეს! გაინძერით!  
ბურგუნდიელიც მომიყვანეთ! კორნუოლ, ოლბენ,  
ჩემი ორი ქალიშვილის წილს, ესეც დაურთეთ.  
ამპარტავნობას გულწრფელობა რაკი უწოდა,  
მამინ მზითევიც ეგ იქნება! მაგით გათხოვდეს!  
თქვენ კი გადმოგცემთ ყველა ძალას, ყველა უფლებას,  
რაც გააჩნია უზენაესს მმართველს ქვეყნისას.

ჩემთვის ვიტოვებ მეფის სახელს, მეფის ღირსებას.  
ვიცხოვრებ თქვენთან, მე თითო თვით, რიგრიგობით.  
თქვენ შემინახავთ. ვიყოლიებ მხოლოდ ას რაინდს.  
შემოსავალი, განმგებლობა და სხვა ყოველი,  
თქვენს ხელთ იქნება, საყვარელო ჩემო შვილებო.  
ამის დასტურად ეს გვირგვინიც თქვენ გაიყავით!

### **კენტი**

დიდებულო, ჩემო მეფეო! მე თაყვანს გცემდი,  
ვით ქვეყნის მმართველს. მამასავით მიყვარდი მუდამ.  
ვიყავ ერთგული. ჩემს ლოცვებში გიხსენიებდი!

### **ღირი**

მოზიდულია უკვე მშვილდი, უფრთხილდი ისარს!

### **კენტი**

მიდი, მესროლე ეგ ისარი პირდაპირ გულში!  
გაგიჟებულა თურმე ღირი, ვერ გავჩუმდები!  
ეს რა ხდება, რას აკეთებ, მოხუცო კაცო.  
ძალაუფლება მლიქვნელობას ფეხქვეშ გაუბე?!  
როცა ღირსებას ასე თელავს უგუნურობა,  
პატიოსნება, ერთგულება ვერ დადუმდება.  
ასე მოქცევა, ნაჩქარევი, არ გეკადრება.  
მე შემძლია თავი დავლო, რომ უმცროს ასულს,  
სხვაზე ნაკლებად არ უყვარხარ. ეგ ჩუმად არის.  
სამაგიეროდ, უსულგულო სიცარიელე  
ხმას აგუგუნებს!

### **ღირი**

კენტი, სიცოცხლეს გამოგასალმებ!

### **კენტი**

სიცოცხლეს მუდამ სასწორზე ვდებ, თუ საჭიროა.  
ვერ შემაშინებს მე სიკვდილი, როდესაც მეფე  
საფრთხეში არის.

**ღირი**

წადი, თვალით არ დამენახო!

**კენტი**

არა, აჯობებს გაახილო ეგ შენი თვალი!  
ვინ გყავს ერთგული, დაინახე!

**ღირი**

აპოლონს ვფიცავ!

**კენტი**

ტყუილად ფიცავ, გეფიცები.

**ღირი**

*ხმალზე ხელს იღებს*  
შე მუხანათო!

**ოლბენი და კორნუოლი**

ბატონებო, დამშვიდდით!

**კენტი**

მიდი, მოკალი, შენი მკურნალი, გაალაღე  
ეგ ავი სენი. უნდა მისცე, რასაც აძლევდი,  
თორემ ვიდრემდის სული მიდგას, ყველასთან ვიტყვი,  
უსამართლო ხარ!

**ღირი**

ახლა მისმინე, შე თაყვანო!  
ამოეფარე ერთგულებას, თავს ნებას აძლევ,  
მოთხოვო მეფეს, დაარღვიოს სიტყვა მეფური  
და ჩაიდინოს ის, რაც მეფეს არ ეკადრება!  
ბედავ და ღებები, მეფესა და, მის ნებას შორის!  
მეფის ღირსებას შეურაცხყოფ! სასჯელს მიიღებ.  
მოსამზადებლად, ხუთ დღეს გაძლევ. მეექვსე დღეს კი,  
აქაურობას გაეცლები! თუ მეათე დღეს,  
შენ ვინმემ, სადმე, თვალი მოგკრა, სიკვდილი გელის!  
დროზე გამშორდი. მეფის სიტყვა, იუპიტერს ვფიცავ,  
არ შეიცვლება!

## კენტი

მშვიდობით მეფევე! უკვე დავრწმუნდი,  
აქ სიმართლისთვის აძევებენ, თავისუფლებას  
მოძებნი სხვაგან.

*კორდილიას*

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!  
სწორად ფიქრობთ და ყველაფერი გულწრფელად ბრძანეთ.

*გონერილს და რივანს*

ილაპარაკეთ ძალზე ბევრი. იმედს ვიტოვებ,  
მერე საქმითაც დაამტკიცებთ, რომ სიყვარული  
არ იზომება მხოლოდ სიტყვით. რა გაეწყობა,  
გემშვიდობებათ ახლა კენტი, აი, ამგვარად.  
უცხო მხარეშიც ვერ ვიცხოვრებ ალბათ სხვაგვარად.

*ვადის*

*დაფდაფები. შემოდინ ვლოსტერი, საფრანგეთის მეფე, ბურგუნდიის  
ჰერცოგი და მხლებლები*

## გლოსტერი

საფრანგეთის მეფე და ბურგუნდიის ჰერცოგი!

## ლირი

დიდო ჰერცოგო ბურგუნდიის, ჯერ თქვენ მოგმართავთ.  
ჩემი ქალის ხელს, ფრანგთა მეფეს, ხომ ეცილებით?  
ჰოდა, მიბრძანეთ, რას მოითხოვთ, რათა შეირთოთ  
ჩემი ასული.

## ბურგუნდიის ჰერცოგი

თქვენო უდიდებულესობავ,  
არას მოვითხოვ, იმაზე მეტს, რაც მას შეპირდით.  
უფრო ნაკლებს კი, თქვენ არ მისცემთ.

## ლირი

სწორად შენიშნეთ.  
ღიას, შევპირდი. მაგრამ მაშინ, როდესაც იგი  
მეტად ძვირფასი გახლდათ ჩვენთვის. არ დაგიმალავთ,  
ღღეს ფასი მისი შეიცვალა. აი აქა ღვას.



რასაც თქვენ ზედავთ, სულ ეს არის, რაც გააჩნია.  
ზედ დავაწონი მხოლოდ რისხვას, და მეტს არაფერს.  
იგი თქვენია, წაიყვანეთ!

### **ბურგუნდიის ჰერცოგი**

არ ვიცი რა ვთქვა

#### **ღირი**

მხოლოდ იმაზე მიპასუხეთ, იმ ქალს შეირთავთ,  
რომელსაც უკვე აღარა ჰყავს გვერდით არავინ?  
მზითვად მიჰყვება მამის წყევლა და სიძულვილი.  
წაიყვანთ თუ, აღარ წაიყვანთ?

### **ბურგუნდიის ჰერცოგი**

გთხოვთ მომიტყევოთ,  
ამ პირობებში არჩევანი არც კი არსებობს.

#### **ღირი**

რახან ასეა, თქვით უარი, რადგან გარწმუნებთ,  
რაც აბადია, უკვე იცით.

*საფრანგეთის მეფეს*

თქვენ კი, ძვირფასო,  
დიდო მეფეო, საფრანგეთის, პირდაპირ გეტყვით.  
ვინც შევიძულე, იმას თქვენ ვერ შემოგთავაზებთ.  
სხვაგან ეძებთ ღირსეული მეუღლე თქვენთვის,  
ნაცვლად ამისა. ეს საბრალლო, თვით ბუნებასაც  
აღარ მოსწონს.

### **საფრანგეთის მეფე**

საოცარია! დღემდე ზომ იყო,  
უსაყვარლესი თქვენი შვილი, თქვენი ნუგეში.  
რა ჩაიდინა კორდილიამ, რა ცოდვა ადევს,  
რომ სიყვარული, მოწყალება, თქვენი მის მიმართ,  
ასე უეცრად, მრისხანებად გადაქცეულა?!  
ან იქნებ სულაც, ისე ძლიერ, როგორც გეგონათ,  
არ გყვარებით! ვერ ვიჯერებ, რომ კორდილია  
დამნაშავეა თქვენს წინაშე.

## **კორდილია**

ჩემო მეფეო,  
მე პირფერობით, მართალია, დღეს ვერ გაამეთ,  
სიტყვას დათაფლულს, ვამჯობინებ, საქმით ვამტკიცო,  
მაინც გავბედავ! ძალიან გთხოვთ, უთხარით მეფეს  
წყრომის მიზეზი. ბიწიერი რა ჩავიდინე?  
არ შემიბღალავს მე ღირსება, არ მიცრუია,  
არც ვინ მომიკლავს. თქვენი რისხვა გამოიწვია  
მხოლოდ იმან, რომ არ ვინდომე მამებლური  
ფარისევლობით მომეხვეჭა მემკვიდრეობა,  
რომლის გარეშე, თავს ღარიბად სულ არ მივიჩნევ.  
თუ ეს ნაკლია, რაც მე ნაკლი არა მგონია,  
ამით დავკარგე მე დღეს მამა.

## **ღირი**

სჯობს არ მყოლოდი,  
თუ მამას სითბოს უფრო მეტად არ უჩვენებდი!

## **საფრანგეთის მეფე**

სხვა არაფერი? სულ ეს იყო?! მოკრძალებათა,  
როდესაც ვინმე, კი არ ამბობს, საქმით ვიმტკიცებს.  
დიდო მთავარო ბურგუნდიის, თქვენ როგორ ფიქრობთ,  
ანგარება თან სდევს სიყვარულს? არ გსურთ შეერთოთ?!  
თავადაა თავის მზითევი!

## **ბურგუნდიის ჰერცოგი**

დიდებული მეფე,  
რასაც დაპირდით, თქვენს ქალიშვილს, იმას თუ მისცემთ,  
აქვე, ახლავე, ხელს ჩავკიდებ მე კორდილიას,  
ვით ჩემს მეუღლეს.

## **ღირი**

არაფერს მივცემ! დავიფიცე!  
აზრს არ შევიცვლი!

## **ბურგუნდიის ჰერცოგი**

სამწუხაროდ, დაკარგეთ მამა!  
საქმროსაც კარგავთ!

## **კორდილია**

თქვენ ნუ სწუხართ, ბურგუნდიელო.  
ვინც სიყვარულში ქონებას ითვლის, იმ კაცს მე ქმრად  
არ ვისურვებდი.

## **საფრანგეთის მეფე**

კარგი ხარ, ჩემო კორდილია!  
თუნდაც ღარიბი და ამგვარად გაძევებული.  
დღეს უკეთ ვხედავ შენს ღირსებას, შენს სათნოებას.  
უარყოფილი ჩემთვის უფრო სასურველი ხარ.  
ჰოი, ღმერთებო, რაც უფრო მწირი გახდა მისთვის  
მამის წყალობა, უფრო უხვი მაქვს სიყვარული.  
თქვენი უმზითვო ქალი მეფევე, ჩემი ბედია!  
დელოფალია უტურფესი საფრანგეთისა  
იგი დღეიდან!. ბურგუნდიის წყალუხვი ქვეყნის  
უმდიდრეს ჰერცოგს, არ ეყოფა მთელი ქონება,  
რათა იყიდოს ჩემი განძი, ასე ძვირფასი.  
დაემშვიდობე, კორდილია, თუმც გაწყენინეს.  
რაც აქ დაკარგე, იმაზე მეტს სხვაგან მიიღებ.

## **ღირი**

რაკი ისურვე, წაიყვანე. მაშ შენი იყოს!  
ეგ ჩემი შვილი აღარ არის და დღეის იქით,  
ამ სასახლეში, არასოდეს არ დავინახო!  
ჩემგან სიყვარულს და დალოცვას ნუ ელოდები.  
გადი, მომშორდი! წამობრძანდი, ბურგუნდიელო.

*ფანფარების ხმა. გადიან ღირი, ბურგუნდიის მთავარი, კორნუოლი,  
ოლბენი, გლოსტერი და ამაღა*

## **საფრანგეთის მეფე**

კორდილია, შენს დებს მაინც გამოეთხოვე.

## **კორდილია**

მამის რჩეულნო, თვალში ცრემლით გემშვიდობებთ.  
თვითონაც იცით, კარგად გიცნობთ, რა ხართ, ვინა ხართ.  
გემუდარებით, შეეცადეთ, გიყვარდეთ მამა!

ის თქვენს უგულო სიყვარულში რჩება უჩემოდ.  
მე მომიშორა, სამწუხაროდ. თუმცა მერჩივნა  
მასთან ყოფნა, ბევრ სხვა სიამეს. ახლა მშვიდობით!

### **რიგანი**

იცი რა, ჭკუას ნუ გვარიგებ.

### **გონერლი**

შენს თავს მიხედე!  
ბელს უმაღლოდე! გაგიმართლა! ცოლად მიყავხარ!  
ახლა ეცადე, ქმარს როგორმე ასიამოვნო.  
მორჩილებაზე უარი თქვი, შენი ბრალია,  
რაც გეკუთვნოდა, სიჯიუტით თვითონ დაკარგე.

### **კორდილია**

დადგება დრო და, ცბიერება გამომჟღავნდება.  
როგორც არ უნდა შეეცადოთ, კარგად შენიღბოთ,  
ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ცხადი გახდება.  
გემშვიდობებით!

### **საფრანგეთის მეფე**

წავიდეთ ჩემო კორდილია!  
*გადიან საფრანგეთის მეფე და კორდილია*

### **გონერლი**

ახლა ერთ მნიშვნელოვან საქმეზე მინდა ვილაპარაკოთ. ორივეს  
გვეხება. მე ვფიქრობ, მამა ამაღამვე აპირებს აქედან წასვლას.

### **რიგანი**

ჰო, ალბათ ჯერ შენ წამოგყვება. მერე კი ჩემთან მობრძანდება.

### **გონერლი**

სიბერე კაცს რას უშვება, ხელავ?! ეს რა უხიაგი ვინმე გამხდარა!  
რაც ვნახეთ, ამაზე კარგად დავფიქრდეთ. ჩვენი და ზომ ყოველთვის  
ჩვენზე მეტად უყვარდა. უბრალო მიზეზის გამო გაწირა!

### **რიგანი**

სიბერე კი თავისას შვება, მაგრამ აღრეც ასეთი იყო.

### **გონერძილი**

ჰო, თავის საუკეთესო წლებშიც იცოდა ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღება. თანდათან უფრო და უფრო გაავლება. როდის რას აიხირებს, ვინ იცის!

### **რიგანი**

ჩვენზეც რომ გული აიცრუოს და ისე დაგვიპიროს მოშორება, როგორც კენტი გააგლო?!

### **გონერძილი**

საფრანგეთის მეფეც რა პატივით გაისტუმრა! გთხოვ, ერთმანეთს დაგუდგეთ გვერდით. ასე თუ გააგრძელა მბრძანებლობა, თან ხასიათიც გაუფუჭდა, რა ხეირია მაგის ანდერძში.

### **რიგანი**

მაგაზე მერე ვიფიქროთ.

### **გონერძილი**

არა ახლავე! ვიდრე გვიან არ არის!

*გაღიან*

## **სურათი II**

*ოთახი გრაფი გლოსტერის ციხე-დარბაზში  
შემოდის ედმუნდი, ხელში ბარათით*

### **ედმუნდი**

ბუნებავ, შენ ხარ ერთადერთი ქალღმერთი ჩემი!  
ვემორჩილები შენს კანონებს! რა საჭიროა  
ადამიანთა მოგონილი ადათ-წესები,  
რომელთა გამო, ყველას თვალში, სხვაგვარად ვჩანვარ.  
ჩემი ძმის მერე თორმეტი თუ თოთხმეტი მთვარით

დავიგვიანე. უკანონო ამიტომა ვარ?  
ჭკუა - გონება, გარეგნობა მე არ მაკლია,  
მსგავსად ყოველი სათნო, ქველი, დედის შვილისა.  
რის საფუძველზე შეიძლება ვინმემ თქვას ჩემზე,  
ნაბიჭვარიო. მაშ ამიხსნან, ძირი სად არის?  
ბუნებისაგან ბოძებული ლტოლვის უნარით  
და დიდი ვნებით არა ვარ განა, ჩასახული?!  
ეს არ სჯობია, მობეზრებულ, უგრძობ სარეცელს,  
სადაც იქმნება სულელების მთელი ლაშქარი?!  
რახან ასეა, შვილო ედგარ, კანონიერო,  
ჩემი გახდება, რაც კანონმა შენ მოგაკუთვნა.  
მამას ედმუნდი, ნაბიჭვარი, ისევე უყვარს,  
როგორც შვილი კანონიერი. კანონიერი.  
კარგი სიტყვაა! ჰოდა, ჩემო კანონიერო,  
თუ ამ წერილმა შეასრულა, რაც დავავალე,  
ეგ შენი ძირი კენწეროში გადაინაცვლებს.  
ჩემი დრო მოდის! გავიხარებ, ვიბედნიერებ.  
აბა, ღმერთებო, ნაბიჭვრებსაც ეცით პატივი!  
*შემოდის გლოსტერი*

### **გლოსტერი**

კენტს გაძევება მიუსაჯა! როგორ მოიქცა!  
გული ატკინა ფრანგთა მეფეს! მერე წავიდა!  
ვის დაუტოვა ეს სამეფო! რა უცებ მოხდა  
ყველაფერი. ედმუნდ, შენც იცი რამე ახალი?

### **ედმუნდი**

თქვენის ნებართვით არ ვიცი, მილორდ.

### **გლოსტერი**

ძალიან ცდილობ, გადამალო რაღაც წერილი.

### **ედმუნდი**

ახალი ამბავი არ ვიცი-მეთქი!

## გლოსტერი

რა წერილს კითხულობდი?

## ედმუნდი

არაფერს.

## გლოსტერი

არა? სასწრაფოდ კი ჩაიდუ ვკიბეში! რას მალავ თუ არაფერია. არაფერს ვინ მალავს. მიჩვენე. თუ არაფერი წერია, სათვალეც არ დამჭირდება.

## ედმუნდი

მომტიკვეთ, სერ, ჩემი ძმის წერილია. ბოლომდე წაკითხვა ვერ მოვასწარი, მაგრამ რაც ვნახე, სჯობს თქვენ არ ნახოთ.

## გლოსტერი

მომეცი წერილი!

## ედმუნდი

მოგცემთ თუ არ მოგცემთ, ორივე შემთხვევაში ნაწყენი დარჩებით. თანაც, რაც აქ წერია, არა მგონია მოგეწონოთ.

## გლოსტერი

ვნახოთ! ვნახოთ!.

## ედმუნდი

ჩემი ძმის საქციელი რომ გავამართლო, მინდა ვიფიქრო, სურს გამომცადოს.

## გლოსტერი

*კითხულობს*

*„ამდენი ხათრი და პატივისცემა მამის ასაკის მიმართ, საუკეთესო წლებს ჩაგვიმწარებს. ჩვენს ქონებას მხოლოდ სიბერეში თუ ვეღირსებით, როცა ცხოვრებით ტკბობა აღარ შეგვეძლება. სისულელეა, მოხუცი კაცის ტირანიას ეძინებოდე. არასწორია! სარგებლობს უაზრო ტრადიციით. მოდი ჩემთან, დაწვრილებით ვილაპარაკოთ. თუ მამა დაიძინებს, იძინოს, ვიდრე მე ის არ გავაღვიძო,*

*მაშინ ქონების ნახევარი საბუღალთოდ შენი იქნება და იცხოვრებ ბედნიერად, როგორც ჩემი საყვარელი ძმა. ედგარი“.*  
*რაო? - შეთქმულება?! „იბინოს, ვიდრე მე ის არ გავაღვიძოლო? ქონების ნახევარი შენი იქნებაო?“ ედგარ, ჩემო ბიჭო, ეს შენ დაწერე? შენს თავში და გულში ეს არის? როდის მიიღე წერილი? ვინ მოგიტანა?*

**ედმუნდი**

არავინ, ეშმაკურად მომიგდეს. ფანჯრის რაფაზე ვიპოვე .

**გლოსტერი**

შენი ძმის ნაწერს ჰგავს?

**ედმუნდი**

კარგი რამ ეწეროს, თავს დავდებდი, რომ ასეა, მაგრამ ახლა სჯობს ეს არ ვიფიქრო.

**გლოსტერი**

მისი ხელია!

**ედმუნდი**

ხელი მისია, მაგრამ გულს ალბათ მონაწილეობა არ მიუღია.

**გლოსტერი**

აღრე, ოღესმე, ამ თემაზე უთქვამს რაიმე?

**ედმუნდი**

არასოდეს, მილორდ. ის კი ხშირად გამიგია მისგან, რომ როცა მამა ბერდება, უმჯობესი იქნება, შვილს ღროზე დაუთმოს ქონება და თავისი მოვლა-პატრონობა დააკისროსო.

**გლოსტერი**

არამზადა! წერილში სწორედ ეს წერია. შე ნაძირალა, მხეცო, ბოროტო. არა, მძვინვარე მხეცზე უარესო! წადი, იპოვე! საპყრობილეში! სად ბრძანდება ის მოლალატე!



### **ედმუნდი**

არ ვიცი, ჩემო ბატონო, მაგრამ გავბედავ და გეტყვით, სჯობს ასე ნუ აღელდებით, ჯერ გავიგოთ, რა განზრახვა აქვს. ტყუილ-უბრალო გააფთრება თქვენს ღირსებას ჩრდილს მიაყენებს და მასაც გული ეტკინება. თავს დავლებ, ჩემმა ზმამ ეს ბარათი ჩემი თქვენდამი ერთგულების და სიყვარულის გამოსაცდელად მომწერა და არა რაიმე ბოროტი განზრახვით.

### **გლოსტერი**

ასე ფიქრობ?

### **ედმუნდი**

თუ თანახმა იქნებით, დავმალავთ ერთ აღგილას, საიდანაც გაიგონებთ, რას ვილაპარაკებთ. საკუთარი ყურით მოისმენთ და სიმართლე ცხადი გახდება. ამ საღამოსვე, დაუყოვნებლივ.

### **გლოსტერი**

ასეთი არამზადა როგორ იქნება!

### **ედმუნდი**

არა, ნამდვილად არ იქნება.

### **გლოსტერი**

ასე მოექცე მამას! მამას, რომელსაც ძალიან უყვარხარ! ო, ზეცაო!!!  
ო, დეღამიწავ! ედმუნდ, მოძებნე! მინდა გავიგო რა ხდება მის სულში.  
გემუდარები, შენებურად ბრძნულად მოიქეცი. რას არ მივცემ, ოღონდაც სიმართლე შევიტყო.

### **ედმუნდი**

ასწავე მოვძებნი. ყველა ღონეს ვიხმარ, რომ გაიგოთ, რა ხდება.

### **გლოსტერი**

ვიცი, მზისა და მთვარის ეს ბოლო დაბნელება კარგს არაფერს მოასწავებდა. ბუნების მეტყველნი სხვადასხვაგვარად ხსნიან მოვლენას, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, სამყაროს კანონი მოიშალა! სიყვარული აღარ არსებობს! არც მეგობრობა. ძმა ძმას ეყრება.

ქალაქად, სოფლად, შფოთია და არეულობა. სასახლეში ღალატი მეფობს. მამაშვილური კავშირი დაირღვევას, ამბობდნენ და აჰა, ჩემი შვილი მართლაც აღსდგა მამის წინააღმდეგ! ჩვენმა მეფემ პირიქით – საკუთარი შვილი უარყო! უკეთესი დრო გაქრა სამუდამოდ. ახლა მზაკვრობა, ვერაგობა და უამრავი მანკიერება გაგვეყვება სიცოცხლის ბოლომდე. – იპოვე ეღმუნდ, ის მოღალატე! კეთილშობილი კენტი განდევნეს! მისი ერთადერთი დანაშაული პატიოსნება იყო! – უცნაურია ეს ყველაფერი.

*გადის*

### **ეღმუნდი**

რა ბრიყვია ადამიანი! უბედურების მიზეზი თავისი თავი კი არა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები ჰგონია. თითქოს ბუნება გვაიძულებს ვიყოთ არამზადები, ქურდები, მოღალატენი. ლოთობას, სიცრუეს და ყოველგვარ მანკიერებას პლანეტების განლაგებით ვამართლებთ, ზებუნებრივ ძალთა ჩარევით ვსწნით. კაცი თავის მრუშობას ვარსკვლავებს აბრალებს. მამაჩემი დედაჩემს რომ დაუკავშირდა, ცაზე თურმე გველემპაის თანავარსკვლავედი ყოფილა! მე რომ დავიბადე, აი მაშინ, დიდი დათვის თანავარსკვლავედი იყო, ამბობენ. ამიტომ გამოვსულვარ ასეთი უხეში და ავხორცი! თუნდაც ყველაზე უბიწო ვარსკვლავს ეკიაფა იმ ღამით ცის კაბადონზე, რაც ვარ, იგივე არ ვიქნებოდი? მაშინ რა, ნაბიჭვარი არ მერქმეოდა?! ეღვარ?!

*შემოდის ეღვარი*

ესეც დროზე მოვიდა, როგორც კვანძის გახსნა ძველ კომედიაში. ახლა მჭირდება ოხვრა და წუწუნი, ვითომ ბელლამის საგიჟეთიდან გამოპარული საბრალო ტომი ვარ! – ო! ამ მზის დაბნელებამ ყირაზე დააყენა ყველაფერი! ფა, სოლ, ლა, მი.

### **ეღვარი**

რა ხდება, ეღმუნდ, რაზე ჩაფიქრებულხარ?

### **ეღმუნდი**

წინასწარმეტყველებაზე ვფიქრობ. ახლახან წავიკითხე, რისი ნიშანია ეს დაბნელება.

### **ეღვარი**

შენ მაგის გჯერა?

### **ედმუნდი**

სამწუხაროდ, მართლდება ხოლმე. ნახე, რა სიძულვილია მამასა და შვილს შორის, რა არის ამდენი ღალატი, ამბოხი, დიდებულთა და მეფეთა ავად ხსენება, მუქარა, უნდობლობა, მეგობართა გაუტანლობა, ცოლ-ქმართა შორის განხეთქილება და რა ვიცი, კიდევ რამდენი უბედურება.

### **ედგარი**

დიდი ხანია ასტრონომიით დაინტერესდი?

### **ედმუნდი**

ღაიცა, შენ ის მითხარი, მამაჩემი ბოლოს როდის ნახე?

### **ედგარი**

წუხელ.

### **ედმუნდი**

ილაპარაკეთ?

### **ედგარი**

ჰო, მთელი ორი საათი.

### **ედმუნდი**

წყნარად დაშორდით? არაფერი შეგიმჩნევია არც სახეზე, არც საუბარში?

### **ედგარი**

არაფერი.

### **ედმუნდი**

აბა გაიხსენე, რამე საწყენი ხომ არ უთხარი? ისეა შენზე გაბრაზებული, მზად არის მოგკლას. აჯობებს, ცოტა ხანს არ დაენახვო.

### **ედგარი**

ვიღაც ნაძირალამ მომიწყო რაღაც.

### **ელმუნდი**

ვშიშობ ასეა, ძმაო.. ახლა გირჩევ, მამას ერიდე. ვიდრე ცოტა არ დაწყნარდება. შედი ჩემს ოთახში. ისე ვიზამ, რომ შენი ყურით გაიგონებ, რას იტყვის. აი გასაღები. გემუდარები, არსად წახვიდე, თუ მაინც გახვალ, იარაღი თან იქონიე!

### **ელგარი**

რა იარაღი?! რას ამბობ, ძმაო!

### **ელმუნდი**

შენთვის გეუბნები. დარწმუნებული ვარ, ცუდი რამ ხდება შენს თავს. რაც ვნახე და რაც გავიგონე, იმას ვამბობ. თანაც ბოლომდე არ მითქვამს. და საერთოდ, გთხოვ, გაეცალე აქაურობას!

### **ელგარი**

ამბავს ხომ დროზე გამაგებინებ?

### **ელმუნდი**

აბა რას ვიზამ. მაგ შენს ამბავს, თვითონ მოვუვლი!

*ელგარი გადის*

გულუბრყვილოა მამაჩემი. ძმაც დავაჯერე. კეთილშობილი და სპეტაკი, ვერც კი იეჭვებს, თუ რას ვაპირებ. ეგ უაზრო პატიოსნება ჩემს მახეს უცებ გააბოვნიებს. მაშ არ მეკუთვნის თქვენი კანონით? ჩარაზულ კარს მალე გავაღებ! ყველაფერს ვიზამ და რაც მინდა, მაინც მივიღებ!

*გადის*

## **სურათი III**

*ოლბენის ჰერცოგის სასახლე*

*შემოდინ ოსვალდი, გონერული და მისი სტიუარდი*

### **გონერული**

მამაჩემმა ჩემი კარის დიდებულს მართლა გაარტყა, მასხარას საყვედური როგორ გაუბედო?

## ოსვალდი

ასეა, მაღამ.

## გონერული

რატომ ცდილობს გული მატკინოს!  
გაუთავებლად, ხან რა ხდება, ხან რას იგონებს.  
ველარ ავიტან. დავიღალე! მისი ამაღაც  
სულ თავს გავიდა. რა უნდა ქნა, ვერც ეტყვი რამეს.  
ნადირობიდან დაბრუნებულს ხმას აღარ გავცემ!  
შენ მოახსენე, თუ მიკითხავს, რომ შეუძლოდ ვარ.  
ნუ გადაყვები! ძველებურად არ ემსახურო.  
თუ რამეს იტყვის, შენ გაჩუმი, მე ვუპასუხებ.

## ოსვალდი

უკვე მობრძანდა, ქალბატონო, ხმა გავიგონე.

## გონერული

ყველას უთხარი, მეტიმეტად ცივად მოეპყრან.  
ერთი რამე თქვას, მეც ეგ მინდა! პირდაპირ ვეტყვი,  
აქ თუ არ მოგწონს, მაშინ ჩემს დას მიაკითხე-თქო.  
ვიცი ჩემი და რასაც ფიქრობს. არც ის მოითმენს  
თავხედობას და მბრზანებლობას. ძალაუფლებას  
ვინ დაუბრუნებს ჩერჩეტ მოხუცს. მორჩა, გათავდა!  
თავისი ნებით ხომ გადასცა, ვისაც უნდოდა.  
რომ ბერდებიან მერე ისევ გაბავშვდებიან.  
ხან დაუყვავებ, ხან უწყრები, როდესაც ცუდად  
მოიქცევიან. ეს განსოვდეს.

## ოსვალდი

გავიგე, მაღამ.

## გონერული

რაც შეეხება მის რაინდებს, ნურად ჩააგდებთ.  
ყველა მსახური გააფრთხილე! მიზეზს ვიპოვი,  
რომ მივახლო, რასაც ვფიქრობ. ჩემს დასაც მივწერ,  
როგორ მოიქცეს. მოემზადეთ სადილისათვის!

*კადიან*

## სურათი IV

*ისევ ოლბენის სასახლე  
შემოდის კენტი. ვადაცჟულია.*

### კენტი

თუ ხმა და კილოც შევიცვალე, ვერავინ მიცნობს.  
მაშინ იოლად ავასრულებ, რაც ჩავიფიქრე!

კენტო, გაგავდეს, მოგიშორეს, მაგრამ თუ შეძლებ,  
სწორედ იმასთან იმსახურო, ვინც გაგაძევა,  
იგი ირწმუნებს შენს სიყვარულს და ერთგულებას

*საყვირის ხმა. შემოდინან: ლირი, მისი რაინდები და მხლებლები*

### ლირი

უთხარი, ბევრი არ მალოდინონ და სადილი დროზე მომართვან!

*მხლებელი გადის*

შენ ვინა ხარ?

### კენტი

ადამიანი!

### ლირი

რას წარმოადგენ? თქვი, რას აკეთებ?

### კენტი

წარმოვადგენ იმას, რასაც თქვენი თვალით ხედავთ. იმის ერთგული ვარ, ვინც მენდობა. მიყვარს, ვინც პატიოსანია. საუბარი იმასთან მსიამოვნებს, ვინც გონიერია და ცოტას ლაპარაკობს. მაშინებს მხოლოდ განკითხვის დღე. ვიბრძვი, როცა სხვა გზას არ მიტოვებენ და არ ვჭამ თევზს.

### ლირი

მანც ვინა ხარ?

### კენტი

კაცი, რომელსაც პატიოსანი გული აქვს და მეფესავით ღარბია.

**ღირი**

თუ ისეთი ღარიბი ხარ, როგორც მეფე შეიძლება იყოს მეფის კვალობაზე, მართლა ღარიბი ყოფილხარ. რა გინდა?

**კენტი**

მინდა ვიმსახურო.

**ღირი**

ვის გინდა ემსახურო?

**კენტი**

თქვენ!

**ღირი**

იცი, ვინა ვარ?

**კენტი**

არა. მაგრამ თქვენს გარეგნობაში არის რაღაც, რაც ითხოვს, რომ ემსახურონ.

**ღირი**

ასეთი რა არის?

**კენტი**

დიდებულება.

**ღირი**

რა შეგიძლია?

**კენტი**

საიდუმლოს შენახვა შემიძლია. გაგეგზავნებით, სადაც ისურვებთ, ცხენით, ქვეითად. ამბავს შეულამაზებლად მოგიტანთ. რასაც დამავალებთ, შევასრულებ. თუ ვინმეს რამე შეუძლია, მეც შემიძლია, მაგრამ მთავარი ჩემი ღირსება ის განლაგეთ, რომ არასოდეს მიგატოვებთ.

**ღირი**

რამდენი წლის ხარ?

**კენტო**

არც ისეთი ახალგაზრდა ვარ, ქალი მხოლოდ ტკბილხმოვანებისთვის შევიყვარო და არც ისე ბებური — ყველაფერზე თვალი დავხუჭო. ორმოცდარვა წლის განლაგართ.

**ღირი**

დარჩი ჩემთან. შეგიძლია მემსახურო. თუ სადილის შემდეგაც მომეწონები, გვერდიდან არ მოგიცილებ. ეი, სადილი-მეთქი! სად არის ჩემი ბიჭი? ჩემი მასხარა? წადი, მასხარას უთხარი მოვიდეს.

*მხლებელი გადის. შემოდის ოსვალდი*

ეი, შენ! სად არის ჩემი ქალიშვილი?

**ოსვალდი**

დიდი ბოდიში.

*გადის*

**ღირი**

რაო, რა ბრძანა იმ ყმაწვილმა? მომიყვანეთ აქ ეგ ბრიყვი!

*რაინდი გადის*

სად არის ჩემი მასხარა? რა ამბავია, მთელმა სამყარომ დაიძინა?

*შემოდის რაინდი*

რა ხდება, სად არის ის არარაობა?

**რაინდი**

შემოგიტვალათ, მილორდ, რომ თქვენი ქალიშვილი შეუძლოდ ბრძანდება.

**ღირი**

თვითონ რატომ არ მეახლა არამზადა, მე ხომ დავუძახე!

**რაინდი**

სერ, თავხედურად აცხადებს, არ მივალო!

**ღირი**

არ მივალო?!



### **რაინდი**

მილორდ, არ მესმის, რა ხდება. მაგრამ ვფიქრობ, თქვენს უდიდებულესობას სათანადო პატივისცემით არ ეპყრობიან. არც მსახურები, არც ჰერცოგი და არც თქვენი ქალიშვილი.

### **ლირი**

შენც ასე ფიქრობ?!

### **რაინდი**

მომიტყვეთ, თუ ვცდები, მაგრამ ვალდებული ვარ, არ გავჩუქდე, როცა ვფიქრობ, რომ თქვენს ბრწყინვალეობას არასწორად ექცევიან.

### **ლირი**

მეც მომეჩვენა, რომ ამ ბოლო დროს, უდიერად მეკიდებიან. ჩემს თავს ვეიცხავდი, ეჭვიანობის ბრალია და არა მათი გულცივობის-მეთქი! ახლა კარგად დავაკვირდები. სად არის ჩემი მასხარა? ორი დღეა, არ დამინახავს.

### **რაინდი**

მას აქეთ, რაც გადაწყდა, რომ ჩვენი პატარა ქალბატონი საფრანგეთში უნდა წავიდეს, ძალიან დაღონებულია.

### **ლირი**

მაგაზე სიტყვა აღარ მითხრა. თვითონაც მივხვდი. წადი, ჩემს ქალიშვილს უთხარი, რომ მასთან მსურს საუბარი. შენ მასხარა მოძებნე, აქ მოვიდეს!

*ვადის მსახური. შემოდის ოსვალდი*

ბატონო ჩემო, ერთი აქეთ მობრძანდით. იცით, მე ვინა ვარ?

### **ოსვალდი**

ჩემი ქალბატონის მამა.

### **ლირი**

„ჩემი ქალბატონის მამა?!“ შე არარაობავ, მონავ, უჯიშო ძაღლო!

### **ოსვალდი**

უკაცრავად, რაც ჩამოთვალეთ, ეგ მე არცერთი არ გახლავართ.

**ღირი**

როგორ მიბედავ, თავხელო!

*ხელს გაარტყამს*

**ოსვალდი**

ხელს ნუ მირტყამთ, მილორდ!

**კენტი**

ფეხი შეიძლება, შე მდაბიო?

*ფეხს გამოსდებს და წააქცევს*

**ღირი**

მადლობელი ვარ, ყმაწვილო. მშენიერი სამსახური გამიწიე. ამიერიდან მეყვარები.

**კენტი**

აბრძანდი და გაეთრეი! მე შენ გასწავლი, ვინ ვინ არის. გასწი, გასწი! ჩქარა, თორემ ხელახლა გაზომავ აქაურობას! წადი და ჭკუას მოუხმე! აი ასე!

*კინწისკვრით გაავდებს ოსვალდს*

**ღირი**

ყოჩაღ, მეგობარო. აჰა შენ, ჯილდო სამსახურისთვის .

*აძლევს კენტს ფულს. შემოდის მასხარა*

**მასხარა**

მეც მემსახუროს. აჰა შენ ჯილდოდ ჩემი ჩაჩი.

*გაუწვდის კენტს ჩაჩს*

**ღირი**

რა ხდება, პატარა ცუღლუღო. როგორ ბრძანდები?

**მასხარა**

თქვენთვის უკეთესი იქნება, გამომართვათ ჩაჩი.

**კენტი**

რატომ, მასხარა?

### **მასხარა**

რატომ? იმიტომ რომ იმის მხარეზე ხარ, ვისაც არ სწყალობენ და როცა არ გწყალობენ, ისეთი ცივი სიო უბერავს, მაშინვე სურდო შეგეყრება. მიდი, აიღე ჩაჩი! იცი, ამ ყმაწვილმა ორი ქალიშვილი თავიდან მოიშორა, ხოლო მესამე დალოცა, არ უნდოდა, მაგრამ მაინც. ჰოდა, თუ ამას გაპყვები, ეს ჩაჩი უნდა გეხუროს. როგორ ხარ, ბიძაჩემო? ნეტავი ორი ჩაჩი მქონოდა და ორი ქალიშვილი მყოლოდა!

### **ღირი**

რატომ, ჩემო ბიჭო?!

### **მასხარა**

მთელ ჩემს ქონებას ქალებს რომ მივცემდი, ჩაჩები დამრჩებოდა. აი ეს ჩემია. მეორე შენს ქალიშვილებს მოსთხოვე.

### **ღირი**

ფრთხილად, თორემ მოგხვდება შოლტი!

### **მასხარა**

სიმართლე ქოფაკი ძალღივითაა, ურტყამენ და გარეთ აგდებენ. დამპალი ძუენა კი თბილად ბრძანდება ცეცხლთან.

### **ღირი**

მე მგესლავს!

### **მასხარა**

ბიძაჩემო, ერთი მონოლოგი მინდა გასწავლო.

### **ღირი**

აბა!

### **მასხარა**

კარგად ჩაუკვირდი:

„სჯობს მეტი გქონდეს, ეგონოთ ნაკლები.  
იცოდე ბევრი და ცოტა თქვა სათქმელი.  
შენ შენი შეინახე, სხვას მისი ამყოფინე.“

ფეხით სიარულს ცხენით ამჯობინე!  
ცოდნა გაიმრავლე, სულ მეტი ისწავლე.  
თუ ფორა არ მოგცეს, ფსონი არ ჩახვიდე.  
კარი გამოკეტე და არსად წახვიდე.  
ღვინო და ქალები ზოგჯერ ზედმეტია  
და ორჯერ ორი ოთხზედაც მეტია!“

### **კენტი**

მაგ ლექსში ბევრი არაფერი ყრია, მასხარა!

### **მასხარა**

როგორც უფასო ვეჭილის სიტყვებში. ჩემთვის არაფერი მოგიცია და არაფერი რამეს მოგცემს, ბიძაჩემო?

### **ღირი**

არა, ჩემო ბიჭო, არაფერი არაფერს მოგცემს.

### **მასხარა**

#### *კენტს*

თუ შეიძლება, მაგას თქვენ მოახსენეთ, რომ რაც მიწები დარჩა, იქიდან სწორედაც მაგდენი ექნება სარგებელი. მასხარას არ დაუჯერებს.

### **ღირი**

ენამწარე მასხარა!

### **მასხარა**

იცინო რა განსხვავებაა ენამწარე და ენატკბილ მასხარას შორის?

### **ღირი**

არ ვიცი. ამინსენი.

### **მასხარა**

შენი სამეფო სხვებს მიეციო,  
ვინაც გირჩია, მოვიდეს აქ, და  
ჩემს გვერდით დადგეს.  
ან შენ მოდი, ვითომ თვითონ ხარ.

ენამწარე და ენატკბილი ორი მასხარა!  
ერთად დგანან, გამოიცან, ვინ რომელია,  
ერთს მასხარას კაბა აცვია,  
ხოლო მეორეს არ აცვია.

### **ღირი**

მე მასხარას მიწოდებ, ბიჭო?

### **მასხარა**

აბა ყველა ტიტული, რაც მოდგმით გერგო, სხვებს დაურიგე.

### **კენტი**

ეს მასხარა სულ სულელი არ ყოფილა.

### **მასხარა**

არა, ღმერთმანი, დიდებულები როგორ დაუშვებენ, რომ მე რამე  
სულ ვიყო. მონოპოლიას ვინ მოგცემს, მაშინვე წილში ჩაგიდგებიან.  
განსაკუთრებით ქალები გაგწეწავენ. ბიძაჩემო, შენ ერთი კვერცხი  
მომეცი, სამაგიეროდ ორ გვირგვინს მოგცემ.

### **ღირი**

რომელ ორ გვირგვინს?

### **მასხარა**

რომელსა და, კვერცხს შუაზე რომ გავყოფ და გულს შევჭამ, კვერცხის  
ორი გვირგვინი დაგრჩება. ოქროს გვირგვინი გქონდა. ის გაყავი  
შუაზე და იმათ მიეცი. იმათ რაო? შენი ვირი ზურგზე აგკიდეს და  
ტალახში ასე გადიო? მაგ ცარიელ თავში ტვინი სად იყო, ოქროს  
გვირგვინს რომ აძლევდი და არაფერს არ იტოვებდი. ვინც პირველი  
იტყვის, რომ ეს მასხარაობაა, შოლტი იმას!

### *ძღერის*

მასხარები აღარ გახლავთ მოდაში,  
მათ მაგივრად მაიმუნობს ბრძენი.  
ჭკუა რაში მარგიაო, ფიქრობს და  
სულელივით სურს ატაროს დღენი.

## ღირი

როდის აქეთ შეგიყვარდა სიმღერა?

## მასხარა

მას აქეთ, რაც შენი ქალიშვილები შენს დელებად აქციე. სკიპტრა  
წკეპლად მიეცი ხელში და შარვალი თვითონ ჩაიხადე.

### *მღერის*

ისინი რომ სიხარულით ატირდნენ,  
სწორედ მაშინ, მე მწუხარე სიმღერები დავიწყე,  
„ო, რა კარგი მეფე გყავდა, ასე როგორ გაბავშვდა,  
ნეტავ ჭკუა სად დაკარგა, მასხარას დაემსგავსა“.

ბიძაჩემო, მასწავლებელი მოიყვანე, შენს მასხარას ტყუილის თქმა  
ასწავლოს. რა კქნა, ტყუილები უნდა ვისწავლო.

## ღირი

თუ ტყუილებს დაიწყებ, შოლტი მართლა არ ავცდება.

## მასხარა

შენ და შენი ქალიშვილები მალცებთ, ისინი სიმართლისთვის  
მროზგავენ, შენ ტყუილისთვის. ხან იმისთვის მირტყამთ, ჩუმად რატომ  
ხარო. მასხარად ყოფნას ყველაფერი მირჩენია, მაგრამ შენს ადგილას  
ყოფნა, ბიძაჩემო, არ მინდა. ეგ შენი ტვინი ნახევარი აქეთ მიეცი, მეორე  
ნახევარი იქით. შუაში რა არი? არაფერი! აი, ერთი ნახევარიც მოვიდა!

### *შემოდის კონერელი*

## ღირი

რა იყო, ჩემო ასულო, რამ შეგაწუხა? ამ ბოლო დროს, მოლუშული  
რატომ დადიხარ?

## მასხარა

რა ბიჭი იყავი, როცა არ ფიქრობდი, მოლუშული დადის თუ არა.  
ახლა რა ხარ თუ იცი. არაფერი. მეც კი გვჯობივარ, მე მასხარა მაინც  
ვარ, შენ ხარ არავინ.

### *კონერელს*

ღიას. ჭეშმარიტად, ენას კბილი უნდა დავაჭირო. არა, თქვენ არაფერი  
გითქვამთ. ეს თქვენს სახეზე ამოვიკითხე. ჩუ! კრინტი!

შემშლით კუჭი რომ აგეწვება,  
მაშინ მიხვდები, ვის მიეცი მთელი ქონება!

### **გონერლი**

და არა მხოლოდ ეს მასხარა, თავაშვებული,  
არამედ ყველა, ვინც კი არის შენს ამაღლაში,  
ცუდად იქცევა. აურზაურს ბოლო არ უჩანს!  
ყვირილით, ჩხუბით, სულ აიკლეს აქაურობა!  
დიდი ხანია, ვაპირებდი, რომ რამე მეთქვა.  
იმედი მქონდა, ალაგმავდი უღირს საქციელს.  
ახლა კი ვშიშობ, და საქმითაც ამტკიცებ კიდევ,  
შენს ძვირფას მხლებლებს, თან ხელს უწყობ, თანაც აქეზებ.  
ეს სამარცხვინო საქციელი თუ გაგრძელდება,  
თუ არ ინებებ, უზნეობა თავად აღკვეთო,  
იძულებული შევიქნები და შევეცდები,  
უფრო გონივრულ და ეფექტურ ხერხებს მივმართო!

### **მასხარა**

ესეც ასეო, ბიძაჩემო, ასე მოხდაო:  
როცა ბელურამ გუგულები გამოზარდაო,  
გუგულებმაო, გამზრდელს თავი მოაჭამესო..  
ჩაქრა სანთელი! ხედავ, დავრჩით, ყველანი ბნელში!

### **ღირი**

ჩემი შვილი ხარ?

### **გონერლი**

კმარა, ბატონო, სჯობს მოუხმეთ გონიერებას,  
რაც ასე უხვად მოგანიჭათ მართლაც განგებაში.  
თვითონაც იცით, რომ სხვაგვარად უნდა მოიქცეთ.  
ის აღარა ხართ, რაც იყავით!

### **მასხარა**

ვირმაც კი იცის, რას ნიშნავს, როცა ორთვალა იწყებს ცხენის მართვას.  
მიდი, გააჭენე! რა საყვარელი ხარ!

### **ღირი**

მითხარით ვინმემ, მაშ ვინა ვარ? ღირი აღარ ვარ!  
ასე საუბრობს მართლაც ღირი? ან ასე დადის?

თვალეები არ აქვს? იქნებ სძინავს, ან გონებაზე  
ალარ ბრძანდება. უნდა მითხრათ, ახლა ვინა ვარ!

### **მასხარა**

ლირის აჩრდილი!

### **ლირი**

ეს უნდა კარგად გავარკვიო. თორემ რაღაც მეფურმა ნიშნებმა,  
ლირსების გრძნობამ, მაგალითად, არ შემიყვანოს შეცდომაში და  
არ მეგონოს, რომ ოდესღაც ქალიშვილები მყავდა.

### **მასხარა**

რომლებმაც მამა მორჩილ მონად გადააქციეს!

### **ლირი**

თქვენ რა გქვიათ, მშვენიერო ქალბატონო?

### **გონერილი**

ახლა თამაში მობინდომე. ნუ ოინბაზობ!  
ძალიან გთხოვ, კარგად მისმინე. ვაპირებ გითხრა,  
რა გადავწყვიტე. იმედია, სწორად გაიგებ,  
რადგან ბრძენი ხარ, ღირსეული, თუმცა მოხუცდი.  
ის რაინდები, ასი კაცი, შენი მხლებლები,  
თავაშვებულნი ბრძანდებიან, თანაც გარყვნილნი.  
მათმა მოქცევამ სულ შეცვალა სასახლის ყოფა.  
ეს უსასრულო ღრეობები და ავნორცობა,  
თვითონაც იცი, რომ არავის არ ეკადრება.  
ნუ გადააქცევთ საროსკიპოდ აქაურობას!  
რამე ვიღონოთ, სირცხვილია. არ მინდა ვბრძანო,  
მოგმართავ თხოვნით, შეამცირე შენი ამაღა.  
მხოლოდ ისინი დაიტოვე, ვინც რომ ასაკით  
შეგეფერება. პატივს გცემენ.

### **ლირი**

შე ტარტაროზო!  
ცხენები დროზე შემიკაზმეთ! ამაღას უხმეთ!



ეს ვინ ყოფილა, ნაძირალა. ამიერიდან  
არ შეგაწუხებ. ქალიშვილი სხვაცა მყავს კიდევ.

### **გონერძილი**

ხელით ეხები ჩემს მსახურებს, ხოლო ის შენი  
ბრბოა თუ ხროვა, რას გაიგებ, ვის რას უშვება!

*შემოდის ოლბენი*

### **ღირი**

მართლაც ვაი მას, სინანულში ვინც გვიან შევა!  
აჰ, თქვენც მობრძანდით!? ეთანხმებით, რაც ახლა ხდება?  
ხმა ამოიღეთ, მიპასუხეთ, რამე მითხარით!  
ცხენები, ჩქარა! რა გულქვა ხარ, უმადურობავ,  
თანაც ბოროტი. თუ მოხდა და, შვილს შეუსახლდი,  
ურჩხულად აქცევ!

### **ოლბენი**

გთხოვთ, დამშვიდდეთ, ჩემო ბატონო!

### **ღირი**

წყეულო სვავო! როგორ ბედავ, რომ ასე ცრუობ!  
ჩემს ამაღლაში ღირსეული დიდებულები  
არიან მხოლოდ. თავის სახელს უფრთხილდებიან.  
შენი უგვანი ქცევის ფონზე არარად მოჩანს  
ის ერთი ციცქნა, კორდილიას დანაშაული,  
რომელმაც ისე გამამწარა, თავი დავკარგე.  
სად გაქრა მაშინ, სიყვარული, ჩემი გულიდან  
რომლის სანაცვლოდ სიძულვილმა დაისადგურა.  
რალას უშველი ახლა, ღირი, რამდენიც გინდა  
ირტყვი ხელი უტვინო თავში. მორჩა, წავედით!

### **ოლბენი**

ბატონო ჩემო, არაფერი ჩამიდენია.  
არ მესმის თქვენი აღშფოთება.

### **ღირი**

ჰო, შეიძლება!

კარგად მისმინეთ, თქვენ, ღმერთებო, და შენც, განგებავ!  
თუ უპირებდით ამ არსებას, შვილის მიცემას,  
უნდა სასწრაფოდ გააუქმთ ეგ განაჩენი!  
ბერწად აქციეთ, უნაყოფოდ! გადაავარეთ,  
რომ არ ეღირსოს, არასოდეს, მის ბოროტ სხეულს  
შვილის ტარების სიხარული, ბედნიერება.  
მაგრამ თუ მაინც ეყოლება, ის მოუვლინე,  
როგორც სასჯელი, როგორც ტანჯვა, აუტანელი.  
ცხარე ცრემლებმა დაუშაშხოს მუდამ ლოყები  
და აღებეჭდოს ნორჩ სახეზე დარდის ღარები.  
შვილში ვერ ჰპოვოს თანაგრძნობა. მაშინ მიხვდება,  
რომ გველის კბილზე ბევრად უფრო ბასრი ყოფილა,  
თურმე შვილის უმადურობა. შორს, შორს აქედან!

*კადის*

### **ოლბენი**

ღვთის გულისათვის, ამიხსენით, რა ამბავია!

### **გონერლი**

მიზეზის ძეგნით თავს ნუ იწუხებ. როგორც ენებოს,  
ამიერიდან, ისე მოიქცეს.

*ღირი დაბრუნდება*

### **ღირი**

ორმოცდაათი ჩემი რაინდი დაითხოვეთ?  
ამ ორ კვირაში?

### **ოლბენი**

რა ხდება სერ?!

### **ღირი**

ახლა გაიგებ.

*გონერილს*

სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია! სამარცხვინოა!  
შენ მოახერხე დამცირება ჩემი იმგვარად,  
რომ ვერ ვიკავებ შენს წინაშე მღულარე ცრემლებს,

რომელთა ღირსი შენ არა ხარ. ჭირმა წაგიღოს  
და მამის წყევლამ, დღეის იქით, ყველგან გიწიოს!  
შტერო თვალებო, თქვე ბებრებო, თუ კვლავ იტირებთ,  
მეისვე ამოგვლეჯთ მაგ ბუდიდან და ცხარე ცრემლებს  
თან გაგაყოლებთ. მიწა ნამეთ. ღიახაც, ვიზამ!  
აი სადამდე მიმიყვანეთ! მაშ ასე იყოს!  
მყავს, კიდევ ერთი, ქალიშვილი. ნამდვილად არის  
უფრო გულთბილი და კეთილი. როცა გაიგებს  
რა გააკეთე, სულ ფრჩხილებით ჩამოგიფხოვს  
მაგ მხეცის სახეს. ჩემს ღირსებას იქ დავიბრუნებ!  
შენ კი გეგონა, სამუდამოდ დამაკარგინე!

*გადიან ლირი, კენტი და ამაღლა*

### **გონერული**

ხომ გაიგონე?

### **ოლბენი**

რა ვქნა, მე შენ არ გეთანხმები!  
თუმცა მიყვარხარ.

### **გონერული**

დაწყნარდი რა! ოსვალდ, სადა ხარ!  
*მასხარას*  
შე გაიძვერა, იმ შენს ბატონს უკან გაჰყევი!

### **მასხარა**

ბიძაჩემო! ლირო, ბიძაჩემო! დაიცა, მასხარა დაგრჩა!  
ასეთი შვილის ხელში თუ მოხვდი,  
მელიაობა უკან დაგრჩება!  
ჩაჩს ჩამოკიდებს წყნარად და მშვიდად  
და ჩემი თავიც იქვე იქნება!

*გადის*

### **გონერული**

ნახე, რა კარგად მოიფიქრა, ასი რაინდი!  
დაცვა მოუნდა, გარანტია უსაფრთხოების!

ასი რაინდი მზადყოფნაში! შემთხვევით ვინმემ  
ჩვენზე რომ რამე ჩააწვეთოს, ანდა რატომღაც,  
ხომ შეიძლება მოეჩვენოს საშიშროება?!  
ყველას სიცოცხლე საფრთხეშია! ოსვალდ, სადა ხარ?!

### **ოლბენი**

ზედმეტად შიშობ!

### **გონერლი**

ეგ ჯობია ზედმეტად ნლობას.  
თავი დაცულად უნდა ვიგრძნო. სიმშვიდე მინდა.  
ვიცნობ მამაჩემს. ჩემს დას მივწერ, რა გააკეთა.  
ის თუ დათანხმდა, შეინახოს ასი რაინდით,  
მაშინ არ ვიცი... როგორც უნდა.

*შემოდის ოსვალდი*

რა ხდება, ოსვალდ?

ჩემი დისთვის წერილი მზად გაქვს?

### **ოსვალდი**

დიახ, მზად არის.

### **გონერლი**

ჰოდა, ახლავე გაემგზავრე! მარტო ნუ წახვალ.  
ჩემს დას უაპზე ყველაფერი. თქვი, რასაც ვშიშობ,  
თანაც დაურთე, რაც კი იცი... ახლა წადი და  
დროზე დაბრუნდი.

*ოსვალდი გადის*

არ გინდა რა, ეს გულჩვილობა.  
არავინ იცის, რა ჯობია, მაგრამ მერწმუნე,  
გონივრულად თუკი შევხედავთ, შესაძლო არის,  
უფრო გავკიცხო, ვიდრე ვაქო, ეგ სახიფათო  
გულმოწყალება. შორს გაიხედე.

### **ოლბენი**

მე ის არ ვიცი,

შენ რამდენად შორს იხედები, მაგრამ ხდება რომ, ცხვირწინ ვერ ვხედავთ.

**გონერძილი**

თუ ასეა

**ოლბენი**

კეთილი, ვნახოთ!  
*გაღიან*

## სურათი V

*ოლბენის სასახლესთან  
შემოღიან ლირი, კენტი და მასხარა*

**ლირი**

ჯერ გლოსტერთან მიდი. ეს წერილები მიიტანე. რაც მოხდა, იმის შესახებ ჩემს ქალიშვილს ნურაფერს ეტყვი, სანამ წერილს არ წაიკითხავს. აი მერე თუ გკითხოს რამე, უპასუხე. ახლა იჩქარე, თორემ მე მიგასწრებ.

**კენტი**

კეთილი, მილორდ. ვიდრე წერილებს არ გადავცემ, თვალს არ მოვხუჭავ.

*გაღიან*

**მასხარა**

კაცს ტვინი ქუსლებში რომ ჰქონეს, ხომ შეიძლება რაიმე დაავადება შეეყაროს?

**ლირი**

ალბათ.

**მასხარა**

ჰოდა, გიხაროდეს, ეგ აგცდა.

**ღირი**

ჰა, ჰა, ჰა.

**მასხარა**

მაღე ნახავ, მეორე ქალიშვილი რა ტკბილად მიგიღებს, რადგან ის ამას ისე ჰგავს, როგორც მაჟალო ვაშლს. რა ვქნა, რაც ვიცი, უნდა ვთქვა.

**ღირი**

ღა რა იცი, ჩემო ბიჭო?

**მასხარა**

ის, რომ ორივეს ერთნაირი გემო აქვს, ორივე მაჟალოა. ბიძაჩემო, იცი, სახეზე ცხვირი რატომ არის შუაში?

**ღირი**

არ ვიცი.

**მასხარა**

ცხვირს ორივე მხრიდან სჭირდება თვალი, თუ რამე ვერ იყნოსე, უნდა დაინახო!

**ღირი**

მე მას უსამართლოდ მოვექეცი!

**მასხარა**

ის თუ იცი, ხამანწკა ნიჟარას როგორ იკეთებს?

**ღირი**

არ ვიცი.

**მასხარა**

არც მე ვიცი. მაგრამ ლოკოკინას სახლი რატომ აქვს, ამას გეტყვი.

**ღირი**

რატომ აქვს?

### **მასხარა**

თავი რომ შეაფაროს. და არა იმიტომ, ქალიშვილებს მხარტვას და თვითონ რქებიანად გარეთ დარჩეს.

### **ღირი**

მამობრივ გრძნობებს დაევიწყებ! ასეთ კეთილ მამას?!. მზად არის ცხენები?

### **მასხარა**

ვირები წავიდნენ ცხენების მოსაყვანად. როცა ცაზე შვიდი ვარსკვლავია და მეტი არა, შვიდი რატომ არის?

### **ღირი**

იმიტომ, რომ რვა არ არის.

### **მასხარა**

ყოჩაღ. შენგან კარგი მასხარა დადგებოდა.

### **ღირი**

ძალით უნდა წაართვა უკან, ძალით! ო, ეს საშინელი უმადურობა!..

### **მასხარა**

ბიძაჩემო, შენ რომ ჩემი მასხარა იყო, მაგრად მიგტყეპავდი, დროზე ადრე რატომ დაბერდი-მეთქი.

### **ღირი**

დროზე ადრე?

### **მასხარა**

ჰო, ჯერ ჭკუა გესწავლა და მერე დაბერებულიყავი.

### **ღირი**

რა გავაკეთო, რომ არ გავვიყდე! ღმერთო, მიშველე!

*შემოდის მხლებელი*

რა ხდება? ცხენები მზად არის?

## **მხლებელი**

ღიას.

## **ღირი**

წავედით, ჩემო ბიჭო!

## **მასხარა**

ერთი ქალწული მე დამცინის, საით გარბისო.  
შენი ტვინივით ყველაფერი მოკლე კი არ მაქვს.  
ცოტა მაცალე, მერე ნახე, მეც გავიცინებ.

*გაღიან*



## მეორე მოქმედება

### სურათი I

*ვრაფ ვლოსტერის ციხე-კოშკი  
აქეთ-იქიდან შემოდინ ედმუნდი და კარენი*

#### ედმუნდი

ღმერთი შეგეწიოს, კარენ.

#### კარენი

თქვენც, ბატონო. ახლა მამათქვენთან გახლდით. ვაცნობე, რომ კორნუოლის ჰერცოგი და მისი მეუღლე რიგანი, ამაღამ მასთან მობრძანდებიან.

#### ედმუნდი

ნეტავ რა ხდება?

#### კარენი

არ ვიცი. ახალი ამბავი გაიგეთ? თუმცა, ამაზე ჯერ ჩურჩულებენ.

#### ედმუნდი

არაფერი ვიცი. რაო, რას ამბობენ?

#### კარენი

ომისთვის ემზადებიანო. კორნუოლის და ოლბენის ჰერცოგები. არ გაგიგიათ?

#### ედმუნდი

არა.

#### კარენი

მალე გაიგებთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

*გაღის*

#### ედმუნდი

ჰერცოგი ჩვენთან მობრძანდება? მშვენიერია!

თითქოს განგებამ გამოგ ზავნა დასახმარებლად.  
ბრძანება გასცა მამაჩემმა, ძმას შეიპყრობენ.  
მე რა უნდა ვქნა? მივეხმარო დელიკატურად!  
მიდი, ფორტუნა, იმუშავე! ნულარ ზოზინებ!  
ძმაო, სადა ხარ, ძირს ჩამოდი. ჩამოდი-მეთქი.

### *შემოდის ეღვარი*

ყველგან დაგეძებს მამაჩემი, უნდა გაიქცე!  
აღბათ გაიგო, იცის უკვე, სად იმალები.  
ახლა ღამეა და გაპარვას იოლად შეძლებ.  
ჯერ ის მითხარი, კორნუოლზე რამე ამბავი  
შენ ხომ არ გითქვამს? გაიხსენე, იქნებ წამოგცდა?!  
თურმე სასწრაფოდ, ჩვენთან მოდის. რიგანიც ახლავს.  
ვინმეს უთხარი, ოლბენისთან ომს აპირებსო?  
არ გაგონდება?

### **ეღვარი**

არავისთვის სიტყვა არ მითქვამს.

### **ეღმუნდი**

გვიანლოვდება მამაჩემი. გთხოვ, არ გეწყინოს,  
მე ვითომ ხანჯლით შენზე ვიწვევ, შენ კი თავს იცავ.  
შენც ამოიღე შენი ხმალი, თან გაიქეცი.  
უნდა დამნებდე! ჩირაღდნები! მამას უთხარი!  
უნდა გაიქცე, წადი, ძმაო. ჰე, ჩირაღდნები!  
შენ წადი, წადი. აქეთ! აქეთ! აბა მშვიდობით!

### *ეღვარი ვარბის*

სისხლი მჭირდება. ცოტა სისხლი კარგი იქნება,

### *ხელს დაისერავს*

შთაბეჭდილება მოახდინოს! ეს არაფერი,  
ლოთები ამით ერთობიან, ბევრჯერ მინახავს.  
შეჩერდი-მეთქი! მამა, მამა! არავინაა?!

*შემოდიან გლოსტერი და მხლებლები ხელში მაშხალებით*

### **გლოსტერი**

აქა ვარ, ეღმუნდ, სად წავიდა ის არამზადა!

### **ეღმუნდი**

აი აქ იღვა, სიბნელეში. ბასრი მახვილი

ეკავა ხელში. ბუტბუტებდა რაღაც შელოცვას.  
შემეწიეო, მთვარეს სთხოვდა

**გლოსტერი**

საით წავიდა?

**ედმუნდი**

ნახეთ, სისხლი მდის!

**გლოსტერი**

სად წავიდა ის არამზადა?!

**ედმუნდი**

იქით გაიქცა. ვერაფრით შეძლო, ვერ მოახერხა...

**გლოსტერი**

მიყვით, ჩქარა!

*ერთი მსახური გადის*

რას ამბობდი, რა ვერ შეძლო?

**ედმუნდი**

ვერ მაიძულა თქვენი მოკვლა. ვეუბნებოდი,  
რომ ღმერთი დამსჯის, მამის მოკვლა დიდი ცოდვაა.  
შვილი მამასთან მიბმულია, ამას ვერ გაწყვეტ.  
ვერ დამითანხმა! ამის მერე, რაკი დარწმუნდა,  
რომ მე ამ საქმეს არასოდეს არ ჩავიდნენდი,  
იმიშვლა ხმალი გააფთრებით და მკლავში დამჭრა.  
შემდეგ არ ვიცი რამ დააფრთხო, ჩემმა ყვირილმა,  
თუ ელვარებამ რისხვით სავსე ჩემი თვალების,  
მოულოდნელად სადღაც გაქრა.

**გლოსტერი**

მისთვის აჯობებს,

რაც შეიძლება შორს წავიდეს. თუ დაიჭირეს,  
იქვე მოკლავენ. როგორც მითხრეს, დიდი ჰერცოგი,  
მფარველი ჩვენი, მობრძანდება სტუმრად ამაღამ.  
მისი სახელით განვაცხადებ, დაჯილდოვდება,

იმ მოღალატეს ვინც იპოვის და ჩვენ გადმოგვცემს.  
ხოლო თუ ვინმე შეიფარებს, სიკვდილით დავსჯი.

### **ელმუნდი**

ბევრი ვეცადე, მაგრამ რაც თქვა, აღარ გადათქვა.  
გაგამხელ-მეთქი, დავემუქრე. მაინც ვიზამო,  
გაიძახოდა. რა გგონია, ნაბიჭვარო,  
მეუბნებოდა, რომელს უფრო დაგვიჯერებენ.  
შენი სიმართლით, ერთგულებით, რას დაამტკიცებ.  
ყველაფერს იქით დაგაბრალებ. ასე ვიტყვიო,  
წერილი თვითონ დაწერაო, რადგანაც სურდა  
მამის ღალატი. შენ იქნები დამნაშავეო.  
მთელი ქვეყანა სულ სულელი ხომ არ გგონია,  
დაიჯერებენ, რომ გინდოდა მეც მოგეკალი,  
მემკვიდრეობა დაგრჩენოდა. სიხარბე, შური  
გამომრავებდა.

### **გლოსტერი**

ვინ ყოფილა ეგ არამზადა!  
არც კი უარყო ის წერილი. სულ არ მცნობია!  
*საყვირის ხმა*

ჩუ! საყვირის ხმა! მობრძანდება ჩვენი ჰერცოგი!  
რა უნდა იყოს ნეტავ მისი მოსვლის მიზეზი.  
ის მოღალატე ვერ წამივა, გზებს გადავკეტავ.  
ჰერცოგსაც ვეტყვი. დავაგზავნი მთელ სამეფოში  
იმის სურათებს. ვინც შეხვდება, მაშინვე იცნობს.  
რაც შეეხება ჩემს ქონებას, ჩემო ერთგულო,  
კეთილო ბიჭო, მე ვიზრუნებ, შენ გეკუთვნოდეს.

*შემოდინ კორნუოლი, რივანი და მათი ამაღა*

### **კორნუოლი**

ჩვენო ძვირფასო მეგობარო, შენთან რა ხდება?  
ყური მოგკარით ახალ ამბავს, მეტად უცნაურს.

### **რივანი**

დამნაშავისთვის, თუ ასე იყო, ყველა სასჯელი  
მეცოტავენა. თავს როგორ გრძნობთ, როგორ ბრძანდებით?

### **გლოსტერი**

გული გამიტყდა, ეს ბებერი გული გამიტყდა!

### **რიგანი**

როგორ, ნათლულმა მამაჩემის, თქვენმა ეღვარმა,  
მამამ უწოდა ეგ სახელი, როგორ გაბედა,  
როგორ აღმართა თქვენზე ხელი!

### **გლოსტერი**

რა სირცხვილია!

### **რიგანი**

მამაჩემს თავის ამაღლაში ხომ არა ჰყავდა,  
იმ ურჩ და სასტიკ რაინდებთან?

### **გლოსტერი**

არ ვიცი, მაღამ.

რა სირცხვილია!

### **ედმუნდი**

ღიას, იქ იყო, სწორედ მათთან.

### **რიგანი**

მაშინ არ მიკვირს. ცუდი ხალხი ჰყოლია გვერდით.  
აღბათ ისინი აქეზებდნენ, მოკალი მამა,  
მისი ქონება დაგრჩებაო. აი, ჩემმა დამ  
წვრილად მომწერა ყველაფერი. სურს გამაფრთხილოს.  
მეტად უზნეოდ მოქცეულან მის სასახლეში.  
თუ აქ მოდიან, რომ იგივე გაიმეორონ,  
შინ არ დაეხვდები.

### **კორნუოლი**

ჩემო რიგან, არც მე ვაპირებ.

გავიგე, ედმუნდ, სიყვარული, მამაშვილური,  
გიჩვენებია გლოსტერისთვის.

### **ედმუნდი**

მოვიხადე მე ჩემი ვალი,  
სხვა არაფერი.

### **გლოსტერი**

შეეცადა მის შეჩერებას.  
და აი, ნახეთ, დაჭრილია,

### **კორნუოლი**

არ დაადევნეთ?

### **გლოსტერი**

ღიას, ბატონო!

### **კორნუოლი**

შეიპყრობენ მაშინ ნამდვილად.  
მე ნებას გაძლევთ, იმოქმედოთ ჩემი სახელით.  
ედმუნდ, მაგ შენი, უანგარო თავდადებისთვის,  
ჩემს ამაღლაში გიყოლიებ. ერთგული ხალხი  
ყველას სჭირდება.

### **ედმუნდი**

პატივია, თქვენ გემსახუროთ.  
ერთგულებაში დარწმუნდებით.

### **გლოსტერი**

თქვენო მოწყალებავ,  
მე მოგახსენებთ მის მაგივრად უღრმეს მადლობას.

### **კორნუოლი**

გაინტერესებთ, ის მიზეზი, რატომ გეწვიეთ?

### **რიგანი**

გარემოებამ გვაიძულა მნიშვნელოვანმა,  
მოვსულიყავით ამ კუნაპეტ ღამის წყვილადში.  
კეთილშობილო ჩვენო გლოსტერ, დაგვემარებით?

გვამცნობს წერილი მამაჩემის, და ჩემი დისაც  
იგივეს ამბობს, მათ მოსვლიათ უთანხმოება.  
შინ არ დავხვდებით, გადავწყვიტეთ, მაგრამ პასუხი  
უნდა გავვზავნოთ. შიკრიკები გველოდებიან.  
ჩვენო კეთილო მეგობარო, ცოტა დაწვწარდით.  
ძლიერ გვჭირდება თქვენი რჩევა, როგორ მოვიქცეთ.  
ეს საჩქაროა.

### **გლოსტერი**

მზად გახლავართ თქვენს სამსახურად.  
გთხოვთ, წამობრძანდეთ.

*გადიან. ისმის დაფდაფების ხმა*

## **სურათი II**

*გლოსტერის ციხე-კოშკის წინ  
სხვადასხვა მხრიდან შემოდიან კენტები და ოსვალდი*

### **ოსვალდი**

დილა მშვიდობის, მეგობარო. აქაური ხარ?

### **კენტი**

ჰო!

### **ოსვალდი**

ცხენები სად დავაყენო?

### **კენტი**

ლაფში.

### **ოსვალდი**

გთხოვ, მითხარი, თუ გიყვარდე.

### **კენტი**

არ მიყვარხარ.

### **ოსვალდი**

მაშინ ფეხებზე მკიდია, ვინა ხარ.

### **კენტი**

ერთი ბნელ კუთხეში მომცა შენი თავი და როგორ დამიკიდებ, იმასაც ვნახავ!

### **ოსვალდი**

რას მერჩი, არც კი გიცნობ!

### **კენტი**

სამაგიეროდ მე გიცნობ, ვინ ბრძანდები.

### **ოსვალდი**

აბა თუ მიცნობ, ვინა ვარ.

### **კენტი**

გაიძვერა, უნამუსო, სულმდაბალი, ამპარტავანი, ფუქსავატი, ლაქია, დამპალი, ლაჩარი, მოლალატე, გამყიდველი, მშიშარა, არაფრისმაქნისი, არაფრისმქონე, აი რა ხარ – ერთი მათხოვარი, მხდალი და წუწკი, უჯიშო ძუენა ძალღიშვილი. აბა რომელიმეზე თქვი, ეგ არა ვარო და იმდენს გირტყამ, შენი ღრიალი ნახე!

### **ოსვალდი**

ეს ვინ ყოფილა, ეს მტარვალი, არ ვიცნობ, არ მიცნობს და მლანძღავს!

### **კენტი**

თვითონ ვინ ყოფილა ეს თავხედი, ურცხვად მეუბნება არ გიცნობო! ორი დღის წინ არ იყო, მეფის წინაშე კარგად რომ მოგცხე და ძირს გახიხე?!  
*ამოიღებს ხმალს*

შენც ამოიღე ხმალი, არამზადა! თუმცა ღამეა, მაგრამ მთვარის შუქი მეყოფა, დაგანახო, როგორ აგკუწავ! მიდი, სად არის შენი ხმალი!

### **ოსვალდი**

თავი გამანებე, რა გინდა, შენთან საქმე არა მაქვს



### **კენტი**

ხმალი-მეთქი, ხმალი! შე მატრაბახო! ბედავ და მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ დაგაქვს აქეთ-იქით წერილები. მეფის წინაშე როგორ იქცევი! შენი ქალბატონის გულის მოსაგებად ტაკიმასხარაობ. ხმალი! გეუბნები, აგკუწავ-მეთქი! მიდი!

### **ოსვალდი**

მიშველეთ! მკლავენ! მიშველეთ!

### **კენტი**

გაბედე, შე ლაჩარო! შე ლაქია! არამზადა! მიდი, მიდი!

*ურტყამს*

### **ოსვალდი**

მიშველეთ! მკლავენ! მკლავენ!

*შემოდინ ედმუნდი, რომელმაც უკვე ხმალი იშიშვლა,  
კორნუოლი, რიგანი, გლოსტერი და მსახურები*

### **ედმუნდი**

რა ამბავია? აქ რა ხდება! შეჩერდით!

### **კენტი**

თუ გინდა შენც მოდი, ყმაწვილო! სისხლის სუნს ისწავლი!

### **გლოსტერი**

რა იარაღის ტრიალია! როგორ იქცევით!

### **კორნუოლი**

ამათ უყურეთ! თავი ხომ არ მოგძულეებით!  
დავსჯი, ურჩობას ვინც გაბედავს! თქვით, აქ რა ხდება!

### **რიგანი**

ჩემი დისა და მეფის შიკრიკები არიან.

### **კორნუოლი**

რაზე ვერ შეთანხმდით? გისმენთ!

### **ოსვალდი**

სულს ვერ ვითქვამ, ბატონო ჩემო.

### **კენტი**

ვერც მოითქვამ, შე მშიშარა.

ბუნებამ ნამდვილად თერძს შეაკერინა შენი თავი.

### **კორნუოლი**

რა უცნაური რამე თქვა. ადამიანს თერძი კერავს?

### **კენტი**

თერძი, ბატონო. აბა ქვისმთლეელი, ანდა მხატვარი ასეთ უვარგისს არ შექმნიდნენ.

### **კორნუოლი**

თქვენ ის მითხარით, რაზე ჩხუბობდით.

### **ოსვალდი**

ბებერი ავაზაკი! თავის ჭკალარას უმაღლოდეს...

### **კენტი**

შე მართლა არარაობავ! თქვენ აქ არ იყოთ, ამ ნადირალას დავნაყავდი.

ჩემს ჭკალარას სცემს თურმე პატივს, ბოლოქანქარა.

### **კორნუოლი**

კარგი, კმარა! რამ გაგამხეცათ, არც მორიდება, არც არავის პატივისცემა!

### **კენტი**

განრისხებისას გონს ვერ მოხვალ!

### **გლოსტერი**

და რატომ ხარ ასე განრისხებული?!

### **კენტი**

იმის გამო, რომ არაკაცებს ხმალი ჰკიდიათ!

აი ასეთებს, ხომ ღირსება არ გააჩნიათ.  
ეს ვირთაგვები, მლიქვნელობით, ყალბი ღიმილით,  
სულს გვიწამლავენ. გამუდმებით გვიღრღნიან სიმებს,  
ბუნების გაბმულს. აღვივებენ პატარა წყენას,  
ცეცხლს ნავთს ასხამენ, გაცივებულ გულს გვითოშავენ,  
ჰოსა და არას ერთდროულად გვეუბნებიან.  
დაწანწალებენ წინ და უკან, კულში დაგვდევენ...  
წადი, მომშორდი. იღრიჭები და ისე მიცქერ,  
თითქოს გიჟი ვარ. კარგად იცი, რას ვლაპარაკობ.  
ბატი ხარ, ბატი! სულ ყიყინით უნდა მიგდენო  
შენისთანებთან კამელოტში, საბუღარამდე.

### **კორნუოლი**

მართლა გიჟი ხარ, შენ მოხუცო?

### **გლოსტერი**

რას ერჩი, გკითხეს.

### **კენტი**

მძულს თაღლითები. გაიძვერები!

### **კორნუოლი**

რატომ უწოდებ გაიძვერას, რა დააშავა?

### **კენტი**

არ მომწონს ეგ კაცი!

### **კორნუოლი**

მეც არ მოგწონვარ, შესაძლოა, ანდა ესენი.

### **კენტი**

ბატონო ჩემო, მოგახსენებთ. პირში თქმა მიყვარს.  
ბევრი მინახავს ცხოვრებაში იმაზე კარგი,  
ვიდრე მე ვარ, ან რომელიმე, ვინც აქ ბრძანდება.

### **კორნუოლი**

ასე მგონია, ეშმაკურად რაღაცას ცდილობს.  
რომ დაინახავს, შემაქესო გულწრფელობისთვის,

მერე დაიწყებს სხვა საუბარს, სულ სხვა კილოთი.  
ჯერ დაგვაჯეროს, მართლის მოქმელი, პატიოსანი  
და პირდაპირი რომ ბრძანდება. მერე რას იზამს?  
თუ მოვიწონეთ, ხომ კარგი და, თუ ეს არ მოხდა,  
ეგ არაფერი. ვერაფერში მოედავები.  
ბევრი მინახავს ამის მსგავსი. თავს მოგაჩვენებს  
წესიერ კაცად. მაგრამ არის ისეთ მლიქვნელზე,  
ეგ რომ აძაგებს, უარესი, ასიათასჯერ.

### **კენტი**

მე თქვენ გარწმუნებთ, ბატონებო, რომ არ ვიკადრებ  
ძლევაბრძოლთა დიდებულთა თქვენთა წინაშე,  
ფეხოსის მსგავსად ვისაც ძალუძს, რომ გაიბრწყინოს

### **კორნული**

აი ახლა, რის თქმას ცდილობ?

### **კენტი**

ვცდილობ შევცვალო ჩემი მეტყველება, რომელიც თქვენ საშინლად  
არ მოგეწონათ. მართლა არა ვარ პირმოთნე კაცი. რომ ბრძანეთ,  
მინახავსო, თავს მოგაჩვენებსო და სინამდვილეში სხვანაირიაო,  
მათ რიცხვს არ ვეკუთვნი.

### **კორნული**

რა დაუშავე ამ კაცს, შენ თქვი.

### **ოსვალდი**

არც არაფერი.

ახლახანს მეფემ, ვისაც იგი ემსახურება,  
ხელი გამარტყა. მოინდომა, მეფეს აამოს,  
ზურგიდან მეცა, დამაგლო და, ფეხი ამომეკრა.  
ცემა დამიწყო, ძირს დაცემულს! თანაც მლანძღავდა.  
ეს საქციელი მოუწონა მეფემ მაშინვე.  
სცემდა ისეთ კაცს, რომელიც ხელს არ უბრუნებდა.  
სისხლი სწყურია მგონი ისევ, და თავს დამესხა.  
ხმალსაც იქნევდა!

## კენტი

აიაქსსაც გაასულელებს,  
ამ უნამუსოს, თუკი ყური, წამით ათხოვა.

## კორნუოლი

ხუნდები, ჩქარა! შე თავხედო, გასწავლი ჭკუას,  
ბებერო ძაღლო!

## კენტი

მე ბებერი ნამდვილად მეთქმის,  
ოღონდ სწავლით კი, რას ვისწავლი, არ გინდათ ხუნდი.  
მეფის ერთგული მსახური ვარ, მისგან მოსული.  
თუ ბორკილს ადებთ მეფის შიკრიკს, მაშინ გამოდის,  
თავად მეფესაც პატივს არ სცემთ!

## კორნუოლი

ჩქარა, ხუნდები!  
პატიოსნებას გეფიცები, რომ დასჯილი, შუადღემდე ხარ!

## რიგანი

შუადღემდეო?! საღამომდე! და მთელი ღამე!

## კენტი

რას მერჩით, მაღამ, მამათქვენის ძაღლიც რომ ვიყო,  
ასე მოპყრობა არ მეკუთვნის ალბათ მაშინაც.

## რიგანი

არამზადა ხარ, მამაჩემის. დიახ, გეკუთვნის!

## კორნუოლი

ესეც იმ ბრბოდან არ ყოფილა, ჩვენი და რომ გვწერს!?  
სად ხართ აქამდე. მოიტანეთ სწრაფად ხუნდები!

*შემოაქვთ ხუნდები*

## გლოსტერი

მაგას ნუ იზამთ, ძალიან გთხოვთ, ჩემო ბატონო!  
დამნაშავეა, გეთანხმებით. მეფე თვითონაც

უსაყველურებს. ეს სასჯელი სამარცხვინოა.  
ქურდს სჯიან ამით, ან ავაზაკს, ზნედაცემულ კაცს.  
მეფეს ნამდვილად ეწყინება, როცა გაიგებს,  
მის შიკრიკს ასე რომ მოექცნენ!

### **კორნუოლი**

მიზეზს ავუხსნი.

### **რიგანი**

ჩემს დას ის უფრო ეწყინება, რომ მის დიდებულს,  
ჩემთან საქმეზე გამოგზავნილს, შეურაცხყოფენ.  
ახლავე ხუნდი!

*კენტს ხუნდს დაადებენ  
წამობრძანდი, ჩემო მეუღლე!  
ყველანი გადიან კენტის და გლოსტერიის კარდა*

### **გლოსტერი**

ძალიან ვწუხვარ ამის გამო, მაგრამ ჰერცოგმა  
რაკი ინება, მის ბრძანებას ვერვინ გადავა.  
ვერც შეაჩერებ, ვერც დაუშლი. ვეცდები ვთხოვო,  
გული მოიღბოს, შეგიწყალოს. თუ მომიხმინა.

### **კენტი**

არა, არ თხოვოთ. მეძინება, წუხელ ვიფხიზლე.  
გზა გრძელი იყო და დამღალა. ახლა ვისვენებ.  
ბედი მუდმივად მართალ კაცსაც თურმე არ სწყალობს!  
მშვიდობის დილა გაგითენდეთ.

### **გლოსტერი**

ჰერცოგის ქცევას,  
არა მგონია მოჰყვებოდეს ბოლო კეთილი.  
*გადის*

### **კენტი**

ჩემო მეფეო, შენზე უთქვამს თურმე ვილაცას,  
„საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო“.  
როცა იქნება, მზე ამოვა და გააცოცხლებს

ჩამკვდარ სამყაროს, არემარეს დააფენს სხივებს.  
წაკითხვას შევძლებ ამ წერილის. როცა გვონია,  
საშველი არ ჩანს, სასწაული მაშინ იწყება!  
კორდილიასგან ბარათია, რას მწერს, არ ვიცი.  
რალაც განგებით შეუტყვია, რომ გადაცმული  
ისევ აქა ვარ. უდავოა, რამეს იღონებს.  
ხომ უნდა აღდგეს სამართალი. როგორ დამძიმდით,  
ჩემო თვალეზო. ძილს დანებდით, თქვენთვის ჯობია,  
ეს სამარცხვინო სამყოფელი არ დაინახოთ.  
მშვიდობის ღამე, შენც, ფორტუნა! გთხოვ, გამიღიმე  
და ერთხელ კიდევ მოაბრუნე ბედის ბორბალი  
*იძინებს*

### სურათი III

*ტყე. შემოდის ეღვარი*

#### **ეღვარი**

ბრალი დამადეს დაუსწრებლად, ასე უეცრად!  
ხეში ფულურო არ მეპოვნა, რა უნდა მექნა!  
ყველა შესასვლელ-გასასვლელში, კუთხე-კუნჭულში,  
მდეგარი იცდის, რათა მომკლან, თუ დამიჭირეს.  
დრო აღარა მაქვს! მოვიფიქრე, როგორ მოვიქცე!  
დავემსგავსები ვინმე გლახაკს, ან მაწანწალას,  
უკიდურესმა სიღარიბემ რომ აიძულა,  
ბინძურ ცხოველად ქცეულიყო. სად არ შეხვდები  
და ხალხში იწვევს ზიზღის გრძნობას. თმას გავიჩეჩავ.  
სახეს ტალახით მოვითხუპნი. მერე თამამად  
გამოვალ გარეთ. ვიტანტალე ქარში, წვიმაში.  
თითქოს გიჟი ვარ, ბელლამიდან გამოპარული,  
რომ გაჰყვირიან მაღალ ხმაზე. იყრიან რკინას,  
ვარდის მსხვილ ეკლებს, ზოგჯერ შამფურს, უგრძნობ სხეულში.  
რამდენჯერ ვნახე. სოფელ-სოფელ ეხეტებიან.  
მეცხვარეებთან, ხელოსნებთან, ხელგაწვდილები  
პურს თხოვენ ყველას, ხანდახან წყევლით,

ზოგჯერ დალოცვით. და ირქმევენ, ხან საბრალო ტომს  
ხან საწყალ ტარლის, ორი ლუკმა რომ მოიპოვონ.  
ასე უნდა ვქნა. მე დღეიდან, ედგარი არ ვარ!  
*გადის*

## სურათი IV

*გლოსტერის ციხე-კოშკთან.  
კენტის ხუნდებშია. შემოდინ ლირი, მასხარა და დიდებული*

### ლირი

უცნაურია, მათი უცებ შინიდან წასვლა!  
ჩემი შიკრიკი უპასუხოდ როგორ დატოვეს!

### დიდებული

ჯერ კიდევ გუშინ, მივდივართო, არავის უთქვამს,  
როგორც მე ვიცი.

### კენტი

მოგესალმები, დიდო ბატონო!

### ლირი

თავისმომჭრელი ეს გართობა შენ მოიგონე?

### კენტი

არა, ბატონო!

### მასხარა

ხა ხა ხა, როგორ შემოუჭერია წვივსაკრავები. ცხენს თავით აბამენ,  
ძალღებს და დათვებს კისრით, მაიმუნს წელზე შემოარტყამენ, კაცს კი,  
რომელიც ბევრს ცუნცრუკობს, ხის წინდებს აცმევენ.

### ლირი

ვინ გაბედა, ვინ გააკეთა?

### კენტი

ორივემ ერთად! ქალმაც და კაცმაც! თქვენმა სიძემ და თქვენმა ასულმა.



**ღირი**

არა!

**კენტი**

ღიას!

**ღირი**

არა-მეთქი, ვამბობ!

**კენტი**

მე ვამბობ – ღიას!

**ღირი**

არა, არა, ამას არ იზამდნენ!

**კენტი**

ქნეს!

**ღირი**

იუპიტერს დავიფიცებ, რომ – არა!

**კენტი**

იუნონას ვფიცავარ, კი!

**ღირი**

არ იკადრებდნენ. არ იზამდნენ. ეს სიკვდილზეც უარესია. მეფეს ასე არ შეარცხვენდნენ. რა დააშავე შენ ისეთი, რომ ეს მიიღე?

**კენტი**

მხოლოდ მივედი, გადავეცი თქვენი ბარათი. მუხლმოდრეკილმა წამოდგომა რომ დავაპირე, ამ დროს მოიჭრა სხვა შიკრიკი, ქანცგაწყვეტილი. გონერილისგან მოიტანა იმან წერილი. თქვენი მაშინვე გვერდზე დადეს და იმ წერილის შეუდგენ კითხვას. რომ გაიგეს, რაც იქ ეწერა, უხმეს ამაღას, შესხდნენ ცხენზე. მე კი მიბრძანეს,

გამოგვევიო. რომ მოვიცლით, ვიპასუხებთო!  
მკაცრად მიცქერდნენ. აქ მოვედით. აქაც დაგვიხვდა  
კიდევ შიკრიკი, სულ ახლახანს, თქვენს ბრწყინვალეებას  
რომ გაუბედა, კადნიერად ელაპარაკა.  
ვიშიშვლე ხმალი, სიბრაზისგან, მაგრამ ლაჩარმა  
ყვირილი ძორთო. თქვენმა სიძემ, თქვენმა ასულმა,  
ჩემს დანაშაულს ეს სასჯელი გამოუტანეს.

### **მასხარა**

ზამთარი ჯერ არ გასულა, რაკი გარეული ბატები ისევ იქით  
მიფრინავენ.

ჯიბეგაფხეკილ მამას შვილები  
ასეა, ზედაც არ უყურებენ.  
თუ მდიდარი ჰყავთ, მაშინ იმისთვის,  
აღბათ სულსაც არ დაიშურებენ!

ფორტუნა ნამდვილი მეძავი ყოფილა, ღარიბს ისიც კი არ  
სწყალობს.  
ახლა შენი ქალები იკითხე, რამდენი რამე ექნებათ შენთვის,  
თვალო, თვალო, ვერ დათვალო!

### **ღირი**

აქ რაღაც მიჭერს, ვეღარ ვსუნთქავ. დაწყნარდი, ღირო.  
მწარე ნალველი შემომაწვა. დამძიმდა გული!  
სად არის ჩემი ქალიშვილი?

### **კენტბი**

გრაფთან არიან,

ის და ჰერცოგი.

### **ღირი**

დამელოდეთ, ნუ გამომეცვებით!  
*გადის*

### **დიდებული**

რაც თქვენ გვიამბეთ, სულ ეს იყო დანაშაული?

## კენტი

პო. რატომ ახლავს მეფეს ასე მცირე ამაღა?

## მასხარა

აი მაგ კითხვისათვის ნამდვილად გაგიყრიდნენ ხუნდებს და ღირსიც იქნებოდი.

## კენტი

რატომ, მასხარა?

## მასხარა

ჭიანჭველასთან უნდა გაგიშვა, იქნებ ისწავლო, რომ ზამთარში არ მუშაობენ. და კიდევ, იცი რა, წინ ცხვირი მიდის, მაგრამ კაცი თვალებს დაყავს, თუ ბრმა არ არის და ოც ცხვირში ერთსაც ვერ ნახავ, აქ რაღაც ყარსო, ვერ გაიგოს. როცა ბორბალი თავქვე ეშვება, ხელი უნდა გაუშვა და გაეცალო, რომ კისერი არ მოიტეხო, აღმა რომ მიდის, უნდა აჰყვე. თუ ვინმე ბრძენი უკეთეს რჩევას მოგცემს, ჩემი დამიბრუნე. არა მგონია თაღლითის გარდა ვინმემ დამიჯეროს, რაკი სულელი მასხარას ნათქვამია.

სარგებელს როცა დაეძებს კაცი,  
იცოდე ყალბად გიცინის პირში.  
შენს თავზე ღრუბელს თუ დაინახავს,  
გაგეცლება და მიგაგდებს ჭირში.

მე სულელი ვარ, ვრჩები აქ მყარად.

ჭკვიანი წავა, დაგტოვებს ცალად.  
თაღლითი ზოგჯერ მასხარა ხდება,  
მაგრამ მასხარა თაღლითი, არა!

გეფიცები!

## კენტი

ეგ სად ისწავლე, მასხარა?

## მასხარა

ხუნდებით არა, სულელი!

*შემოდინა ლირი და გლოსტერი*

## ლირი

საუბარიც კი არ ისურვეს? შეუძლოდ ვართო?!

გზამ დაგვალაო?! უსუსური მიზეზი ნახეს!

რამე მაინც თქვან, გონივრული.

## გლოსტერი

ჩემო ბატონო,  
თქვენც კარგად იცით, ამ ჩვენს ჰერცოგს, ხასიათი აქვს  
მეტად ჯიუტი. თავის ნათქვამს აღარ გადათქვამს.

## ღირი

არგადათქმა და ჭირი მაგას! რას ლაპარაკობ!  
ჰერცოგს და ჩემს შვილს, მსურს რომ შევხვდე და ვესაუბრო.  
გაიგე, გლოსტერ, რა გითხარი? თუ ვერ გაიგე?!

## გლოსტერი

რა ვქნა ბატონო, ზუსტად მასე, ხომ მოვახსენე!

## ღირი

ხომ მოახსენე? რა გითხარი, შენ თუ გაიგე?!

## გლოსტერი

ღიას, ბატონო!

## ღირი

მე ჰერცოგთან, მსურს, საუბარი!  
საყვარელ მამას მის ასულთან, სურს, საუბარი.  
მეფეს და მამას! მინდა! მნებაგს! გასაგებია?!  
ასე უთხარი? მოახსენე? ჩემს სისხლსა და ხორცს?  
ხასიათი აქვს ჯიუტო? ჰოდა, შენ მიდი,  
იმ ჯიუტ ჰერცოგს გადაეცი, დაუყოვნებლივ,  
არა. დაიცა. იქნებ მართლაც შეუძლოდ არის.  
თუ ხორცი წვალობს, იტანჯება მასთანვე სულიც.  
უნდა ვაცალო, აღელვება არ გამოდგება.  
სწეულს ვერ მოთხოვ, რომ მოიქცეს, როგორც ჯანმრთელი  
მოიქცეოდა.

### *კენტს შეხედავს*

არა, ვცდები! არად მაგდებენ!  
ეს კაცი ხუნდში რატომ არის? აი, დასტური!  
თავს მარიდებენ, თვალთმაქცობენ. როგორ ბედავენ!  
წადი, უთხარი, მე მოვითხოვ, განთავისუფლდე

ჩემი მხლებელი! იმ შენს ჰერცოგს და მის მეუღლეს  
გააგებინე, რომ ახლავე, მსურს, მათი ნახვა.  
რა მაქვს სათქმელი, მოისმინონ. გასაგებია?  
თორემ მათ კართან ისეთ ბრაგუნს ავატეხინებ,  
იმასაც ვნახავ, თუ რა ძილით დაიძინებენ!

### **გლოსტერი**

ღმერთო, კეთილად დაასრულე ეს ყოველივე!

*გადის*

### **ღირი**

ნუ ხტიხარ, გულო! ძირს, ძირს ჩადი, ნუ ამოდიხარ!

### **მასხარა**

მიდი, ბიძაჩემო, შეუძახე! ერთი დედაკაცი სწორედ მასე ეუბნებოდა  
გველთევზებს, როცა იმათ ცოცხლად ტენიდა ღვეზელში. თან თავშიც  
ჩასცხებდა ხოლმე — „ძირს, ძირს, თქვე გაფუჭებულებო“. მაგ ქალის  
ძმა იყო, თავის ცხენს ღიდი სიყვარულით თივაზე კარაქს რომ უსვამდა.

*შემოდიან კორნუოლი, რიგანი, გლოსტერი და მსახურები*

### **ღირი**

მშვიდობის დილა თქვენ ორივეს!

### **კორნუოლი**

სალამი, თქვენო უდიდებულესობავ!

*კენტს ათავისუფლებენ*

### **რიგანი**

მიხარია, თქვენი ბრწყინვალეების მობრძანება.

### **ღირი**

მჯერა ასეა! ისიც ვიცი, თუ რატომ მჯერა.  
რადგან სხვაგვარად, ჩემო რიგან, არ დაგიძალავ,  
მე ღედაშენის საფლავსაც კი გავეყრებოდი  
და უნამუსოს ვუწოდებდი.

*კენტს*

განთავისუფლდი?

თუმცა ამაზე მერე გეტყვი. შენ რომ იცოდე,  
რა საშინელი და გყოლია. როგორ მომექცა!  
უმაღურობის ბასრი ბრჭყალი გულში ჩამასო.  
ნამდვილი სვაკი. არც კი ვიცი როგორ გიამბო.  
ვერ დაიჯერებ შენც ნამდვილად, ო, ჩემო რიგან...

### **რიგანი**

მამა, დამშვიდდი, ძალიან გთხოვ! მინდა მჯეროდეს,  
რალაც გაიგე არასწორად. არა მგონია,  
ჩემს დას არ სურდეს, შეასრულოს, რაც ევალება.

### **ლირი**

რა არ გგონია?! რა თქვი, რიგან?!

### **რიგანი**

როგორ ვიფიქრო,  
რომ მან თქვენს მიმართ დაივიწყა ვალდებულება.  
თუ ის არ მოგწონთ, რომ აღშფოთდა, თქვენი ამაღლის  
უზნეო ქცევით, დასაძრახი არ უნდა იყოს!  
ვერ გავამტყუნებ ამისათვის!

### **ლირი**

ო, ის წყეული!

### **რიგანი**

ბატონო ჩემო, თქვენ მოხუცდით! თქვენ ახლა უკვე,  
ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე ხართ! უნდა გაიგოთ,  
მოვიდა ის დრო, როცა თქვენზე უნდა იზრუნონ.  
იმაზე უკეთ მოგივლიან, ვიდრე გგონიათ!  
ძვირფასო მამა, გეხვეწები, გემუდარები,  
დაბრუნდი მასთან, აუხსენი, რომ არასწორად  
გაიგე რალაც.

### **ლირი**

ამბობ, ბოდიში მოგუხადო?!  
ასე მოქცევა მეკადრება? მივიდე, ვუთხრა,  
„ხედავ, მოვხუცდი, ჩემო შვილო, დავჩაჩანაკდი,  
*დაიჩოქებს*

ცული ყოფილა ეს სიბერე. სომ შემობრალე,  
თავშესაფარი მიწყალობე და მომიარე“.

### **რიგანი**

რატომ აკეთებთ, მილორდ, ამას. უნდა დაბრუნდეთ  
ახლა ჩემს დასთან!

### **ღირი**

*წამოდგება*

არა, რიგან, მე იქ არ წავალ!  
ჩემი ამაღლა შეამცირა. ცუდად მეპყრობა!  
ნამდვილი გველი! დამიგესლა მოხუცი გული.  
შურისძიებავ, აზვირთებულ ტალღად მოვარდი!  
დაემხე თავზე უმაღურ შვილს, გთხოვ, არ დაინდო,  
განადგურე, დაანგრე

### **კორნუოლი**

ამას რას ამბობთ!

### **ღირი**

ჭექა-ჭუხილო! ზიზღით სავსე ბოროტ თვალებში  
ესროლე მეხი! მოუწამლე, ჭაობის წუმპევე,  
შენი სიმყრალით, გარეგნული სიმშვენნიერე!  
იქნებ ჩაუკლა სიამაყე!

### **რიგანი**

ღმერთო, რა მესმის!  
ოღესმე, ასე, მეც დამწყევლი?

### **ღირი**

ო, არა, რიგან!  
ეს არ მოხდება, არ იქნება! როგორ დავწყევლი!  
გულკეთილი ხარ! უღირს ქცევას შენ არ ჩაიდენ.  
მისი თვალები ელვარებენ გაბოროტებით!  
რა სიბუღვილით მიცქერს ხოლმე! შენი მზერა კი,  
სულს არ მიშანთავს! ჩემო შვილო, გულს სომ არ მატკენ?  
არც ჩემს ამაღლას არასოდეს გამინახევრებ!

შენს მოხუც მამას კარს ურდულით არ ჩაურაზავ.  
შენ კარგად იცი, თუ რას ნიშნავს მოვალეობა,  
მამაშვილური სიყვარული. მე შენ გიბოძე,  
ჩემი სამეფოს ნახევარი.

**რიგანი**

მაგით რას ამბობ?  
*საყვირის ხმა*

**ლირი**

ჩემს მსახურს ხუნდი ვინ დაადლო?

**კორნუოლი**

საყვირის ხმაა!  
რას მოასწავებს?

**რიგანი**

ჩემი დის მოსვლას! აკი გვწერდა,  
სულ მალე თქვენთან ვიქნებიო.  
*შემოდის ოსვალდი*  
უკვე მობრძანდა?

**ლირი**

ეს უსირცხვილო, შენი დის მზეს შეფარებული,  
ყალბი ღირსებით გაბლენძილი არამზადაა!  
წადი აქედან, გამეცალე!

**კორნუოლი**

წელან რა მკითხეთ?

**ლირი**

ვინ გაუყარა ფეხში ხუნდი, ჩემს მხლებელს-მეთქი!  
რიგან, შენ ამას არ იზამდი.

*შემოდის გონერული*  
ეს ვინ მობრძანდა?!  
ღმერთო, მიშველე, თუკი სწყალობ ჩემებრ მოხუცებს,



იქნებ თვითონაც მოხუცი ხარ, მაშინ გამიგებ!  
არ მიმატოვო, მომივლინე ვინმე მშველელი!

*გონერის*

როცა უცქერი ამ ჭალარას, სულ არ გრცხვენია?  
რიგან, ხელს აძლევ?!

### **გონერილი**

რატომ არა, რა დავუშავე?  
ყველაფერს ცოდვას ვერ დაარქმევ, ასე არ არის!

### **ღირი**

ყველაფერს უძლებს კაცის გული. ალბათ ამასაც!  
ვისი ბრძანებით გაუყარეს ჩემს შიკრიკს ხუნდი.

### **კორნუოლი**

ჩემი ბრძანებით! უფრო მეტსაც იმსახურებდა  
მაგის ურჩობა.

### **ღირი**

შენ უბრძანე? როგორ გაბედე!

### **რიგანი**

არ გინდა, მამა, როცა ძალა არ გაგაჩნია,  
ასე არ უნდა იქცეოდე. შენთვის აჯობებს  
ჩემს დასთან იყო, თვის ბოლომდე, როგორც შევთანხმდით.  
ამალა უნდა განახევრდეს! ხოლო შემდეგ კი,  
ჩემთან მობრძანდი. შინ არა ვარ, დღეს ვერ მივიღებ.  
არც სათანადოდ განლაგარ მზად. არ შემიძლია!

### **ღირი**

ამბობ დავბრუნდე და ამალა გავანახევრო?!  
მაგასთან ყოფნას, ღია ცის ქვეშ მიჯობს დარჩენა!  
წვიმას, ქარიშხალს, გადავიტან უფრო იოლად!  
მგლებთან, ჭოტებთან ბევრად უკეთ შევძლებ ვიცხოვრო.  
გზას არ მიტოვებ, როგორც ვხედავ! ამბობ წავიდე?!  
იქნებ აჯობებს, საფრანგეთის მეფეს ვეახლო?!

გულნატკენია, რომ შეერთო უმზითვო ქალი.  
მას ხომ არ ვთხოვო, მუხლზე ჩოქვით, შემთფარე-თქო.  
არა, ამასთან აღარ წავალ. ბარემ ისიც თქვი,  
*ოსვალდზე უჩვენებს*  
ამის წინაშეც დაიჩოქე

## გონერლი

როგორც გენებოს!

## ღირი

შვილო, რა გინდა? ჭკუაზე მშლი? რატომ მაგიჟებ!  
ამიერიდან არასოდეს არ შეგაწუხებ.  
გემშვიდობები. აღარ ვნახავთ ერთი-მეორეს!  
ჩემი შვილი ხარ, ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი.  
ზოგჯერ, ხორცსაც ხომ იპყრობს სენი, უკურნებელი.  
ვერაფერს შეები! ვერ იშორებ, მაინც შენია.  
ეს დაგვემართა. სხეული მაქვს დაჩირქებული,  
დაწყლულებული, თუმც ჩემია. ამიტომ გეტყვი,  
თუ დაფიქრდები, აზრს შეიცვლი, მე მოვალ შენთან,  
ასი რაინდით, ჩემს რიგანთან!

## რიგანი

ეგ არ გამოვა.  
ჯერ არ გელოდი. ხომ გითხარი, მე მზად არა ვარ.  
დღეს საკადრისად ვერ მიგიღებ. არ შემოძლია!  
გაჭყევი ჩემს დას, დაუჯერე, და რასაც გირჩევს,  
ის გააკეთე. შენს საქციელს იგი მიიღებს  
მოხუცი კაცის ახირებად და გააკეთებს,  
რაც საჭიროა.

## ღირი

რასაც ამბობ, შენ მაგას ფიქრობ?

## რიგანი

რა გავაკეთო, დავიფიცო? ორმოცდაათი  
ნუთუ არ კმარა ამაღლაში? ამაზე მეტი

რაში გვჭირდება. სხვათაშორის, ესეც ბევრია.  
მეტი ხარჯია, ბევრის ყოლა. ეგეც არ იყოს,  
წარმოიდგინე, ერთად, ჭერქვეშ, ამდენი ხალხი,  
ორი ბატონით. იქ მოხდება, უეჭველია,  
არეულობა, დიდი შფოთი.

### **გონერლი**

რატომ არ გინდა

ჩვენი მსახური იმსახურო. მეც და რიგანსაც  
საკმარისად გვყავს.

### **რიგანი**

გეკითხებით, რატომ არ გინდა?

თუ ვერ შეძლებენ რომ გაამონ, ჩვენ აქ არა ვართ?!  
რას გაბედავენ! შენს მხლებლებად, ჩემთან რომ მოხვალ  
(საფრთხე ვიგრზენი, მინდა გითხრა), თან იყოლიებ  
მხოლოდ ოცდახუთს. ამაზე მეტს, მე არ მივიღებ!

### **ლირი**

მე თქვენ მოგეცით ყველაფერი!

### **რიგანი**

ღროც იყო, უკვე.

### **ლირი**

თანაც მოგანდეთ ჩემზე ზრუნვა. ჩემი შენახვა.  
ისიც გითხარით, თავიდანვე, ჩემს ამაღლაში  
ასი კაცია. ახლა ამბობ, ოცდახუთზე მეტს  
არ მივიღებო? რიგან, ამას შენ მეუბნები?

### **რიგანი**

მეტს არ მივიღებ. ვთქვი და, აღარ გავიმეორებ.

### **ლირი**

ორ ბოროტს შორის თუ იპოვი ნაკლებად ბოროტს,  
უკვე კარგია!

### *გონერის*

მაშინ ალბათ შენთან წამოვალ!  
ორმოცდაათი ოცდახუთზე ორჯერ მეტია,  
ამაზე უფრო, ორჯერ მეტად, შენ გყვარებხარ.

### **გონერილი**

იქნებ ამიხსნა, რა საჭიროა, ბატონო ჩემო,  
ან ოცდახუთი? ათი! ხუთი!.. სადაც ამდენი  
მომსახურება.

### **რიგანი**

თუნდაც ერთი, რა საჭიროა?

### **ლირი**

რა საჭიროა?! იცი, რას ნიშნავს, საჭიროება?  
ყველაზე ღატაკ მათხოვარსაც უბოვი რამეს,  
არ სჭირდებაო, რაზეც იტყვი. ზედმეტიაო!  
კაცს რომ არ ჰქონდეს, უფრო მეტი, ვიდრე ბუნებამ  
გულუხვად მისცა ადამიანს, რა იქნებოდა?  
მისი ცხოვრება ცხოველისას ემსგავსებოდა.  
აბა, მიბრძანე, ქალბატონო, თუკი სამოსი  
გაცვია მხოლოდ იმისათვის, რომ არ შეგცივდეს,  
მაშ მორთულობა რისთვისაა – ეგ ხომ არ გათბობს.  
არა, სულ სხვაა ჭეშმარიტი საჭიროება!  
ჰოი ზეცაო, მომანიჭე მე მოთმინება.  
მოთმინებაა ახლა ჩემი საჭიროება!  
შემხედე, ვდგავარ, მე, მოხუცი, აქ, შენს წინაშე,  
სავსე ვაებით, უძღურებით. გთხოვ, ნუ გამწირავ!  
თუ შენ მიეცი ჩემს ასულებს იმისი ძალა,  
გაცივებოდათ, ასე გული, მეც დამეხმარე!  
შემაძლებინე, ღირსეულად რომ ავიტანო.  
თავმოყვარებას მამაკაცურს, ნუ შემიღახავ!  
არ მომადინო თვალზე ცრემლი. ჩემი ღაწვები  
არ დაასველოს იარაღმა, ქალის კუთვნილმა.  
თქვე აღქაჯებო! გელოდებით შურისძიება!  
ჯერ არ ვიცი, რას მოვიფიქრებ, მაგრამ იცოდეთ,

დედამიწას შევაზანზარებ! ცრემლს ელოდებით?  
ვერ ეღირსებით. არასოდეს არ ავტირდები!

*ამოვარდება ქარიშხალი*

მართლაც ბევრი მაქვს სატირალი, მაგრამ ეს გული,  
ნაკუწებად რომ დაიფლითოს, არ ავტირდები!  
ჩემო მასხარა, გავეფუდები!

*გადიან ლირი, გლოსტერი, კენტი და მასხარა*

### **კორნუოლი**

ქუხს, შინ შევიდეთ!

### **რიგანი**

პატარა სახლი ვერ დაიტევს მას და ამაღას.

### **გონერული**

რომ მოდიოდა, რა ეგონა, რაზე ფიქრობდა.  
ახლა იწვინოს, მოუხდება, დაიმსახურა!

### **რიგანი**

მარტო რომ იყოს, არ ვეტყოდი უარს ნამდვილად,  
მაგრამ რა ვუყო ამ ამაღას!

### **გონერული**

საქმეც ეგ არის!

ჩვენი გლოსტერი რაღა იქნა, ის სად წავიდა?

### **კორნუოლი**

მოხუცს თან გაჰყვა.

*შემოდის გლოსტერი*

მაგრამ უკვე, ვხედავ, დაბრუნდა!

### **გლოსტერი**

მეფე განრისხდა მეტისმეტად!

## კორნუოლი

და სად წავიდა?

## გლოსტერი

ცხენი ითხოვა. მე არ ვიცი, სად მიბრძანდება.

## კორნუოლი

სადაც ისურვებს, იქ წაბრძანდეს, მისი ნებაა!

## გონერილი

მილორდ, გაფრთხილებთ, არც კი სთხოვთ თქვენთან დარჩენა!

## გლოსტერი

დაღამდა უკვე. ცივი ქარი როგორ უბერავს,  
ძვალ-რბილში ატანს. ახლომახლო ბუჩქიც არ არის,  
რომ კაცმა თავი შეაფაროს!

## რიგანი

ჯიუტი კაცი,  
როცა აიტყხს ასეთ რამეს, მასზე ახია!  
ჭკუას ისწავლის. ალაყაფის კარი ჩარაზეთ!  
თორემ ვინ იცის! ამაღა ჰყავს დამთხვეულების,  
რამე გაბედონ, შეიძლება. სიფრთხილეს თავი  
არა სტკივა!

## კორნუოლი

დროზე, კარი უნდა ჩაკეტოთ!  
ჩემი რიგანი მართალია. ქუსს, შინ შევიდეთ!

*გადიან*

# მესამე მოქმედება

## სურათი I

*ტრიალი მინდორი, ჭექა და ქუხილია.  
სხვადასხვა მხრიდან შემოდინ კენტი და დიდებული*

### კენტი

ასეთ გრივალში რას დადიხარ, მანდ რომელი ხარ!

### დიდებული

რომელსაც სული უბობოქრებს ამინდზე მეტად.

### კენტი

გიცანი ვინ ხარ. ხომ არ იცი, მეფე სად არის?

### დიდებული

ქარიშხალში დგას და გაჰყვირის: ბუნების ძალნო,  
ეს დედამიწა გადარეცხეთ! მიდით, აღგავეთ  
მიწის პირისგან! ჩაძირეთ ღრმად, ზღვის ბნელ მორევში!  
ან ააზვირთეთ, მალლა ცამდე, ისე ტალღები,  
აქვე განწმინდოს! თუ არადა, სჯობს დაინთქასო!  
ივლეჯს ჭალარას გამწარებით, და ქარაშოტი,  
გააფთრებული, ღირის მსგავსად, გარშემო ფანტავს.  
თითქოს უმწეო ბერიკაცი, არ ეპუება  
ქარსა და წვიმას ბნელ ღამეში. ასეთ თავსხმაში  
მშიერი დათვიც არ გამოვა. ბუნაგში იცდის.  
სტიქიის შიში შეაჩერებს მგელსაც და ლომსაც.  
მხოლოდ ღირია ერთადერთი, ვინც თავშიშველი,  
გაგიჟებული, გარეთ დარბის.

### კენტი

ვინ არის მასთან?

### დიდებული

მისი მასხარა, სხვა არავინ. მხოლოდ ის ცდილობს,  
ნატკენი გული დაუამოს.

## კენტი

სერ, რაკი გიცნობ,  
თან, რაც მითხარი, იმის გამოც, მე შენ გენდობი  
და დაგვალებ რაღაც საქმეს. მანამდე გეტყვი,  
კორნუოლისა და ოლბენის ჰერცოგთა შორის,  
განხეთქილება უკვე მოხდა. თუმცა ამ ამბავს,  
რადგან არ აწყობთ, არ ამხელენ. მაგრამ მსახურებს,  
მათსავით ცბიერთ, ვინმე რამეს გამოაპარებს?!  
მსახურთა შორის ფრანგთა მეფეს ჯაშუშები ჰყავს.  
ჰოდა, შეიტყო, თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში:  
მეფის ლალატი, მისი დევნა და დამცირება!  
უამრავი რამ, რაც ჯერ კიდევ, ყველამ არ ვიცით.  
ფრანგების ჯარი ამის გამო დაიძრა ჩვენსკენ.  
რამოდენიმე ნავსადგურთან უჩუმრად დგანან.  
ნებისმიერ დროს შეუძლიათ, დროშა გაშალონ.  
თუ შენც მენდობი, გაეშურე ახლა დუვრისკენ.  
ამბავს ელიან. მათ უამბე მეფის შესახებ,  
როგორ შეშალებს ის ჭკუაზე უსამართლობით.  
კეთილშობილი გვარისა ვარ, სხვას ვერას გეტყვი.  
შენ, ღირსეულ კაცს, განდობ ამას.

## დიდებული

მეტი მითხარი!

## კენტი

არ შემიძლია, ვერ გაგიმხელ ჩემს ვინაობას.  
აჰა ეს ქისა. შენი იყოს, რაც ამაშია.  
როცა შეხვდები, კორდილიას, და ეს მოხდება,  
ამ ბეჭელს მისცემ. იქ გაიგებ ჩემს ვინაობას.  
იმ დრომდე სჯობს რომ, არ იცოდე. როგორ უბერავს!  
ახლა წავედი, მეფე უნდა მოვძებნო სადმე.

## დიდებული

ხელი მომეცი. სათქმელი რამ, ხომ აღარ დარჩა?



## კენტი

ჰო, ორი სიტყვა, რაც ბევრს ნიშნავს. მეფე ვიპოვოთ!  
შენ იქ ეძებე, მე აქეთკენ. ვინც დაინახავს,  
მყისვე მეორეს ნიშანი მისცეს.

*სხვადასხვა მხარეს გადიან*

## სურათი II

*გამოლილი ველი. ქარიშხალი.*

### ღირი

უბერე, ქარო, დაიხეთქე ბარემ ლოცები!  
უფრო გაავდი, აბობოქრდი! ცა ჩამოამხე,  
ჩამოაქციე! დელგამამ შთანთქას ყველა სამრეკლო!  
ჯოჯონეთურად რას კაშკაშებ, ელვა-ქუხნილო,  
რა გინდა გვამცნო, გავარდება საცაა მეხი?  
ძლიერ მუნას სომ ერთი დარტყმით იოლად აპობ,  
ჭაღარა თავიც არ დაინდო. ავო გრიგალო,  
არ შეიბრალო, გაასწორე, გააცამტვერე  
და დააბრტყელე დედამიწა, რომ ერთიანად  
ამოიშანთოს კაცთა მოდგმა, ასე ცოდვილი!  
უმჯობესია, რომ არ იშვას აღარასოდეს,  
სულით ხორცამდე უმაღური ადამიანი!

### მასხარა

ბიძაჩემო, მშრალ ჭერქვეშ, სახლში, ნაკურთხი წყალია. ის ვლობია  
თუ წვიმის წყალი, ღია ცის ქვეშ რომ გვესხმება თავზე? კეთილო  
ბიძაჩემო, სთხოვე შენს ქალიშვილებს შეგვიწყალონ, თორემ ამ ღამეს  
არც ბრძენი ებრალება და არც სულელი.

### ღირი

მიდი, გააფთრდი, იგრუხუნე, რაც შეგიძლია!  
გრიგალო! წვიმავ! ცეცხლო! ქარო! როგორ გაგკიცხოთ  
გულგრილობისთვის. ვერც გავბედავ, გისაყვედურით,  
რადგან მე თქვენთვის ეს სამეფო არ მომიცია.  
არც შვილები ხართ რომელიმე. ვალში არა ხართ.

როგორც გენებოთ, მოიქეცით. ერთსა ვთხოვთ ოლონდ,  
მოწყალე თვალით გადმოხედეთ სასოწარკვეთილ,  
საბრალო მოხუცს, მონასავით მიწაზე გართხმულს,  
შვილებისაგან მოძულეზულს და უარყოფილს.  
შეკარით პირი თქვენც იმათთან ჩემს წინააღმდეგ?  
და გადაწყვიტეთ არ დაინდოთ ბებერი კაცი,  
ასე უძლური და უმწეო? არც კი გრცხვენიათ!

### **მასხარა**

იცოცხლე, ბიძაჩემო, ვისაც რიგიანი ჭერი აქვს თავზე, იმის თავში  
ყველაფერი რიგზეა.

ვისაც თავი რიგზე აქვს  
მას არ შეჭამს მკბენარი.  
ტილიანის თავში რაღაც  
ცხადია რომ ვერ არი!

უტვინო კაცის ფეხები  
ბებერებით ივსება,  
თავი სადმე მიდოს კიდევ,  
ძილი არ ეღირსება!

და იცი კიდევ რა? არ არსებობს ისეთი ლამაზი ქალი, სარკეში  
თავისი თავი ერთხელ მაინც არ დაიწუნოს.

*შემოდის კენტი*

### **ღირი**

ახლა მჭირდება მოთმინება. კრინტს აღარ დავძრავ!

### **კენტი**

მანდ რომელი ხარ?

### **მასხარა**

წმინდაო ქალწულო! ჩვენ ვართ: დიდი ბატონი და მისი შარვლის  
ტოპრაკი, ანუ, ბრძენი და სულელი!

### **კენტი**

აქ რას აკეთებთ? ვისაც უყვარს ღამით გამოსვლა,

მასაც ვერ ნახავთ ამ ამინდში. უსაფრთხო ბუნაგს  
არცერთი მხეცი არ დატოვებს! შიშით და ძრწოლით  
გაირინდება, გაეცლება ბუნების რისხვას.  
რაც თავი მახსოვს, მსგავს ქარიშხალს არ მოვსწრებივარ.  
ამდენი ელვა, მეხის გრგვინვა, ქარის ზუზუნი,  
შიშის ზარსა სცემს ადამიანს, კაცის ბუნებას.

### **ღირი**

რაკი ღმერთებმა გადაწყვიტეს ასე განრიხდნენ,  
ისიც განსაჯონ, ვის წინაშე, ვინ რა შესცოდა.  
არამზადებო, იცანცახეთ სუყველამ შიშით!  
მართლმსაჯულებას დიდხანს ვეღარ დაემალებით!  
როგორ მიჩქმალეთ სისხლიანი თქვენი ხელები.  
ფიცის გამტეხნო, გეშინოდეთ! სისხლის აღმრევნო!  
ყველა ჯურის დამნაშავენო! ვითომ კარგებო  
და კეთილებო! სინამდვილეში ჯალათებო!  
გარეთ გამოდით, ძირს დაემხეთ, მოინანიეთ!  
რაც მათ შესცოდეს ჩემს წინაშე, მე არ მიმიძღვის  
ისეთი ცოდვა.

### **კენტი**

აქ ნუ დგახართ, თან თავშიშველი!  
რალაც ქოხია, შორიახლოს. უნდა წამომყვეთ!  
ვიდრე ჩადგება ქარიშხალი, იქ შევეფაროთ.  
თქვენ რომ დაგტოვებთ, მერე წავალ, სახლს მივაშურებ,  
სადაც ახლახანს მოგიკითხეთ, მაგრამ პასუხად,  
კედლის ლოდებზე უარესი სიცივით დამხვდნენ.  
რამეს ვიღონებ

### **ღირი**

თავში ტვინი სულ ამერია.  
წამო, წავიდეთ, ჩემო ბიჭო. შენ როგორა ხარ?  
გცივა? მეც მცივა! ჩალა არის, ქოხში, ყმაწვილო?  
ეს რა სცოდნია გაჭირვებას! სანატრელია  
თურმე ასეთი სისამაგლეც! წამო, წავიდეთ.  
ჩემო მასხარა. გულში ისევ რალაცა ფეთქავს.  
გულს ებრალები.

## მასხარა

ჩალა კი არა, ტვინი ინატრე, ბიძაჩემო.  
თუ ჭკუა გაქვს, მაშინ ჭირიც ღზინია!  
კაცმა ჭერზე თვითონ უნდა იზრუნოს,  
თორემ წვიმა იმისია, იწვიმოს!

## ღირი

მართალს ამბობ, ჩემო ბიჭო! წავიდეთ იმ ქოხში.

*გადიან ღირი და კენტი*

## მასხარა

ისეთი ღამეა, ახურებულ ქალს გააგრილებს. ერთ  
წინასწარმეტყველებას გეტყვით და წავალ:

როდესაც მღვდელი თვითონ იზამს, რასაც ქადაგებს,  
როცა მელოდე, წყალწყალა ლუდს აღარ მოხარმაავს,  
როდესაც თერძი პატიოსნად გაუშვებს შემკვეთს,  
აღარ დაწვავენ რწმენის გამო, დასჯიან მრუშებს,  
სასამართლოებს დამნაშავე არ ეყოლება,  
მემამულეებს და რაინდებს ვალი არ შეჭამს,  
როდესაც ცილის მწამებელი ტყუილს არ იტყვის,  
ხალხის მასაში ჯიბის ქურდი არ გაერევა,  
როცა მევახშე პატიოსნად დაიწყებს დათვლას,  
ბოზი, დაანგრევს საროსკიპოს და ტაძარს დადგამს  
მაშინ ნამდვილად, თავდაყირა გადაბრუნდება,  
მთელ სამეფოში, ყველაფერი. მოვა ეს ჟამი!  
ფეხზე დადგება ჩვენი ხალხი. ვინც მოესწრება,  
ის დაინახავს, რომ ალბიონი გაბრწყინდება!

ეს მერლინის წინასწარმეტყველება უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე  
დავასწარი, უფრო ადრე დავიბადე.

*გადის*

## სურათი III

*გლოსტერის ციხე-დარბაზი.  
შემოდიან გლოსტერი და ედმუნდი*

### **გლოსტერი**

ოჰ, ოჰ, არ მომწონს ედმუნდი, ეს უწესო საქციელი. მინდოდა მეფის მიმართ თანაგრძნობა გამოემჩნა, მაგრამ ჩემს საკუთარ სახელში ხმაც არ ამომალებინეს, არც გაბელოო, მითხრეს, მისი დაცვაო, დახმარება არც გაიფიქროო.

### **ედმუნდი**

ღიას, სასტიკი და ცუდი საქციელია.

### **გლოსტერი**

არსად წამოგცდეს, ჰერცოგებს შორის უთანხმოებაა. დიდი ამბები ხდება. იცი, წუხელ წერილი მივიღე, – ამის ხსენებაც არ შეიძლება, ძალიან საშიშია! წერილი ჩემს უჯრაში ჩაკეტე. მეფის გამო შურს ვიძიებთო, მწერენ. ჯარი გადმოსხეს. ჩვენ მეფის მხარეს უნდა ვიყოთ. წავალ, მოვძებნი და გავამხნევებ. შენ ჰერცოგთან მიდი. ესაუბრე, არაფერი იგრძნოს. მე თუ მიკითხა, შეუძლოდ არის და წევს-თქო. გინდაც მომკლან, ვერ დამაშინებენ. მეფეს, ჩემს ბატონს უნდა დავეხმარო. არავინ იცის რა მოხდება, ედმუნდი, გემუდარები, ფრთხილად იყავი.

*გაღის*

### **ედმუნდი**

ჰერცოგთან მივალ და ყველაფერს გავაგებინებ. წერილს ვაცნობებ. კარგ ჯილდოსაც დავიმსახურებ. მამაჩემს რაც აქვს, წაართმევენ და მომართმევენ! როდესაც მამა დაეცემა, იქ შვილი დგება!

*გაღის*

## სურათი IV

*მინდორი. იქვე ქონი დგას.  
შემოდინ ლირი, კენტი და მასხარა*

### კენტი

აი, მოვედით! გთხოვთ, შებრძანდით ქონში, ბატონო!  
ჯოჯოხეთური ღამე გახლავთ. ამ ღია ცის ქვეშ  
როგორ გაუძლებს კაცი ყოფნას.

*ქარიშხალი მძვინვარებს*

### ლირი

მარტო დამტოვე.

### კენტი

ქონში შებრძანდით.

### ლირი

ფიქრობ, გული არ გაუსკდესო?!

### კენტი

არა, ბატონო, მირჩვენია, ეს გული გასკდეს.

### ლირი

ბუნება მართლაც გაკაპასდა, დაუნდობლად გვცემს,  
მაგრამ შენსავით არ მაწუხებს. ისე ვარ სავსე  
აუტანელი სხვა ტკივილით, რომ ვერაფერს ვგრძნობ.  
დათვი თუ მოგდევს, და წინ მხოლოდ ოკეანეა,  
ვერ გაექცევი დათვის ხახას. როგორ ბობოქრობს  
უფრო სასტიკი ქარიშხალი, თავში და გულში!  
რა გამიკეთეს უმადურმა ჩემმა შვილებმა!  
დაისჯებიან! არა! არა! არ ავტირდები!  
სად გამომაგდეს! წვიმა რაა, წვიმას ავიტან!  
ასეთ ღამეში სად გამიშვით! გონერილ, რიგან!  
მოხუცი მამა, ვინც მოგართვათ, კეთილი გულით,  
რაც რამ გააჩნდა. გავჩუმდები, თორემ ნამდვილად  
ველარ გაუძლებ. შევიშლები!

## კენტი

ქოხში შებრძანდით.

## ღირი

სჯობს თვითონ შედი. ძალიან გთხოვ. და მოისვენე.  
ამ ქარში ღგომა მიმსუბუქებს საშინელ ტანჯვას.  
კარგი, შევიდეთ!

### *მასხარას*

ჯერ შენ შედი, ჩემო ბიჭუნა.  
აღარც სახლი გაქვს, არაფერი... მიდი, შენ შედი.  
მე ლოცვას ვიტყვი, მერე მოვალ და დავიძინებ.

### *მასხარა შედის ქოხში*

თქვე უბედურო, უსახლკარო, მშიერ-მწყურვალო  
მაწანწალებო, სად დადიხართ, თავს სად აფარებთ?  
შიშველ-ტიტველნი, ქარიშხალში როგორ არსებობთ.  
სულ დაფლეთილი ძველმანები ვერ დაგიფარავთ  
სიცივისაგან, წვიმისაგან, და ვერც ქარისგან.  
რატომ არასდროს მიფიქრია, თქვენ რა დღეში ხართ!  
კაცმა მის თავზე უნდა იგრძნოს, ეგ გამოსცადოს,  
რომ მერე სხვასაც მიაწოდოს, როცა ბევრი აქვს.  
ზეცის წინაშე, სამართალი ეს იქნებოდა!

## ელგარი

### *ხმა ქოხიდან*

საუენ ნახევარი! საუენ ნახევარი! საბრალო ტომი!  
*გამოდის მასხარა*

## მასხარა

ოქ არ შეხვიდე, ბიძაჩემო! მოჩვენება ზის! მიშველეთ. მიშველეთ!

## კენტი

მომეცი ხელი. რაო, ვინ არისო?

## მასხარა

მოჩვენებაა. მოჩვენება! ამბობს, გიჟი ტომი ვარო!

### **კენტი**

ვინა ხარ მანდ, თივაში და რას ბურტყუნებ, გამოდი გარეთ!

*შემოდის ეღვარი გიჟად გადაცმული*

### **ეღვარი**

გზა, გზა მომეცით! ავი სული მომდევს! კუნელის ეკლებიდან ცივი ქარი უბერავს. წადი, შენს გაყინულ ლოგინში დაბრუნდი, იქნებ იქ გათბე.

### **ღირი**

შენც შენს შვილებს მიეცი ყველაფერი? იმიტომ ხარ ასე?

### **ეღვარი**

დაეხმარეთ საბრალო ტომს, რომელიც ავმა სულმა ცეცხლში გაატარა, ალში გაატარა, მორევში ჩააგდო, ჭაობშიც, შლამშიც. ბალიშის ქვეშ დანები დაუწყო! ფაფაში დარიშხანი ჩაუყარა! მერე თოხარიკ ცხენზე შესვა, ბეწვის ხიდზე გაუშვა, თავისი ჩრდილი მტრად მოაჩვენა და უკან დაადევნა. ხუთივე ნიჭი დაგელოცოთ. ცივა საბრალო ტომს. ო, ტა ტა ტა ტა! ღმერთმა დაგიფართო მორევისაგან, კუდიანი ვარსკვლავის წყევლისაგან, დაუფიქრებელი საქციელისაგან. შეეწიეთ საბრალო ტომს, ავი სული ტანჯავს. აი აქ არი, აქა, ახლა დავიჭერ. ვერა. გაიქცა.

### **ღირი**

შვილებს რა დღეში ჩაუგდიათ, ხედავთ რა უქნეს? სულ მათ მიეცი ყველაფერი? რა დაგიტოვეს?

### **მასხარა**

კიდევ კარგი, რაღაც საფარველი მაინც დაუტოვეს, თორემ სირცხვილს ვჭამდით!

### **ღირი**

ყველა სასჯელი, რასაც ზეცა ბოროტს მიაგებს, შენს ქალიშვილებს დაატეხოს შეცოდებისთვის!

### **კენტი**

მაგას არა ჰყავს, ჩემო ბატონო, ქალიშვილები.



### **ლირი**

აბა ღალატი, ან სიკვდილი, დაამცირებდა  
ვინმეს ამგვარად?! მხოლოდ შვილი მოახერხებდა!  
უმაღურები. თუმცა პასუხს ის კი არ აგებს.  
როგორც მე ვხედავ, ახლა წესი შემოუღიათ,  
იტანჯოს მამა, რაკი მან შვა ცუდი შვილები.

### **ეღგარი**

პილიკოკი შემომჯდარა პილიკოკის მთაზედა! ოლეი - ჰუ, ოლეი - ჰუ!

### **მასზარა**

ეს ცივი ღამე მალე ყველას ჭკუაზე შეგვშლის!

### **ეღგარი**

ერიდე ავ სულს! პატივი ეცი მშობლებს; ფიცი არ გატეხო; ტყუილად  
არ დაიფიცო; მეზობლის ცოლთან არ შესცოლო; შენს კეთილ გულს არ  
სძლიოს სიამაყემ; ტომს სცივა!

### **ლირი**

შენ ვინ იყავი?

### **ეღგარი**

კაცი ვიყავი, დიდებული, ამპარტავანი, ქედმაღალი. თმას ვინვევდი,  
მიყვარდა ქალი, მის ჭკუაზე დავდიოდი, მის ვნებებს ვაცხრობდი. ფიცს  
ვღებდი, მერე ურცხვად ვტეხდი. ავხორცულ სიზმრებს ვხედავდი და  
ცხადში ვასრულებდი. ბევრ ღვინოს ვსვამდი. კამათელს ვაგორებდი.  
ქალები მყავდა იმაზე მეტი, ვიდრე რომელიმე სულთან იოცნებებდა.  
ხელებს სისხლში ვისვრიდი. მიყვარდა მლიქვნელი, ვიყავი ცბიერი,  
ღორივით ზარმაცი, მელასავით წუწკი, მგელივით ხარბი, ძაღლივით  
ბრაზიანი, ლომივით მონადირე. ქუსლების კაკუნის და აბრეშუმის  
შრიალის გამო ქალი არ შეიყვარო. საროს კიპოში ფეხი არ შედგა,  
თამასუქს ნურავის მისცემ, ბოროტ სულს ერიდე. კუნელის ეკლიან  
ბურქებში ისევ ცივი ქარი ქრის. ღოფინ, შე ეშმაკუნა, მოეშვი, უბეროს  
თავისთვის!

*ქარიშხალი არ წყდება*

## ღირი

საფლავეში წოლა არ ვლობია ასე განრისხებული ზეცის ქვეშ ტანტალს? სულ ეს არის ადამიანი? კარგად დააკვირდით, არც აბრეშუმი გამოურთმევეა აბრეშუმის ჭიისთვის, არც ტყავი ცხოველისთვის. არც ცხვრის მატყლი სჭირდება, არც ნელსაცხებლები. აჰა, ვდგავართ აქ სამი ყალბი ადამიანი. ნამდვილი კი აი ეს არის. ტიტველი, ორფეხა ცხოველი.

შორს ჩემგან, ნათხოვარო სამოსო. მოდი, ეს შემიხსენი.

*ტანისაძოსს ივლეჯს*

## მასხარა

რას შეები, ბიძაჩემო, დაწყნარდი, ამ დამეში ცურვა მოგინდა? ოხ, ახლა სადმე მინდორში დაგვსვა, კოცონთან. ლოთს რომ გული უთბება, ისე გაგვითბებოდა ხორცი. როგორ ცივა! ნახეთ, ჩვენსკენ ცეცხლი მოდის!

*შემოდის გლოსტერი მაშხალით ხელში*

## ელგარი

ის არის, ის, ბოროტი სული, ფლიბერტიჯიბერთი. გამოვა ხოლმე სადამოს და მამლის პირველ ყვილაძმდე ასე დადის. ვინც შეხვდება, თვალში ქინძისთავს ჩაარჭობს, თვალებს დაუელმებს, კურდღლის ტუნს გაუკეთებს, პურის თავთავებს ჭრაქს შეყრის. ყველა სულიერს ემტერება!

ანგელოზო სამჯერ შემოგვიარე!

ცხრა ეშმაკი გზიდან ჩამოგვაშორე!

დააფიცე, ჩვენთან აღარ მოვიდეს!

ბოროტო სულო, წადი, გამშორდი...

## კენტი

როგორ ბრძანდებით, თქვენო უდიდებულესობავ?

## ღირი

ის ვინ არის?

## კენტი

ვინა ხარ მანდ? რას დაეძებ?

## გლოსტერი

თქვენ თვითონ ვინ ხართ? სახელი მითხარით?

### ელგარი

საბრალო ტომი ვარ, რომელიც ბაყაყებით და გომბეშოებით იკვებება, თაგვებით და ჯოჯოებით. დემონი სულ კუდში რომ დასდევს, თუ გააფთრდა, ფუნასაც შეაჭმევს, ვირთხასაც და ძაღლის მძორსაც. ზედაც ჭაობის მწვანე წყალს დააყოლებინებს. საბრალოს ურტყამენ და დევნიან, ტანჯავენ და ამწყვდევენ. იყო ღრო, სამი კოსტუმი და ექვსი პერანგი ჰქონდა,

ცხენით ჯირითობდა, იარაღს ატარებდა.

ახლა ვირთხები, თაგვებია ტომის საკვები.

შვიდი წლის ტანჯვა არ თავდება. ბოლო არ უჩანს.

რა გინდა, რას დამდევ. დაწყნარდი სმალკინ! რით ვერ დაამოშმინე შენი ავი სული

## გლოსტერი

თქვენო უდიდებულესობავ, ეს რა ხალხში ხართ!

### ელგარი

ბნელეთის მეუფე ღირსეული ვინმეა, მოდოს უწოდებენ სახელად და კიდევ მაჰუს!

## გლოსტერი

არ გამოგვადგა ჩვენ შვილები. რა გაგვიკეთეს! მშობელი როგორ შეიძულეს.

### ელგარი

საბრალო ტომი!

## გლოსტერი

მე წამომყევით. არ ვაპირებ დავემორჩილო თქვენი შვილების უბოროტეს, სასტიკ ბრძანებას. კარი ჩემს სახლში, მართალია, მათ ჩავიარაზეს, მეც ამიკრძალეს თქვენთან მოსვლა, მაგრამ აქა ვარ. მაინც წავიყვანთ ერთ ადგილას, სადაც გექნებათ სითბოც, ვახშამიც.

**ღირი**

დამაცალეთ, ამ ფილოსოფოსს  
გესაუბრები. როგორ ჩნდება ქუხილი, მეხი?

**კენტი**

მილორდ, წაყვეთ. უნდა წაყვეთ. უარს ნუ ეტყვით.

**ღირი**

ამ ბრძენ თებეელს ვეკითხები, ამიხსენით,  
თქვენი მოძღვრება რას გვასწავლის?

**ედგარი**

როგორ აღვუდგეთ ბოროტებას და მოვსპოთ იგი!

**ღირი**

ნება მომეცით, გესაუბროთ, ოღონდაც ცალკე!

**კენტი**

ისევ უთხარით, აიძულეთ. უნდა გამოგყვეთ.  
ველარ აზროვნებს, როგორც ხედავთ.

**გლოსტერი**

გაემტყუნება?

*ქარიშხალი არ წყდება*

ქალიშვილებმა გადაწყვიტეს, სიკვდილს მიუგდონ.  
როგორ გგონიათ, კეთილო კენტი, თვითონ არ იცის?!  
ამბობთ ჭკუაზე არ არისო. მაგ დღეში არ ვარ!  
მე ვაჟი მყავდა. ახლა მისი ხსენებაც არ მსურს.  
მანაც ისურვა ჩემი მოკვლა! როგორ მიყვარდა!  
არ უყვარს ასე, არცერთ მამას, თავისი შვილი.  
მწუხარებისგან, მეგობარო, ლამის გავგიჟდე.  
ეს რა ღამეა! წამობრძანდით.

**ღირი**

სერ, ერთი წუთით!

პატივცემულო, უცხო ბრძენო, თქვენც წამობრძანდით.

### **ედგარი**

ძალიან სცივა საწყალ ტომს!

### **გლოსტერი**

შედი ყმაწვილო, იმ შენს ქოსში, კარგად გათბები!

### **ღირი**

და ჩვენც შემოვალთ!

### **კენტი**

არა, თქვენ ჩვენთან!

### **ღირი**

მე მასთან მინდა!  
ჩემს ფილოსოფოსს არ დავტოვებ! ერთად ვიქნებით!

### **კენტი**

ნება მიეცით ეს ყმაწვილიც წამოიყვანოს, რაკი ასე სურს!

### **გლოსტერი**

წამოიყვანეთ!

### **კენტი**

წაველით, სერ! შენც წამოგკეცი.

### **ღირი**

წამობრძანდი, ფილოსოფოსო.

### **გლოსტერი**

ოლონდ შენი ხმა არ გავიგონო!

### **ედგარი**

გპირი როლანდი ჩაბნელებულ ციხეს მიაღდა.  
არავინ იყო იქ გამგონი, მაგრამ მაინც თქვა,  
აქ ბრიტანელთა სისხლის სუნი კვლავ ტრიალებსო.

*გაღიან*

## სურათი V

*გლოსტერის ციხე-კოშკი  
შემოდინ კორნუოლი და ედმუნდი*

### **კორნუოლი**

შურს რომ ვიძიებ, ამ სახლიდან მას მერე წავალ!

### **ედმუნდი**

ვიცი, ნამდვილად გამკიცხავენ, თქვენდამი ერთგულების გამო ბუნების კანონს ვარღვევ. ამის გაფიქრებაც მაშინებს.

### **კორნუოლი**

ახლა მივხვდი, შენმა ძმამ მამის მოკვლა იმიტომ კი არ გადაწყვიტა, რომ თვითონ არის ცუდი, არა, მამა არ ჰყავდა კარგი.

### **ედმუნდი**

როგორ დამცინის ბედი! სამართლიანი საქციელი, სანანებლად უნდა გამიხდეს. აი წერილი, რომელსაც ახსენებდა და რომელიც ადასტურებს, რომ საფრანგეთის მეფის ჯამუშია. ო, ღმერთო, ნეტავ ღალატი არ ჩაედინა, ანდა მე არ ვიყო, ვინც ის ამხილა.

### **კორნუოლი**

წავიდეთ ჩემს მეუღლესთან!

### **ედმუნდი**

თუ სიმართლეა, რაც აქ წერია, ძალზე მძიმე რამ დაგეკისრათ.

### **კორნუოლი**

ტყუილია თუ მართალი, მაგ წერილმა შენ გლოსტერის გრაფობა მოგიტანა. ახლა ეცადე გაიგო, მამაშენი სად იმყოფება. უნდა შევიპყროთ.

### **ედმუნდი**

*თავისთვის*

თუ გაირკვა, რომ მეფესთან წავიდა დასახმარებლად, უფრო იოლად დაიჯერებენ.

*ზამთაგლავა*

მოვალეობას ვერ ვუღალატებ. მშობელი მამის სიყვარულიც ვერ შემაჩერებს.

### **კორნული**

შენი იმედი მაქვს. ჩემი სიყვარული უკეთეს მამას გააბონინებს.

*გადიან*

## **სურათი VI**

*გლეხის ქონი გლოსტერის ციხე-კოშკის გვერდით  
შემოდინ კენტი და გლოსტერი*

### **გლოსტერი**

ღია ცის ქვეშ ყოფნას, აქ ყოფნა ჯობია. ამისთვისაც მაღლობელი ვიყოთ. წავალ და რასაც შევძლებ, ყველაფერს მოვაგვარებ. მაღლე გეახლებით.

### **კენტი**

ისეთ დღეშია, აღარ ესმის, რას აკეთებს. ღმერთი შეგეწიოთ ამ სიკეთისთვის.

*გლოსტერი გადის. შემოდინ ლირი, ედგარი და მასხარა*

### **ედგარი**

ფრატერეტო მეძახის. მეუბნება, ნერონი ზღვის ეშმაკია, ბნელი ფსკერიდან ამოდისო. ილოცეთ ბრიყვებო და ავ სულებს ერიდეთო!

### **მასხარა**

ბიძაჩემო, მითხარი, გიჟი ვინ არის, დიდგვაროვანი თუ მდაბიო?

### **ლირი**

მეფეა, მეფე!

### **მასხარა**

არა. მდაბიოა, ვისაც მისი ვაჟი დიდგვაროვანი ჰგონია. გიჟია, აბა რა, თუ მართლა ფიქრობს, ჩემი შვილი დიდგვაროვანიაო.

### **ღირი**

ათასი გავარვარებული ლახვარი შიშინით დაესოს!

### **ელგარი**

ვაიმე, ავმა სულმა ზურგზე მიკბინა!

### **მასხარა**

და კიდევ, გიჟი ის არის, ვისაც ჰგონია, რომ მგელი მოთვინიერდება, ცხენს არაფერი აწუხებს, ბიჭს სიყვარულის რამე გაეგება და მეძავს ფიცი დაეჯერება.

### **ღირი**

მორჩა, გადაწყდა! სასამართლოს უნდა გადავცე!

*ელგარს*

თქვენ აქ დაბრძანდით, განსწავლულო, დიდო მსაჯულო!

*მასხარას*

მობრძანდით, ბრძენო. აქეთ განლავთ თქვენი ადგილი!

სად ხართ, გამოდით, ქალბატონო მელაკუდებო...

### **ელგარი**

ესეც აქ არის, ნახეთ რა თვალებით გვიცქერის! მადამ, გნებავთ თქვენს სამსჯავროს ეს მზერა დაესწოს? მაგ ლელეში გამოდი, ბესი, მოდი ჩემთან!

### **მასხარა**

ძალიან უნდა, მაგრამ ნავი გახვერეტილია.

თან ლაპარაკი აუკრძალეს. ხმას ვეღარ იღებს.

მიზეზს ვერ ამბობს, რატომ ვერ მოდის.

### **ელგარი**

ავი სული ახლა ბულბულივით ეჭიკჭიკება ტომს. ჰოპდანსი კი კუჭში წრიალებს და ითხოვს, ერთი-ორი ნედლი ქაშაყი



ჩამოაგდეთო. მორჩი ყიყინს, შავო ანგელოზო, არ მაქვს, ვერ გაჭმევ!

### **კენტი**

როგორ ბრძანდებით, ძვირფასო სურ? რას უცქერთ ასე განცვიფრებული. სჯობს წამოწვეთ და დაისვენოთ.

### **ღირი**

ჯერ დავესწრები სასამართლოს. მოწმეებს უხმით!

*ედგარს*

მანტიამოსხმულ მოსამართლეს დაბრძანებას ვთხოვ.

*მასხარას*

თქვენ კი, კოლეგა, დაუჯექით გვერდით ამ მსაჯულს.

*კენტს*

სამეფო კარის რწმუნებულო, თქვენ აქ დაბრძანდით!

### **ედგარი**

სწრაფად შევუდგეთ აღსრულებას მართლმსაჯულების.

მწყემსო, კეთილო, სადა ხარ, გძინავს?

ვერ ხედავ, ველზე გაშლილა ფარა.

ერთი შესძახე ცხვრებს შენებურად,

თორემ მოისპო მთლიანად ყანა!

აცხა! რა უნდა ამ რუხ კატას!

### **ღირი**

ჯერ ამის საქმე განვიხილოთ. მისი სახელია გონერილი.

პატივცემულო საზოგადოებავ, შემიძლია ფიცით დავადასტურო, რომ მან წიხლისკვრით გააგლო სახლიდან საბრალო მეფე, თავისი მამა.

### **მასხარა**

მობრძანდით, ქალბატონო. თქვენ გონერილი გქვიათ?

### **ღირი**

ვერ იტყვის, არაო.

### **მასხარა**

ბოდიში, მე სკამი მეგონეთ!

### **ღირი**

ესეც მეორე! ალბათ ატყობთ კაპას სახეზე,  
გულის მაგივრად ქვა რომ უღევს! გარბის. გაგექცათ.  
სასამართლოში ქრთამს იღებენ, კორუფციაა!  
ეს არის შენი სამართალი?! რატომ მიეცი  
გაქცევის ნება!

### **ელგარი**

შეეწიე, ღმერთო, მის გრძნობებს!

### **კენტი**

სად გაქრა მეფევე, მოთმინების შენი უნარი,  
რომლითაც ასე ამაყობდი.

### **ელგარი**

*თაყისთვის*

რა საბრალოა,  
ცრემლს ვერ ვიკავებ. არ მინდა, რომ ტირილმა გამცეს.

### **ღირი**

ახლა ძაღლები დამესიენ, ციცქნა ლეკვები,  
ტრეი, ბლანშ, სუითჰართ. ერთი ნახეთ, როგორ მიყევენ!

### **ელგარი**

ნუ გემინათ, ტომი თავს მოიძრობს და მათ ესვრის. მოშორდით აქედან!  
თეთრი ხარ თუ შავი ხარ,  
ქოფაკი თუ მწვევარი,  
ბანჯგვლიანი, ცოფიანი,  
ნაგაზი თუ ფინია,  
გინდ უჯიშო, ჯიშინი,  
გრძელკუდა თუ სპანიელი,  
ტომი ყველას მოერევა,  
თქვენი არ ეშინია.  
თავს მოიძრობს. ახლა გესვრით!  
კუდამოძუებულები,  
ნახეთ, როგორ გარბიან.

აბა ჰე! ქსს! მიდით, შეესიეთ მოედნებს და ბაზრობებს,  
მოწყალეებს იქ იძლევიან. საბრალო ტომის ქილაში არაფერი  
ჩხაკუნობს!

### **ღირი**

მოვითხოვ რიგანის გაკვეთას. ნახეთ, რა სჭირს მის გულს. რა  
მიზეზია, რომ ასე გაუქვავდა.

### *ეღვარს*

ყმაწვილო, ჩემს ასეულში ჩაგრიცხეთ, ოღონდ არ მომწონს თქვენი  
სამოსი. თქვენ მეტყვეით საუცხოლოა, მაგრამ მაინც ვთხოვთ,  
გამოიცვალეთ.

### **კენტი**

მილორდ, ცოტა ხანს წამოწეკით და დაისვენეთ.

### **ღირი**

არ იხმაუროთ, ჩუ, სიჩუმე! დაუშვით ფარდა!  
ჰო, ასე, ასე. დავიძინოთ. დილით ვივანშმოთ.

### **მასხარა**

მამ დაღამებას აღარ ვუცდი. მეც დავიძინებ!  
*შემოდის გლოსტერი*

### **გლოსტერი**

სად არის მეფე, მეგობარო, ჩემი ბატონი?

### **კენტი**

აქ არის, მაგრამ, ცუდად არის. ნუ შეაწუხებთ.

### **გლოსტერი**

დრო აღარ იცდის. აიყვანეთ ხელში ახლავე!  
როგორც გავიგე, მისი მოკვლა უბრძანებიათ.  
აქვე მზადაა ტახტრევანი. შიგ ჩააწვინეთ.  
დაუყოვნებლივ დუერისაკენ გაემგზავრებით!  
გელოდებიან. დროზე! სწრაფად! თუ შეჩერდებით,  
ოცდაათ წუთში ყველაფერი გვიან იქნება.

ჩვენც, მის მომხრეებს, თვითონ მასაც, ვერავინ გვიხსნის.  
აბა, ასწიეთ. წამომყევით. უნდა ვიჩქაროთ.  
ხალხს გაგაყოლებთ. ეს საგზალი.

## კენტი

დაუძინია!

ტანჯული სული დაიქანცა. ძალა დაკარგა.  
ახლა მაღამოდ დაედება ძილი შენს სხეულს!  
იქნებ ვიშველოს, სალი გონი კვლავ დაგიბრუნოს.  
*მასხარას*

შენც მომეხმარე, ავიყვანოთ შენი ბატონი.  
მანდ რას ზოზინებ, მოდი, მოდი!

## გლოსტერი

დროზე, წავედით!

*ყველა გადის, ეღვარის გარდა*

## ეღვარი

შენზე უკეთესს, კაცს თუ ნახავ უარეს დღეში,  
ეს გიმსუბუქებს თითქოს მძიმე მდგომარეობას.  
ძნელი ყოფილა მარტობის ეულად განცდა,  
ასე გგონია, ყველა ლაღობს, ბედნიერია.  
საკმარისია დაუწყვილდე ვინმეს ტანჯვაში,  
მოგეჩვენება, თითქოს ტვირთი შეგიმსუბუქდა.  
ალარაფერი აღარ არის აუტანელი,  
ორნი ვყოფილვართ ერთნაირად. მარტო არა ვარ!  
მეფეც განდევნეს. ის შვილებმა, მე — მამაჩემმა.  
უნდა წახვიდე ახლა, ტომ. თვალი ადევნო  
რა ხდება ირგვლივ. დადგება დრო, ძალიან ძალე.  
ყველა გაივებს, რა უბრალოდ დაგწამეს ცილი.  
შენი სიმართლე დაგაბრუნებს ისევ მამასთან.  
ამ ღამით, ახლა, მთავარია, მეფემ მშვიდობით  
დააღწიოს თავი განსაცდელს. მასთან ვიქნები!

*გადის*

## სურათი VII

*გლოსტერის ციხე-დარბაზი  
შემოდინ კორნუოლი, რიგანი, გონერილი, ედმუნდი და მსახურები*

### კორნუოლი

*გონერილს*

დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ. ეს წერილი ქმარს გადაეცით.  
ფრანგებმა ჯარი უკვე გადმოსხეს.

*მსახურებს*

ის მოღალატე გლოსტერი უნდა იპოვოთ!

*რამოდენიმე მსახური გადის*

### რიგანი

ჩამოვანჩოთ.

### გონერილი

თვალეები დავთხაროთ.

### კორნუოლი

ეგ მე მომანდეთ. თვითონ ვიცი, რას გავაკეთებ. ედმუნდ, შენ ჩემს ცოლის დას გაჰყევი. მამაშენის დასჯას სჯობს არ დაესწრო. ჰერცოგს, ვისთანაც ახლა მიდიხარ, ჩემგან გადაეცი, რომ უნდა სასწრაფოდ მოემზადოს. ჩვენც ასე ვიზამთ. შიკრიკები მალე-მალე გავუგზავნოთ ერთმანეთს. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო დაო. მშვიდობით, ჩემო გლოსტერის გრაფო!

*შემოდის ოსვალდი*

რა ამბავი მოგვიტანე? მეფე სად არის?

### ოსვალდი

მეფე გლოსტერმა გააპარა. თან გააყოლა ოცდათხუთმეტი, იქნებ მეტიც, მისი რაინდი. ელოდებოდნენ, გარეთ, კართან. დიდებულებიც დაუდგნენ გვერდით, და თან გაჰყვნენ. ღუვრში მიდიან. ასე ამბობდნენ, იარაღი საკმაოდ გვაქვსო.

### კორნუოლი

ცხენი მორათვი შენს ქალბატონს.

### გონერილი

მშვიდობით, მილორდ.  
ძვირფასო დაო, შენც მშვიდობით!

### კორნუოლი

მშვიდობით ეღმუნდ.  
*გადიან გონერილი და ეღმუნდი*  
ის მოღალატე მომიძებნეთ, გრაფი გლოსტერი.  
აქ მოათრიეთ გაკოჭილი! ვიცი, ვერ მოგკლავ,  
*რამდენიმე მსახური გადის*  
თუ არ გადაწყვეტს სასამართლო. თუმცა შემიძლია  
გამოსავალი მაინც ვნახო. ხალხი გამკიცხავს.  
დიდი ამბავი. ამის გარდა რა შეუძლიათ!  
*შემოჰყავთ გლოსტერი*  
ეგ გამყიდველი მოიყვანეთ?! შე მოღალატე!

### რიგანი

ცბიერო მელა!

### კორნუოლი

შეუკარით ბებერს ხელები!

### გლოსტერი

რა დავაშავე, ბატონებო? თქვენ ჩემს სახლში ხართ,  
ჩემი სტუმარი! რად მაყენებთ შეურაცხყოფას!

### კორნუოლი

შეუკარით-თქო!

*მსახურები გლოსტერს ხელებს უკრავენ*

### რიგანი

უფრო მაგრად! შე გამყიდველო!

### **გლოსტერი**

გულქვა ყოფილხარ, ქალბატონო! მოღალატეს  
რისთვის მიწოდებ!

### **კორნუოლი**

სკამს მიაბით. მე შენ გიჩვენებ!

*რიგანი გლოსტერს წვერს გამოაგლეჯს*

### **გლოსტერი**

ღმერთმა ხომ იცის, რასაც სჩადი, არ გეკადრება!

### **რიგანი**

რა ორგული ხარ, შე ბებერო!

### **გლოსტერი**

ბოროტო ქალო,

თითოეული ბეწვისათვის, თეთრი წვერიდან  
რაც ამომგლიჯე, სათითაოდ მოგეკითხება.  
მასპინძელი ვარ დღეს მე თქვენი, მაგრამ რატომღაც,  
არაფრად მაგდებთ! რად მექცევით ავაზაკურად.  
მითხარით მაინც, რისთვის მერჩით!

### **კორნუალი**

სჯობს შენ გვითხარი,

საფრანგეთიდან რა წერილი მოვიდა შენთან.

### **რიგანი**

ვიცით, მიიღე, გვიპასუხე!

### **კორნუოლი**

რა კავშირი გაქვს

იმ ვერაგ მტერთან, ვინც ახლახანს ჯარი გადმოსხა!

### **რიგანი**

ვისთან გაგზავნე გიჟი მეფე, ხმა ამოიღე!

### **გლოსტერი**

ღიას, მივიღე მე წერილი, მაგრამ მომწერა ჩემთვის უცნობმა, უცხო კაცმა. მტერს ვის უწოდებთ?

### **კორნუოლი**

თვალთმაქცობ!

### **რიგანი**

ტყუი!

### **კორნუოლი**

მეფე სად გაგზავნე?

### **გლოსტერი**

ღუერში.

### **რიგანი**

ღუერში რატომ? ხომ გაგაფრთხილე, დაისჯებოდი?

### **კორნუოლი**

ღუერში რატომ? ამაზე უნდა გვიპასუხოს!

### **გლოსტერი**

თან მიბმული ვარ. შეურაცხყოფთ. ეს ავიტანო?!

### **რიგანი**

ღუერში რატომ?

### **გლოსტერი**

არ მინდოდა იმის დანახვა, მაგ ბრჭყალებით საბრალო მოხუცს რას უზამდი. შენი ვერაგი გამხეცებული, სასტიკი და, სად ჩაასობდა ცხოველურ კლანჭებს მის უღონო, ნაწამებ სხეულს. ჯოჯოხეთურად ბნელ ღამეში, თან თავშიშველი, ეხეტებოდა უგზო-უკვლოდ! იმ თავსხმა წვიმას, მოხუცებულის ცხარე ცრემლი ემატებოდა!



ასეთ ამინდში კარზე მგელიც რომ მოგდგომოდა,  
შენ უნდა გეთქვა, გაუღეთო, მაგრამ რას ვამბობ,  
ადამიანი ყველა მხეცზე უფრო მხეცია  
და სასტიკია! გულქვა შვილებს ღვთის რისხვა მალე  
თავს დაატყდება. დავინახავ

### **კორნუოლი**

ვერ დანახავ!

ვერ ეღირსები. გააკავეთ! მაგ თვალებს ახლა  
ფეხით გაგისრეს.

### **გლოსტერი**

მომეშველეთ! თუ სიბერემდე  
გსურთ რომ იცოცხლოთ! შეჯალათო! ჰოი, ღმერთებო!

### **რიგანი**

ახლა მეორეც, თვალმა სხვა თვალს რომ არ დასცინოს!

### **კორნუოლი**

ღვთის რისხვა გინდა დაინახო?

### **მსახური**

მილორდ, შეჩერდი,  
ნუ იზამთ ამას! გემსახურეთ მთელი ცხოვრება,  
მაგრამ თუ შევძლებ, შეგაჩეროთ, მაშინ ვიტყვოდი,  
ასეთი კარგი სამსახური, თქვენთვის არასდროს  
გამიწევია.

### **რიგანი**

როგორ ბედავ, შე ძალღიშვილო!

### **მსახური**

წვერი რომ გქონდეს, დაგაწიწკნი! რატომ აკეთებ!

### **კორნუოლი**

ეს მონა ნახეთ!

*მახვილს ამოიღებს და მსახურს მივარდება*

## მსახური

ჩემს სიმართლეს მაინც დავიცავ!  
*იბრძვიან. კორნუოლი დაიჭრება*

## რიგანი

მომეცი ხმალი! ამ მდაბიომ ეს რა გაბედა!

*მსახურს აიღებს, მსახურს გაეკიდება, ზურგში ჩასცემს და კლავს*

## მსახური

მე მომკლეს, მილორდ. ცალი თვალით ხომ დაინახეთ,  
როგორ მიიღო საკადრისი.

*კვდება*

## კორნუოლი

ამიერიდან

ვერ დაინახავ ველარაფერს! ფუჰ, საზიზლარი  
ლორწო მომედო. თქვი, რას ხედავ?!

## გლოსტერი

მხოლოდ სიბნელეს

და უმწეობას. შვილო ედმუნდ, ნეტავ სადა ხარ.  
შურისძიებით ავსებულმა, შენ აზღვევინე!

## რიგანი

შენ არც კი იცი ვის მოუხმე! იმას შენ სძულხარ.  
ედმუნდი ჩვენი ერთგულია. მან გაამხილა  
შენი ღალატი. შეგებრალებს, როგორ გგონია?!

## გლოსტერი

რა სულელი ვარ! თურმე ჩემს შვილს ცილი დასწამეს!  
როგორ ვერ მივხვდი. შეეწიე, უფალო ედგარს!  
მე კი შემიხდე.

## რიგანი

გარეთ გასვით. კარი გააღეთ!

ყნოსვით იაროს, თუ იპოვის გზას ღუკრისაკენ.

*გლოსტერი გაყავთ*

რა დაგემართა? რა სახე გაქვს?

## **კორნუოლი**

ფეხზე ვერ ვდგავარ.  
დამჭრა მდაბიომ. ქალბატონო, წამო, წავიდეთ.  
ბრმა გაათრიეთ. მოაშორეთ ეს მკვდარი მონაც!  
გადაისროლეთ სანეხვეზე. რიგან, სისხლი მდის.  
რა ღროს ეს იყო. ხელი მომე, უნდა დაგეყრდნო.  
*კორნუოლი და რიგანი გადიან*

## **მეორე მსახური**

ამ კაცს ეს როგორ უნდა შერჩეს, აღარ დავინდობ!

## **მესამე მსახური**

ასეთმა ქალმა სიბერემდე თუ მიაღწია  
და მერე სული განუტევა, მშვიდად და წყნარად,  
მაშინ ქალები ურჩხულები მართლაც ყოფილან.

## **მეორე მსახური**

მოხუც გრაფისთვის ბედლამელი გიჟი მოვებნოთ.  
ის გაუძღვება და მიიყვანს სადაც ინდომებს.  
უარს არ იტყვის.

## **მესამე მსახური**

შენ მოებნე. მე კვერცხის ცილას  
და ჩვარს მოვიტან. სისხლიანი სახე მოვწმინდო.  
უფლის იმედად დარჩა გრაფი.  
*გადიან*

# მეოთხე მოქმედება

## სურათი I

*ტრიალი მინდორი  
შემოდის ეღვარი*

### ეღვარი

ასე ყოფნა სჯობს, იცი მაინც, რომ ყველას სძულხარ.  
ვიდრე სძულდე და, პირფერობდნენ. თუმც ნებისმიერ  
საბრალო სულდგმულს, მუდამ რჩება ერთი ნუგეში:  
თუ აღარ დარჩა წასართმევი აღარაფერი,  
ბედის ცვლილება უკეთესი იქნება მისთვის.  
იმან იდარდოს, ვინც დაკარგავს კეთილდღეობას!  
შენ, მოთამაშე ბედ-იღბალო, ვერ შემაშინებ!  
ამაზე მეტი რა იქნება, მე დამემართოს!

*შემოდის გლოსტერი, რომელიც ვიღაც მოხუცს მოჰყავს*  
ვინ უნდა იყოს? მამაჩემი?! ვიღაცას მოჰყავს.  
რა ცვალებადი რამ ყოფილხარ, მართლაც სიცოცხლე!  
ამდენი ტანჯვით თავს გვაძულებ და სიბერემდე  
მისვლას არ გვაცლი.

### მოხუცი

მოიჯარე ვარ ღღესაც თქვენი. მამათქვენთანაც  
დიდხანს ვიყავი. ოთხჯერ ოცი წელი გავიდა.

### გლოსტერი

კარგი, დამტოვე, ხომ ხედავ რომ, ვერაფერს მშველი!  
უკან გაბრუნდი. საშიშია, ჩემს გვერდით ყოფნა.

### მოხუცი

გზას ვერ გაიგნებთ ასე მარტო, თვალები არ გაქვთ.

### გლოსტერი

არსაით მიდის მაინც ეს გზა, თვალი რად მინდა!  
როცა ვხედავდი, ფეხი სწორედ მაშინ დამიცდა.

ვიდრე თვალი გაქვს, მოხმარება უნდა იცოდე.  
როცა დაკარგავ, მერე ცოდნა აღარ გჭირდება!  
უსაყვარლესო შვილო ედგარ, რა უსამართლოდ  
დაგატყდა თავზე მოტყუებული მამის რისხვა.  
ნეტავ ველირსო, ერთხელ მაინც შეგახო ხელი.  
ვიტყოდი, თვალი ამეხილა-თქო!

### **მოხუცი**

ვინა ხარ აქ?

### **ედგარი**

*თავისთვის*

არასოდეს თქვა, უარესი რა იქნებო.  
აი, მოვიდა უარესი.

### **მოხუცი**

გიჟი ტომია.

### **ედგარი**

ვიდრე კაცს პირში სული გიდგას, უნდა გახსოვდეს,  
რომ უარესზე უარესი ყოველთვის არის!

### **მოხუცი**

საით მიდიხარ, შენ, ყმაწვილო?

### **გლოსტერი**

მათხოვარია?

### **მოხუცი**

ჰო, ერთი გიჟი, მათხოვარი

### **გლოსტერი**

ეგ მათხოვარი,

აღბათ მთლად გიჟი არ იქნება, რაკი მათხოვრობს.  
წუხელ საშინელ ქარიშხალში, მე ვნახე კაცი,  
მატლს როგორ გავდა. მომაგონა რატომღაც შვილი.

მაშინ ჯერ კიდევ, ბრაზით სავსე მქონდა ეს გული.  
რაღაც გავიგე სულ ახლახან. ბევრ რამეს მივხვდი!  
ჩვენ ღმერთის ხელში ისეთივე სათამაშო ვართ,  
როგორც ბუზები, დახოცილი ბავშვებისაგან,  
ისე, უბრალოდ, გასართობად.

## **ედგარი**

*თავისთვის*

როგორ მოვიქცე.

კვლავ გიჟი უნდა ვითამაშო. სხვა გზა არ არის!  
სხვაც მოვატყუო, ჩემი თავიც. ღმერთმა გიშველოს!

## **გლოსტერი**

ეგ მათხოვარი შიშველია?

## **მობუცი**

ღიას, ბატონო!

## **გლოსტერი**

წადი, შენ წადი. ძალიან გთხოვ, მარტო დამტოვე.  
თითქმის მოვედით ღუვრის გზამდე. ერთსა გთხოვ კიდევ.  
როგორც ერთგულად მემსახურე, ისეთი გულით,  
ახლა ამ საწყალს მოუტანე რამე სამოსი.  
აწი ღუვრისკენ ეგ წამიყვანს.

## **მობუცი**

ის ხომ გიჟია!

## **გლოსტერი**

ეგ არის სწორედ ჩვენი ღრვის უკუღმართობა:  
მიუძღვებიან ბრძებს გიჟები. რაც დაგავალე,  
ის გააკეთე. თუ ვერ შეძლებ, არაფერია.  
მანც დამტოვე.

## **მობუცი**

მე ბატონო, რაც გამაჩნია,

იმას მოეუტან. ასე იყოს.

*გაღიბ*

**გლოსტერი**

შენ, ტიტლიკანა,

მოდით აქ, ჩემთან!

**ედგარი**

სცივა ტომს!

*თავისთვის*

არა, მე ამას ვერ გავუძლებ!

**გლოსტერი**

მომიახლოვდი!

**ედმუნდი**

*თავისთვის*

უნდა მივიდე. სისხლი მოსდის. ღმერთმა გიშველოს!  
ნატკენი თვალი დაგიაძოს!

**გლოსტერი**

ღუერის გზა იცი?

**ედგარი**

ყველა გზა ვიცი, ყველა ბილიკი, საცალფეხოც. ყველა შარავზა, მაგრამ საბრალო ტომს ახლა ტვინი აქვს არეული. ღმერთმა დაგიფაროთ, კეთილო კაცო, ავი სულებიანსაგან. საბრალო ტომს ხუთი ეშმაკი ერთად შეუძვრა სულში: ჰობერდიკუტი, მრუშობის სული, ჰობიდიდანსი, ენის წამრთმევი, მაჰუ, მფარველი ქურდთა, მოდო — მკვლელების. ფლიბერთიჯიბერთი — მანჭვის და გრუნვის, ეს უკანასკნელი მოახლეებს არ ასვენებს. თქვენ ღმერთმა დაგლოცოთ, ბატონო!

**გლოსტერი**

აჰა შენ ქისა. ცუდ დღეში ხარ, როგორც შეგატყვე-  
იქნებ ამ ჩემმა უბედობამ ის მაინც შეძლოს,

შენ შეგეშველოს. ოდნავ მაინც. ნუთუ ძნელია, კეთილდღეობით და სიმდიდრით გალაღებულმა გაჭირვებაში ჩავარდნილი რომ შეიცოდოს! ვისაც ბევრი აქვს, ცოტა სხვასაც გაუნაწილოს! მაგრამ ამისთვის საჭიროა ჯერ ტანჯვა ნახოს. ღუვრი თუ იცი? იქ ყოფილხარ?

**ელგარი**

ღიას, ბატონო.

**გლოსტერი**

ერთი მაღალი კლდეა ღუვრში. დახრილი ქიმით აზვირთებულ ზღვას გადასცქერის. გემუდარები, ზედ ამიყვანე. დამაყენე იმ ქიმის პირას. რაც კი რამ დამრჩა, მე ჯიბეში, სულ შენი იყოს. დაგეხმარება, გაუმკლავდე მაგ სილატაკეს. როცა მიმიყვან, მერე წადი. იქ მე მეგზური აღარ მჭირდება.

**ელგარი**

მომე ხელი, და გაჰყევი  
საბრალო ტომს.

*გადიან*

## სურათი II

*ოლბენის მთავრის სასახლის წინ  
შემოდიან გონერული და ედმუნდი*

**გონერული:**

მობრძანდით, მილორდ! საოცარია, ჩემი მეუღლე არ გვეგებება?!

*შემოდის ოსვალდი*  
სად ბრძანდება შენი ბატონი?

**ოსვალდი**

შინ არის მაღამ. ველარ იცნობთ, სულ შეიცვალა. ჯერ ის ვუთხარი, რომ მტრის ჯარი უკვე გადმოსხეს.



პასუხად მხოლოდ გაიღიმა. მერე ვაცნობე, რომ თქვენ მოდიხართ. ამაზე თქვა, „მით უარესი!“ შემდეგ ვუამბე, იმ გლოსტერმა რომ გვილალატა, მისი შვილი კი, რა ერთგული გამოდგა ჩვენი. სულელი ხარო, ასე მითხრა, ვერაფერი შენ ვერ გაიგეო. ის ახარებს, რაც უნდა წყინდეს. სასიხარულო კი პირიქით.

## **გონერილი**

*ელბუნდს*

ნულარ შეხვედები.

გალაჩრებულა, არაფერში გამოგვადგება. ის ახლა ვერ გრძნობს, ვინ მტყუნია, ვინ მართალი. რაზედაც გზაზე ვიოცნებეთ, მალე ახდება. ახლა დაბრუნდი ჩემს სიძესთან და იმის ლაშქარს შენ ჩაუდექი სათავეში. აქ როლებს შევცვლი. ჩემს ბედოვლათ ქმარს თითისტარი უნდა ეკავოს. ამ ერთგულ მსახურს შუამავლად გამოვიყენებ. თუ შენ არ გასტენ შენს პირობას, არც ქალბატონი არ გილალატებს. ეს ატარე. ნურაფერს მტყვი.

*გაუწოდებს*

თავი დახარე. რომ შეეძლოს თუნდაც ერთ კოცნას სიტყვებად იქცეს, აგაფრენდა მალლა, ზეცამდე. მიხვედები ალბათ.

## **ელმუნდი**

სიკვდილამდე მხოლოდ შენი ვარ.

## **გონერილი**

უძვირფასესო ჩემო გლოსტერ!

*ელმუნდი გაღის*

ყველა კაცს კაცი უნდა ერქვას? ვერც შეადარებ. ნებისმიერ ქალს მოუნდება შენ გეთაყვანოს. ჩემი სხეული ვილაც სულელს გავუგდე ფეხქვეშ.

## **ოსვალდი**

მალამ, ჰერცოგი მობრძანდება.

### **გონერული**

შენთვის ვინ ვარ!

### **ოლბენი**

უკვე ის მტკვერიც აღარა ხარ, ქარი რომ გვაყრის.  
რა საშინელი ბუნება გაქვს! თუ მშობელ მამას  
არაფრად აგდებ, ამის შემდეგ ვინ უნდა გენდოს?!  
საკუთარ ნებით ფესვებს იჭრი! სიცოცხლის ძალა  
რამ უნდა მოგცეს?!

### **გონერული**

რა ბოდვაა! რას ლაპარაკობ!

### **ოლბენი**

სიბინძურეში ჩაბირულებს სიკეთე ბოდვად  
მოგეჩვენებათ. თქვენი თავით ზომავთ ყველაფერს!  
რა ჩაიდინეთ! შეილები ხართ, თუ ცხოველები!  
კეთილი მამა, თანაც უკვე ასე მოხუცი!  
მძვინვარე დათვიც ალბათ ხელებს გაულოკავდა.  
ბარბაროსებო, გადაგვარდით, სულ შეიშალეთ?!  
შენი დის ქმარი რას აკეთებს? ისიც ხომ არის  
პატივცემული, მეფისაგან დავალებული.  
ზეცამ სასწრაფოდ მოავლინოს დედამიწაზე  
ვინმე, ვინც შეძლებს შეაჩეროს ეს ბოროტება,  
თორემ გამხეცდა ადამიანი. დაეძგერება  
ხალხი ერთმანეთს, ვით ცხვრის ფარას მშიერი მგელი.  
ძალიან ძალე!

### **გონერული**

შე მშიშარა, შე ქალაჩუნა!

რისთვის გაბია ნეტავ თავი. ტვინი სადა გაქვს!  
ვერ გაგიგია, ვინ მტერია, ვინ კი მოკეთე.  
არც თვალს უჯერებ და არც ყურებს. მხოლოდ სულები  
გამართლებდა მოლალატეს. მტერი მოგვადგა  
და გვემუქრება. უნდა რეკდე განგაშის ზარებს!

ფრანგების ღრომა აფრიალდა ჩვენს ქვეყანაში!  
აბჯარასხმული გაემზადო უნდა საომრად!  
შენ კი დამდგარხარ, ლაპარაკობ აქ ზნეობაზე,  
რას აკეთებთო!

**ოლბენი**

შე სატანა, შენს თავს შეხედე!  
არა, ეშმაკიც არ იქნება ისე საშიში,  
როგორც ქალია, ავი სული თუ შეუსახლდა!

**გონერული**

ბრიყვო, სულელი!

**ოლბენი**

უსირცხვილო, ძალიან ცდილობ  
ნამდვილი სახე გადამალო, არ დავინახოთ,  
რა ურჩხული ხარ. ამ ჩემს ხელებს, ნება რომ მივცე,  
სულ ნაკუწ-ნაკუწ დაგიგლეჯდნენ ხორცსაც და ძვალსაც.  
მანც ქალი ხარ, ეს მაჩერებს.

**გონერული**

შენ თუ ხარ კაცი!  
*შემოდის შიკრიკი*

**ოლბენი**

რა ამბავია?

**შიკრიკი**

კორნუოლის ჰერცოგი მოკლეს.  
მისმა მსახურმა, როცა გლოსტერს მეორე თვალსაც  
სთხრიდა ჰერცოგი.

**ოლბენი**

რა თქვი, გლოსტერს თვალებს სთხრიდაო?

**შიკრიკი**

მისი გაზრდილი კი ყოფილა თურმე მსახური.

თავის ბატონის სისასტიკე ვერ აიტანა.  
მახვილით ეცა. იქვე მოკლეს. მაგრამ მანამდე  
მანც მოასწრო, დაჭრა ჰერცოგი. ისიც მკვდარია.

### **ოლბენი**

ყველაფერს ხედავ! არ დატოვებ ბოროტს დაუსჯელს.  
მასაც მიეზლო, თან რა სწრაფად. საბრალო გლოსტერ!  
ორივე თვალი?

### **შიკრიკი**

ღიას, მილორდ. ორივე თვალი.  
წერილი, მაღამ, თქვენთვისაა. თქვენი და პასუხს  
სასწრაფოდ ელის.

### **გონერული**

*თავისთვის*  
ეს ამბავი ძალიან მომწონს.  
მაგრამ დაქვრივდა. მასთან არის ჩემი გლოსტერი.  
ოცნების კოშკი არ დამენგრეს. თუმცა, რაც მოხდა,  
ცუდი არ არის.

*შიკრიკს*  
წავიკითხავ და პასუხს მოგცემ.  
*გადის*

### **ოლბენი**

თვალებს რომ სთხრიდნენ, მისი შვილი სად ბრძანდებოდა?

### **შიკრიკი**

აქეთ წამოყვა თქვენს მეუღლეს.

### **ოლბენი**

ის აქ არ არის!

### **შიკრიკი**

უკან დაბრუნდა. გზაში შემხვდა, რომ მოვდიოდი.

## ოლბენი

იცის რაც მოხდა?

## შიკრიკი

იცის. თვითონ მან დააბეზლა.

სწორედ იმიტომ მიატოვა იქაურობა,  
არ შეეშალა მათთვის ხელი.

## ოლბენი

საბრალო გლოსტერ,  
მთელი ცხოვრება, მაღლობელი ვიქნები შენი.  
რა ერთგულებით ემსახურე მეფეს ბოლომდე.  
მაგ თვალებისთვის შურს ვიძიებ. წამოდი ჩემთან.  
თუ რამე იცი, მეგობარო, წვრილად მიაძებე.  
*კადიან*

## სურათი III

*ფრანგთა ბანაკი, ღუვრთან ახლოს  
შემოდინ კენტი და ერთი დიდებული*

## კენტი

საფრანგეთის მეფე ასე უეცრად რატომ გაბრუნდა უკან? რა  
მოხდა, მიზეზი არ იცი?

## დიდებული

ქვეყნის შიდა პრობლემები. დიდი საფრთხის წინაშე დამდგარან.  
მეფე სასწრაფოდ იხმეს. სჩანს, მის გარეშე ვერ მოაგვარეს.

## კენტი

თავის სანაცვლოდ ჯარის უფროსად ვინ დატოვა?

## დიდებული

საფრანგეთის მარშალი, მესიე ლა ფარი.

## კენტი

დედოფალი ჩემმა წერილმა ალბათ ძალიან დაამწუხრა.

## დიდებული

რომ გამომართვა, იქვე გახსნა, კითხვას შეუდგა.  
ლამაზ ღაწვებზე ღაპა-ღუპით სდიოდა ცრემლი.  
როგორ ცდილობდა, თავის გრძნობებს გამკლავებოდა!  
ძლიერი განცდა დაეუფლა. ამ მწუხარების  
დამალვა სურდა.

## კენტი

მაგრამ ჩანდა, გული ეტკინა!

## დიდებული

თავს იკავებდა. არც კი ვიცი, როგორ გადმოგცეთ,  
რას განიცდიდა. ერთდროულად, მზეც ანათებდა,  
თან წვიმდა, წვიმდა. განუწყვეტლივ. როცა ტიროდა.  
ამასთანავე, შეუმჩნეველად ილიმებოდა.  
თითქოს ბაგეებს არ ესმოდათ, რატომ ცვიოდა  
თვალთაგან ცრემლი, მარგალიტად რად იბნეოდა.  
ასე მშვენიერ სევდის განცდას, არის ვინმე, რომ  
არ ინატრებდა?!

## კენტი

არ თქვა რამე? სიტყვა არ დაძრა?

## დიდებული

„მამა“ – წარმოთქვა ერთი-ორჯერ. და სულ ეს იყო.  
თითქოსდა გულზე მძიმე ლოდი სუნთქვას უშლიდა.  
მერე იყვირა, „დებო! დებო! უნდა გრცხვენოდეთ!  
კენტი! მამა! დებო, რა ქენით, როგორ გაუშვით  
ღამით, საშინელ ქარიშხალში! წარმოდგენაც კი  
არ შემიძლია“. შემდეგ ისევ იფეთქა ცრემლმა.  
ხმას ვერ იღებდა. უცებ ადგა და გამეცალა.  
უნდოდა მარტო დარჩენილიყო.

## კენტი

ყველაფერი

ზეცაში წყდება. ვარსკვლავები ალბათ ბედ-იღბალს იქ განაგებენ. თორემ შვილებს, ერთმანეთისგან ასეთნაირად განსხვავებულთ, კაცი ვერ იქმდა. სხვა საუბარი არ გქონიათ?

## დიდებული

მას მერე არა.

## კენტი

როცა ეს მოხდა, საფრანგეთის მეფე იქ იყო?

## დიდებული

არა.

## კენტი

უკვე დუვრშია მეფე ლირი. ზოგჯერ, დროდადრო, მხსიერება უბრუნდება. როცა გონება გაუნათდება, ახსენდება, თავს რა გადახდა. კორდილიასთან შეხვედრაზე ვერ დაითანხმეს. კვლავ უარზეა.

## დიდებული

რატომ ნეტავ, რა მიზეზია?

## კენტი

რცხვენია. იცის, უსამართლოდ მოიქცა მაშინ. შვილი დაწყევლა გამეტებით და გააძევა. როგორ დატოვა უცხო ქვეყნის მეფის ამარა! ყველა უფლება ჩამოართვა და მის გულქვა დებს გადაულოცა. არ ასვენებს სინდისის ქენჯნა. სირცხვილით იწვის, კორდილიას ვერ ეკარება.

## დიდებული

საბრალო კაცი!

## კენტი

კორნუოლის და ოლბენის ჯვარის  
რამე ამბავი ხომ არ იცი?

## დიდებული

აქეთ მოდიან.

## კენტი

წამო, მიგიყვან ჩვენს მეფესთან. მასთან დაგტოვებ.  
ვერ გამოვჩნდები ჯერ ღროებით. მაქვს მე მიზეზი.  
ვერც ვინაობას ვერ გაგიმხელ, მაგრამ გარწმუნებ,  
როცა შეიტყობ, არ ინანებ, რომ გამიცანი.  
ახლა წავიდეთ. გამომყევი. მეფესთან მივალთ.

*გადიან*

## სურათი IV

*შემოდინ დაფაფებით და ბაირალებით  
კორდილია, ექიმი და ჯვარისკაცები*

## კორდილია

მართლაც ის არის, სამწუხაროდ. სადღაც უნახავთ.  
გაგიჟებული ღარბის თურმე, ხმამალა მღერის.  
გვირგვინი ადევს ბალახების. დაუკრეფია  
ბაბუაწვერა, შხამა, ჭინჭარი, მინდვრის ყაყაჩო.  
სარეველები, პურის ყანებს რომ ედებიან.  
ხალხი გავგზავნე მოსაძებნად. უნდა იპოვონ.  
მთელი მინდვრები დაიარონ. აქ მოიყვანენ.  
ოღონდაც ვინმემ, შერყეული მისი გონება  
სულ ოღნავ მაინც დაულაგოს, რაც გამაჩნია,  
ყველაფერს მივცემ.

## ექიმი

ქალბატონო, არის წამალი.  
ბუნება ამბობს, მკურნალია ძილი ყველაფრის.



მას ეს აკლია. შეგვიძლია ძილი მოვკვაროთ.  
სამსალა ვიცი, უებარი, ძალიან ბევრი.  
სიმშვიდეს მისცემს, სულს დაუცნობს და დაუამებს.

### **კორდილია**

ბუნების ყველა საოცრებას, ყვავილს თუ ბალახს,  
მათში ჩამალულ, ამოუცნობ, ჯადოსნურ ძალას  
ჩემი ცრემლებით ვასაზრდობ, მოვეფერები,  
თუ ის განკურნავს მამაჩემის სულიერ ტანჯვას.  
წადით ახლავე, მომინახეთ, აქ მომიყვანეთ.  
თავის თავს რამე არ აუტეხოს.

*შემოდის შიკრიკი*

### **შიკრიკი**

გვაცნობეს, მემ,  
დიდი ლაშქარი ბრიტანეთის, აქეთკენ მოდის.

### **კორდილია**

მაგას ველოდი. ჩვენც მზადა ვართ მათ დასახვედრად.  
ქვირფასო მამა, შენს გამო ვარ მე აქ მოსული.  
ძლივს დავითანხმე ფრანგთა მეფე, წამოსულიყო.  
ომის მიზეზი ამბიცია არვის ეგონოს,  
ეს არის დიდი სიყვარული მოხუცი მამის!  
უნდა დავიცვა, აღვადგინო მის უფლებებში.  
სულ მალე ვნახავ, ხმას გავიგონებ.

*გადიან*

## სურათი V

*გლოსტერის ციხე-დარბაზი  
შემოდინ რიგანი და ოსვალდი*

**რიგანი**

ჩემის სიძის ვჯარი დაიდრა?

**ოსვალდი**

დაიდრა, მაღამ!

**რიგანი**

თვითონაც არის?

**ოსვალდი**

აიბუღეს თურმე როგორღაც.  
თქვენი და უფრო გამბედავი გამოდგა ბოლოს.

**რიგანი**

ედმუნდი შეხვდა, ესაუბრა, თუ იცი, ჰერცოგს?

**ოსვალდი**

არა, ვერ შეხვდა.

**რიგანი**

ნეტავ რას წერს ჩემი და ედმუნდს?

**ოსვალდი**

არ ვიცი, მაღამ.

**რიგანი**

ჩვენ ედმუნდი ახლა გავგზავნეთ,  
მნიშვნელოვანი საქმის გამო. ძალიან შეეცდით,  
თვალეებდათხრილი გლოსტერი რომ გარეთ გავაგდეთ.  
უნდა მოგვეკლა! რას ჩაიდენს, არავეინ იცის!  
არ აამხედროს ჩვენი ხალხი! ჰოდა ედმუნდი,

მის ბნელ სიცოცხლეს დაასრულებს. სულ დაუბნელებს.  
ამასთანავე ფრანგების ჯვარს დაზვერავს კიდეც.

### **ოსვალდი**

რა ვქნა, სასწრაფოდ უნდა ვნახო, წერილი მივცე.

### **რიგანი**

ხვალ დაიდრება ჩვენი ჯარი. მანამდე დარჩი.  
სახიფათოა ღამით გზები!

### **ოსვალდი**

არ შემიძლია!

ჩემს ქალბატონს სურს, ეს ბარათი ღროზე გადავცე.

### **რიგანი**

ნეტავ დაწერა რად დასჭირდა. დანაბარებს ხომ  
ისეც ეტყობი. ალბათ რაღაც სხვა ამბავია,  
რაც მე არ ვიცი. არ ინანებ, ნებას თუ მომცემ  
წერილი გავხსნა.

### **ოსვალდი**

ვერა, მაღამ, არ შემიძლია.

### **რიგანი**

ქმარი არ უყვარს შენს ქალბატონს, მე ამას მივხვდი.  
რადგან ახლახანს, აქ რომ იყო, რაღაცნაირად  
უცქერდა ედმუნდს. უელავდა ძალზე თვალები.  
გეცოდილება, თუ რა ხდება. შენა ხარ მისი  
მესაიდუმლე.

### **ოსვალდი**

ქალბატონო, რას მეუბნებით?

### **რიგანი**

შენთან პირდაპირ ვლაპარაკობ. ვიცი რას ვამბობ.  
და რასაც გეტყვი, გირჩევ კარგად დაიმახსოვრო.

უკვე მკვდარია ჩემი ქმარი. მე და ედმუნდმა  
ავწონ-დავწონეთ ყველაფერი. ჰოდა, შევთანხმდით!  
მას ჩემთან ყოფნა უფრო აწყობს, ვიდრე ჩემს დასთან.  
ახლა გაიგე? როცა ნახავ, მე ნებას გაძლევ  
ასე გადასცე. შენს ქალბატონს, წვრილად უთხარი,  
რაც მოისმინე. თან ურჩიე, მისთვის აჯობებს,  
კარგად დაფიქრდეს. სულ ეს არის. ახლა მშვიდობით.  
იმ თვალებად თხრილ მოლალატეს თუ გადააწყდის,  
არ დაივიწყო, მკვლეელი ჯილდოს დაიმსახურებს.

### **ოსვალდი**

ერთი ვიპოვო სადმე, მადამ, მაშინვე ნახავთ,  
ვის მხარეზე ვარ.

### **რიგანი**

კარგი, მშვიდობით.

*გადიან*

## **სურათი VI**

*დუვერთან, მინდორში.*

*შემოდინან გლოსტერი და ედგარი*

### **გლოსტერი**

კლდის წვერისაკენ არ მივდივართ?

### **ედგარი**

უკვე ავდივართ.

აღმართს ვერა გრძნობ?

### **გლოსტერი**

მეჩვენება. სწორზე დავდივართ.

### **ედგარი**

არა, ციცაბო აღმართია. ზღვის ხმა არ გესმის?

## **გლოსტერი**

არა. ნამდვილად!

## **ელგარი**

ისე გტკივა, ალბათ თვალები,  
რომ ვერაფერსაც ველარა გრძნობ.

## **გლოსტერი**

მგონი ასეა.  
შენი ხმა თითქოს შეიცვალა. სხვაგვარად მესმის.

## **ელგარი**

აი, მოტყუედი. შემეცვალა მხოლოდ სამოსი,  
სხვა არაფერი.

## **გლოსტერი**

მაინც ვფიქრობ, უკეთ მეტყველებ.

## **ელგარი**

წვერზე აველით. ქიმზე ვდგავართ. რა საშინელი  
ადგილია! თვალს ვერ უწვდენ, რომ ჩაიხედავ.  
ყვავ-ყორნებიც კი არ დაფრენენ ამ სიმაღლეზე!  
სადაც შუამდე ამოდიან და მწერებს გვანან.  
კლდეზე კაცია დაკიდული, ზღვის სატაცურს კრეფს.  
არ ეშინია? ერთი ციცქნა მოჩანს აქედან.  
მეთევზეები თავგებივით მიდი-მოდიან.  
იქით გემია, ლუზაზე დგას. ნავს გავს შორიდან!  
ისე მაღლა ვართ, ზღვის ხმაური აქ არც კი აღწევს.  
თავბრუ მეხვევა, ლამისაა გადავიჩიხო

## **გლოსტერი**

მანდ მიმიყვანე, სადაც დგახარ.

## **ელგარი**

მომეცი ხელი.  
რა უნდა მომცენ, ოღნავ მაინც, წინ წავიწიო.

### **გლოსტერი**

გამიშვი ხელი, მეგობარო. ეს გამომართვი,  
რაც ქისაშია, შენისთანა ღარიბისათვის  
განძი იქნება! მოიხმარე სულ სიკეთეში.  
დამტოვე, წადი. მეც მისურვე, გზა მშვიდობისა.  
ნაბიჯების ხმა გამაგონე. ნულარ აყოვნებ!

### **ელგარი**

ღმერთმა მშვიდობა მოგანიჭოთ.

### **გლოსტერი**

მეც გულით გლოცავ.

### **ელგარი**

*თავისთვის*

სასოწარკვეთილს მოვექეცი ასე იმიტომ,  
სხვა გზა ვერ ვნახე, რით ვუშველო.

### **გლოსტერი**

მაღალო ღმერთო,

ვემშვიდობები მე სამყაროს საკუთარ ნებით.  
ძალა არ შემწევს, ავიტანო ამდენი ტანჯვა.  
ვერ დაველოდე, ნაბოძები შენგან სიცოცხლე  
ნელ-ნელა როდის მინავლდება. სიცოცხლეს არა,  
სულიერ ტკივილს გავურბივარ. მიზეზი იცი  
შენ, ერთადერთმა. თუ ელგარი ცოცხალი არის,  
მას შეეწიე, მას უშველე, გემუდარები.  
ახლა მშვიდობით.

*იქვე ეცემა*

### **ელგარი**

მშვიდობით, სერ, უკვე წახვედით?

საოცარია, რას არ სჩადის ადამიანი.  
თავის სიცოცხლეს, უდიდეს განძს, თვითონ იპარავს!  
როცა ცხოვრება ნებისმიერ ქურდზე უკეთადაც  
ახერხებს ამას. ცოცხალი ხარ? სერ, ხმა გამეცი!  
რამე მითხარი. ხომ არ მოკვდა, ნეტავი მართლა!  
ცოცხალი არის. თავს როგორ გრძნობთ?

## გლოსტერი

მაცალე, ვკვლები!

### ელგარი

რა ხარ, ქარი ხარ? ბუმბული ხარ, თუ ჰაერი ხარ?  
იმ სიმაღლიდან ჩამოვარდი, ცოცხალი დარჩი?!  
არ დამტვრეულხარ, არც სისხლი გდის, სუნთქავ კიდევაც.  
როგორ გადარჩი! არაფერი დაგშავებია!  
ძალიან მიკვირს. ათი ანძა რომ გადააბა,  
სწორედ ასეთი სიმაღლიდან უცებ დაეშვი!  
რა სასწაულმა გიხსნა ნეტავ, ვერ გამიგია.

## გლოსტერი

როგორ, მე მართლა ჩამოვვარდი?

### ელგარი

თანაც საიდან!

ერთი შეხედე იმ თეთრ კლდეებს. მაღალ ქიმს ხედავ?  
ტოროლას ხმაც კი ვერ მიაღწევს ალბათ იქამდე.  
შეხედე, მეთქი!

## გლოსტერი

რას შევხედო, თვალები არ მაქვს!

ნუთუ სიკვდილის ღირსიც არ ვარ. ნუგეშს ვერასდროს  
ველარ ვიპოვი? რატომ მტანჯავ ასე სატიკად!

### ელგარი

მოდე, ადექი. მომე ხელი. ფეხზე ხომ დგახარ?  
თავს როგორა გრძნობ?

## გლოსტერი

კარგად. კარგად.

### ელგარი

სასწაულია!

იქ რომ იდექი, მაღლა, წვერზე, გვერდით ვინ გყავდა?

## გლოსტერი

ერთი ღატაკი უბედური მათხოვარია.

## ელგარი

აქედან როგორც დავინახე, თვალები ჰქონდა  
ვით სავსე მთვარე, ორი ცალი. და უამრავი  
ცხვირი სახეზე. თავზე რქები, ისე იქნევდა,  
გეგონებოდა ზღვა ღელავსო. ეშმაკი იყო.  
ღმერთს უმაღლოდღე, სწორედ იმან გადაგარჩინა!

## გლოსტერი

ალბათ ასეა. იმან მიხსნა. ყველაფერს მივხვდი!  
სურს რომ ვატარო ჩემი ჯვარი აღსასრულამდე.  
ვიდრე არ მეტყვის, უკვე კმარა, დაისვენეო.  
ადამიანი კი მეგონა, ჩემთან ვინც იყო,  
თუმც წარამარა იძახოდა, ავი სულიო!  
იმ ადგილამდე მიმიყვანა.

## ელგარი ელგარი

მორჩა, დამშვიდდი.

უნდა დაწყნარდე. ეს ვინ არის, აქეთ რომ მოდის,  
*შემოდის ლირი, ყვავილებით მორთული*  
ჭკუაზე მყოფი ასე რატომ მოირთვებოდა?

## ლირი

ხელს ვერ მახლებენ, ვერ მეტყვიან, ფულს რატომ ჭრიო.  
მე ხომ მეფე ვარ. ეს არ არის, ჩემი უფლება?!

## ელგარი

ო, რა მძიმეა ამის ცქერა!

## ლირი

ბუნება ხელოვნებაზე მაღალია ზოგ შემთხვევაში. ეს ფული  
ჯარის შემკრებებს გადაეცით. ნახე, მშვილდი როგორ უჭირავს!  
საფრთხობელაა! ერთი ეგ მკერავის ადლი აქეთ მომაწოდეთ!  
თავვი! თავვი! შემწვარი ყველით მოვიტყუებ. სად არის ჩემი



ხელთათმანი! უნდა ვესროლო. ამ გოლიათს ვიწვევ! ალებარდები მოიჭანეთ! ყოჩაღ, შურდუღლივით მიქრის მიმინო. მიდი! მიდი! რაო? პაროლი მითხარი.

### **ელგარი**

თავშავა.

### **ღირი**

გაიარე.

### **გლოსტერი**

ეს ხმა მეცნობა.

### **ღირი**

ოჰო, გონერილი, თეთრი წვერით! ძალღივით მელაქუცებოდნენ, მეუბნებოდნენ, წვერში ჭადარა გაგრევიო. მაშინ ჯერ შავიც არ მქონდა. ყველაფერზე ამბობდნენ „ჰო“ „არა“, რასაც არ ვიტყოდი. „ჰო“ ჰო უნდა იყოს და „არა“ არა. ასე გვასწავლის საღვთო წიგნი. როცა გაწვიმდა და დავსველდი, ქარმა დაუბერა და შემცივდა, როცა ჭექა-ქუხილი აღარ დამემორჩილა, მაშინ გავიგე, ვინ ვინ იყო. მივხვდი, რომ მათ სიტყვას ფასი არ ჰქონდა. ყველაფერი ხარო. ტყუილია, არაფერიც არა ვარ! სიცივე მკლავს.

### **გლოსტერი**

ხმა კარგად მახსოვს. მეფეა, ხომ?

### **ღირი**

დაახ, მეფე ვარ!

ერთი შეხედეთ, რას კანკალებს. როცა მე მხელავს!

ამ ადამიანს შევიწყალებ! რა დაამავე?

ცოლს უღალატე? ღალატისთვის კაცს როგორ მოვკლავ!

ციცქნა ბუზიც ხომ მაგას შვება. ჩიტი ნიბლიაც

ჩემს თვალწინ მრუშობს. ცუდს ამაში ვერაფერს ვხედავ.

უფრო პირიქით. აბა ნახეთ გლოსტერის ბუში!

მას უფრო უყვარს მამამისი, ვიდრე ჩემს შვილებს,

კანონიერად გაჩენილებს. მათ არ ვუყვარვარ!

მიდით, იმრუშეთ, გაიხარეთ. ჯარისკაცები  
მჭირდება ბევრი! ქალს რომ შეხედავ, გეგონება  
მორცხვი, უმწიკვლო, კრძალვით სავსე. მიეცი ნება,  
ნახე რას იზამს! ანგელოზი აღვირახსნილი!  
ზემოთ რაც არის, ის ნაწილი, ღვთაებრივია.  
წელსქვემოთ გახლავთ ჯოჯოხეთი, გოგირდის ორმო.  
ფუჰ, როგორ ყარს, რას გიზგიზებს, ქალი-კენტავრი!  
მეაფთიაქე, მაყნოსინე, თუ გაქვს რაიმე  
სურნელოვანი, დამეუფლოს ტკბილი შეგრძნება.  
აჰა შენ ფული.

### **გლოსტერი**

ნება მიბოძე ხელზე გემთხვიო.

### **ღირი**

ოღონდ ჯერ უნდა გავიწმინდო. გვამის სუნი სდის!

### **გლოსტერი**

უფლის ქმნილება, ნანგრევებად გადაქცეული!  
ამ ულამაზეს სამყაროსაც იგივე ელის.  
გაიცრიცება და გაქრება. სერ, მე მიცანით?

### **ღირი**

თვალეები მახსოვს. აღმაცერად რატომ მიყურებ. ბრმა კუპილონო,  
აი, ამცდა შენი ისარი. ველარავის ვერ შევიყვარებ. აბა შეხედე, თუ  
გამოიცნობ, ეს ვინ დაწერა!

### **გლოსტერი**

სულ რომ მზედ იქცეს ყველა ასო, ვერ დავინახავ.

### **ელგარი**

სხვას რომ ეამბნა, რასაც ვხედავ, მე ვერასოდეს  
დავიჯერებდი. გული მიკვდება.

### **ღირი**

წაიკითხე!

## **გლოსტერი**

ამ ცარიელი თვალის ბუდით?

## **ლირი**

შენც ჩემსავით ხარ? აღარც თვალი და აღარც ქისაში ფული. თვალების საქმე მძიმეაა, ქისის საქმეა მსუბუქად. რა უკუღმართია ეს ქვეყანა, ამას თუ ხედავ!

## **გლოსტერი**

ვერ ვხედავ, ვხვდები!

## **ლირი**

შენ გიჟი ხომ არა ხარ? ქვეყანა რომ უკუღმართია, ამის დანახვას თვალი რად უნდა. ყურით უცქირე. ნახე, მოსამართლე რა მკაცრად სჯის ვიღაც ქურდბაცაცას. აბა გაცვალონ ადგილები, გაიგებ, ვინ ქურდია და ვინ მსაჯული? გინახავს, ძალღი როგორ უყეფს მათხოვარს?

## **გლოსტერი**

დიახ, სერ!

## **ლირი**

და როგორ გაურბის ძალღს ის საბრალო? მაშინ გცოდნია, თუ რას ნიშნავს ძალაუფლება. თავის ადგილას ძალღი ძალაა და აქვს უფლება. მორჩილებას მოითხოვს.

გასწიე იქით სისხლიანი ხელი, ჯალათო!

მეძავეს შეეშვი, ეგ მათრახი ზურგზე დაირტყი.

იმისთვისა სჯი, რასაც თვითონ სიამოვნებით

გააკეთებდი?! რა ძალაა ძალაუფლება!

ტანზე ძონძები მოგაჩვენებს კაცს დამნაშავედ.

ბეწვით გაწყობილ მდიდრულ სამოსს ვინ რას შეებდავს.

გადააფარე ცოდვას ოქრო – ზედ შეემსხვრევა,

თავად ლახვარი სიმართლისა. ჯღანით შემოსე,

და დარწმუნდები, იოლია მისი განგმირვა.

ვის აქვს უფლება, ქვა ისროლოს! ყველას დავიცავ!

არცერთ ბრალმდებელს აღარ მივცემ სიტყვის უფლებას!

იცი, რა ქენი, შუშის თვალი უნდა ჩაისვა.

ვხედავ, ვხედავო, შენც იძახე, როგორც სჩვევიათ  
პოლიტიკოსებს. მერე რა რომ, ვერაფერს ხედავ!  
ფეხზე გამხადეთ, მოდით, მოდით. სწრაფად, ახლავე!

### **ელგარი**

გონიერება და მასთანვე უგუნურობა!  
ბრძნული სიგიჟე!

### **ლირი**

თუ იტირებ ჩემს მაგივრადაც,  
გათხოვებ თვალებს. კარგად გიცნობ. შენ გლოსტერი ხარ.  
უნდა ითმინო. ვიბადებით თუ არა, ვტირით.  
როცა ჰაერის პირველივე ყლუპს ჩავისუნთქავთ,  
მაშინვე ვტირით. გეტყვი რატომ, დაიმახსოვრე!

### **გლოსტერი**

რას მოვესწარი!

### **ლირი**

გაჩენისას იმიტომ ვტირით,  
ვიცი, რომ მოვხვდით მასხარებით სავსე სცენაზე!  
კარგად დადგმული, მშვენიერი მიზანსცენაა!  
მეც მოვიფიქრე! ცხენებს ნაბდით დავაჭვდინებ,  
რომ ჩემს სიძეებს მივეპარო და ჩუმად მოვკლა!  
ჰო, მოვკლა! მოვკლა! მოვკლა! მოვკლა!  
*შემოდის ერთი დიდებული მსახურებთან ერთად*

### **დიდებული**

აქ ბრძანდება. არ გაიქცეს, ხელი მოკიდეთ!  
სერ, თქვენი შვილი, ქალიშვილი, უსაყვარლესი...

### **ლირი**

ტყვედ ამიყვანეს! მომეშველეთ! როგორც ეტყობა,  
ბედის მასხარად დავიბადე. ყველას გაფრთხილებთ,  
ძალიან კარგად მომეპყართ. გადაგიხდიან  
თქვენ გამოსასყიდს. მე ავად ვარ. ექიმი მინდა.  
აქ, ტვინში დამჭრეს!

## დიდებული

ყველაფერი მზად არის თქვენთვის.

## ღირი

მშველელს ვერ ვხედავ. მარტო დავრჩი?! ყველამ დამტოვა?!  
ჩემს ღლეში კაცი იმდენ ცრემლად დაიღვრებოდა,  
შემოდგომის მტვერს გადარეცხდა, ბალსაც მორწყავდა!

## დიდებული

ძვირფასო სერ,

## ღირი

თუ სიკვდილია, სიკვდილი იყოს!  
ისე ამაყად წამოგყვებით, თითქოს სასიძო  
მიღის ქორწილში. მე მეფე ვარ!

## დიდებული

ღიან, ბრძანდებით. თქვენ მეფე ხართ, ჩვენ კი მსახურნი.

## ღირი

აზრი ჰქონია მაშ სიცოცხლეს. გამომეკიდეთ.  
ვის შეუძლია დამიჭიროს. სირბილით. ჰეი, ჰოუ!  
*გადის სირბილით. მსახურები მისდევენ*

## დიდებული

ამ ღლეში მყოფი არამზადაც შესაბრაღია,  
არათუ მეფე. ქალიშვილი გყავს ერთი კარგი.  
მხოლოდ ის შესძლებს მოგიშუშოს შენ იარები.  
ცოდვა დაიღო უმძიმესი, მისმა ორმა ღამ.

## უღვარი

მოგესალმებით!

## დიდებული

ღმერთმა წყალობა არ მოგაკლოთ.  
გნებავდათ რამე?

**ელგარი**

რა ხმა ისმის, ბრძოლის ყიჟინა?

**დიდებული**

ეგ ხმა არავის შეემლება, თუ ერთხელ მაინც მოუსმენია!

**ელგარი**

ის თუ იცით, მტერი ახლოა?

**დიდებული**

როგორც ამბობენ, ახლოს არის. ძალიან სწრაფად მოიწევს აქეთ.

**ელგარი**

ეგ ამბავი მსურდა გამეგო.  
გმადლობთ, ბატონო.

**დიდებული**

დედოფალი კეთილი ზრახვით  
მობრძანებულა. მისი ჯარიც უკვე გზაშია.

**ელგარი**

გასაგებია. ყველაფრისთვის მადლობელი ვარ.  
*დიდებული ვადის*

**გლოსტერი**

ღმერთებო, თქვენთვის მომინდვია ჩემი სიცოცხლე.  
ნულარ მომივლენთ იმ ავი სულებს, რომ არ მაცდუნონ.  
თქვენ რომ ინებებთ, მაშინ მოვკვდე!

**ელგარი**

კარგი ნატვრაა.

**გლოსტერი**

კეთილო კაცო, ნეტავ ვინ ხარ, გამაგებინა!

### **ელგარი**

ერთი ღატაკი, ბედისაგან დაბრიყვებული.  
ბევრი ტანჯვა მაქვს გამოვლილი, ბევრი ვაება.  
ამიტომ ყველა მებრალება. მომეცი ხელი.  
შენ თავშესაფარს გაპოვნინებ.

### **გლოსტერი**

მადლობელი ვარ.  
ღმერთმა ასმაგად დაგიბრუნოს შენი სიკეთე.  
*შემოდის ოსვალდი*

### **ოსვალდი**

აი ნანატრი გასამრჯელო. ბედიც ეს არის!  
თვალედათხრილი შენი თავი ახლა მომიტანს  
დიდძალ ქონებას. შე ბებერო, შე მოლალატე,  
მიდი, ილოცე, დათვლილი გაქვს, უკვე წუთები.  
აღმართულია ეს მახვილი!

### **გლოსტერი**

ეგ არ მაშინებს.  
რაღას აყოვნებ, მიდი, მიდი, ჩქარა მომკალი!  
*ელგარი აეფარება*

### **ოსვალდი**

რა მამაცი ხარ, ვილაც გლეხო, იცი, რას შევბი?!  
ექომაგები ამ გამყიდველს და მოლალატეს?  
ალბათ არ გინდა, მაგის ბედი გაიზიარო,  
ხელი გაუშვი!

### **ელგარი**

არ გავუშვებ მე ხელს, იცოდე!

### **ოსვალდი**

წადი აქედან, გამეცალე, თორემ მოკვდები!

### **ელგარი**

კეთილო კაცო, წადი რა, შენს გზაზე, რა გინდა, რას ერჩი ამ

საცოდავ, გაუბედურებულ მოხუცს.

მოეშვი. მე კიდევ რას მემუქრები. შენისთანები მინახავს? უცებ გული არ გამიხეთქო! ამ კეტს ხო ხედავ, თუ წამოვიდა მაგ გოგრაში, მერე ვნახოთ, ვინ უფრო მაგარია. გაიგე, რა ვითხარი?

### **ოსვალდი**

გადი, ნაგავო!

### **ელგარი**

აქვე კბილებს დაგაყრევენებ.

*ოსვალდი ძირს ვარდება*

### **ოსვალდი**

მომკლა ბოგანომ! რაღას ვიზამ, აიღე ქისა

და გთხოვ, დამმარხე! ჯიბეში მაქვს ორი წერილი.

ედმუნდს გადასცემ, გლოსტერის გრაფს. ეს სასწრაფოა.

შენ მას ინგლისის ჯარში ნახავ. რა ცუდ დროს ვკვდები!

*კვდება*

### **ელგარი**

ვინცა ბრძანდები, კარგად ვიცი. ერთი ლაქია,

ბინძურ სურვილებს ქალბატონის რომ ასრულებდი.

### **გლოსტერი**

უკვე მოკალი?

### **ელგარი**

წყნარად, მამა, ნუ ნერვიულობ.

ახლა ჯიბეებს მოვუჩხრიკავ. ამბობდა რაღაც

წერილებიო, იქნებ როგორ გამოგვადგება.

მოკვდა. და ვწუხვარ, მხოლოდ იმას, რომ მე მოკვალი.

თქვენის ნებართვით, ლუქი ავხსნათ. მორიდების დრო

აღარ არსებობს. მტრის ზრახვები თუ გსურს გაიგო,

მის გულში უნდა ჩაიხედო. და წერილშიაც.



### კითხულობს

„არ დავივიწყოთ, რომ ერთმანეთს ფიცი მივეცით. ბევრი ხელსაყრელი მომენტი გექნება მანდ, რომ ის მოიშორო. მთავარი სურვილია, თორემ დრო და ადგილი რამდენიც გინდა, მოიძებნება. თუ ვერაფერს იზამ და შინ გამარჯვებული დაბრუნდა, მაშინ მე ტყვე ვიქნები. მისი სარეცელი კი ჩემი საპრობილე. გამათავისუფლე. დაიკავე მისი ადგილი. შენი – როგორ მინდა ცოლი და ვწერო – ერთგული გონერელი“

საზღვარი არ აქვს თურმე ქალის ნება-სურვილებს, რა მოინდომა! ქმარი მოკლას, პატიოსანი. ჩემი ძმა ჰყავდეს იმის ნაცლად. აქვე ქვიშაში უნდა ჩაიფლა. უნამუსო, მკვლელის შიკრიკო. ოლბენის ჰერცოგს თუ ვაცნობე, რაც აქ წერია, არ დაამწუხრებს შენი სიკვდილი.

### გლოსტერი

მეფე გაგიჟდა!

ნეტა მე რა მჭირს, ამდენ ტანჯვას რა ძალით ვუძლებ. რატომ არ მომდის არაფერი! სჯობდა მასავით შევშლილიყავი. არ გამეგო, რა დამემართა.

*დაფდაფების ხმა*

### ელგარი

წავიდეთ, მამა, მომე ხელი. ნალარის ხმაა, შორიდან ისმის. მეგობართან დაგაბინავებ.

*გადიან*

## სურათი VII

*კარავი ფრანგთა ბანაკში  
შემოდინ კორდილია, კენტის, ექიმი და დიდებული*

### კორდილია

კეთილო კენტ! როგორ შევძლო, რა გავაკეთო, შენი სიკეთე საკადრისად გადავიხადო.

მთელი სიცოცხლე არ ეყოფა ამას ნამდვილად!

### **კენტი**

თქვენ გააკეთეთ ბევრად მეტი. ეს გულს მიხარებს.  
რომ მე არ შევცდი, გამოვდექი მაშინ მართალი.

### **კორდილია**

გამოიცვალეთ, გთხოვთ, სამოსი. ძონძებს რომ ვხედავ,  
ცუდ მოგონებებს ვერ ვივიწყებ!.. გეძულდარებით,  
სხვა რამ ჩაიცვით!

### **კენტი**

მომიტევეთ, ძვირფასო მადამ,  
ვერ გამოვიცვლი. რომ არ მიცნონ. თქვენც უნდა გთხოვოთ,  
ვერ უცხოთსავით მომექეცით. ცოტა ხანს კიდევ.

### **კორდილია**

როგორც ინებებთ!

*ექიმი*

თავს როგორ გრძნობს, ექიმო, მეფე?

### **კენტი**

ჯერ ისევ სძინავს, ქალბატონო.

### **კორდილია**

ღმერთო, უშველე!

დააშოშმინე ამღვრეული მისი გონება!  
გაუმთლიანე, ნაფლეთებად დაშლილი სული  
და დამიბრუნე მამაჩემი, ბავშვად ქცეული.

### **ექიმი**

ნება მომეცით, მადამ, გავალვიძო. ეყოფა ძილი!

### **კორდილია**

თუ ასე ფიქრობთ, გაალვიძეთ. მეფე მოკაზმეს?

*მსაზურებს შემოჰყავთ ლირი სავარძელში*

## **დიდებული**

ძილში შევმოსეთ.

## **ექიმი**

ქალბატონო, გვერდით იყავით.  
რომ გაიღვიძებს, დამერწმუნეთ, უკეთ იქნება.

## **კორდილია**

ძალიან კარგი.

## **ექიმი**

ახლოს მოდით. უფრო ხმამაღლა  
დაუკარით!

## **კორდილია**

ძვირფასო მამა! დაე სურვილმა  
განკურნების, მიანიჭოს ჩემს ტუჩებს ძალა,  
რათა ამბორით დაგავიწყო ყველა ტკივილი.

## **კენტი**

რა კეთილი ხარ, დედოფალო, რა მშვენიერი!

## **კორდილია**

არ ყოფილიყავ თუნდაც მამა, მათი მშობელი,  
ჭაღარა თმისთვის უნდა ეცათ მაინც პატივი.  
როგორ გაგავდეს ქარიშხალში, ჭექა-ქუხილში!  
მეხის გრგვინვაში! თავშიშველი! ღამით, მარტოკა!  
მიწის ზედაპირს ელვა კლაკნით რომ ეხეთქება,  
ისეთ ამინდში, ავ ძალსაც კი შევიბრალებდი,  
თუნდაც მრავალჯერ დავეკბინე! შინ შევიყვანდი,  
მივცემდი ადგილს ცეცხლის პირას. შენ სად გეძინა,  
სადღაც გომურში, სველ ჩალაში! ღმერთო, ო, ღმერთო!  
ნეტავ ცოცხალი როგორ დარჩი. მგონი იღვიძებს.  
უთხარით რამე!

## **კენტი**

აჯობებს თქვენ ელაპარაკოთ!

**კორდილია**

თქვენო უდიდებულესობავ, როგორ ბრძანდებით?

**ღირი**

რა დაგიშავეთ, საფლავიდან რად ამომიღეთ?  
ვიცი, სული ხარ, და ნეტარებ შენ სამოთხეში.  
მე ურმის თვალზე ვარ გაკრული და ვტირი მწარედ,  
მხურვალე ცრემლით დაფუფქული

**კორდილია**

სერ, ვერ მიცანით?

**ღირი**

ხო ვთქვი, სული ხარ. სად და როდის გარდაიცვალე?

**კორდილია**

ის აქ არ არის!

**ექიმი**

ცოტაც აცალეთ,  
გამოფხიზლდება ალბათ მალე და გონზე მოვა.

**ღირი**

ახლა სადა ვარ? სად ვიყავი? უკვე გათენდა?  
ვერ გავრკვეულვარ. დავიბენი. სხვა რომ მენახა  
ამ ჩემს ადგილას, მოგკვდებოდი საცოდაობით.  
არ ვიცი რა ვთქვა. ეს ხელები მართლა ჩემია?  
მიჩხვლიტეთ რამე, იქნებ მიგხვდე, ჩემს თავს რა ხდება.

**კორდილია**

ბატონო ჩემო, შემომხედეთ, მაკურთხებელი  
დამადეთ ხელი. არა, არა, არ დაიჩოქოთ!

**ღირი**

გთხოვ, ნუ დამცინი. ერთი ჩერჩეტი ბებური ვარ.  
მე უკვე ოთხმოცს გადავცილდი. ისიც არ ვიცი,

ვარ თუ არა ჩემს გონებაზე. ასე მგონია,  
თითქოს თქვენ გიცნობთ. და ეს კაციც, მეცნაურება.  
სად ვიმყოფები. ეს რა არის, ვერ გამიგია.  
ტანთ რა მაცვია. წუხელ ღამით, სად დავიძინე?  
ხომ არ დამცინით, მართლა მე ვარ? ეს ქალბატონი  
კორდილიაა? ჩემი შვილი?

**კორდილია**

ჰო, მე ვარ. მე ვარ!

**ღირი**

შენ ხარ? და ტირი? არ იტირო, გემუდარები.  
საწამლავი გაქვს? მაშ მომეცი, ახლავე დავლევ!  
შენ არ გიყვარვარ. ვიცი. ვიცი. ის შენი დები,  
ცუდად მომექცნენ. გამახსენდა. შენ გაქვს მიზეზი  
რომ არ გიყვარდე, მათ არ ჰქონდათ!

**კორდილია**

მე არა! არა!

მიზეზი არ მაქვს!

**ღირი**

საფრანგეთში ვარ?

**კენტბი**

თქვენს სამეფოში.

**ღირი**

არ მომატყუო.

**ექიმი**

დამშვიდდით, მემ. ხედავთ, სიკიჟემ  
გადაუარა. მაგრამ ჯერ კიდევ საშიშია.  
მოგონებებით არ დატვირთოთ. არ შეაწუხოთ.  
ნელ-ნელა უფრო დაწყნარდება.

**კორდილია**

წამობრძანდებით?

**ლირი**

თუ მომიტყევებ! მაპატიე, გთხოვ დაივიწყო!  
გამოვჩერჩეტდი, რაც დავბერდი!

*გადიან. რჩებიან კენტი და დიდებული*

**დიდებული**

თქვეს, მოუკლავთო კორნულის დიდი ჰერცოგი.  
ეს მართალია?

**კენტი**

ასე ამბობენ!

**დიდებული**

ვინ მოუძღვება  
ჯარს იმის ნაცვლად?

**კენტი**

ედმუნდიო, გლოსტერის ბუში.

**დიდებული**

გაძევებული ეღგარი კი, როგორც გავიგე,  
გერმანიაში კენტს წაყვალ.

**კენტი**

არა მგონია!  
რა ღროს ეგ არის. მოახლოვდნენ ბრიტანელები.

**დიდებული**

ბრძოლა იქნება მეტად ცხარე და სისხლიც ბევრი  
დაიღვრებაო. მშვიდობით, სერ!

*გადის*

**კენტი**

რისთვისაც ასე ვირჯებოდი, დღეს დასრულდება,  
კარგად ან ავად!

*გადის*

# მეხუთე მოქმედება

## სურათი I

*ბრიტანელების ბანაკი ღუვრთან ახლოს  
დაფლაფებით და დროშებით შემოდიან ედმუნდი, რიგანი,  
დიდებულები და ჯარისკაცები*

### ედმუნდი

წადი, იკითხე, ჰერცოგს აზრი ხომ არ შეცვლია!  
იქნებ ურჩიეს და სხვაგვარად სურს რომ მოიქცეს.  
როდის რა უნდა, ვერ მიხვდები. ნულარ აყოვნებ!  
კარგად გაიგე, და ამბავი შემატყობინე  
*დიდებულო, რომელსაც დაავალა, გადის*

### რიგანი

ჩემი დის ქმარი რაღაცაზე სწუხს მეტისმეტად!

### ედმუნდი

მეც შევაძინე.

### რიგანი

ძვირფასო გრაფ, ხომ კარგად იცი,  
რასაც მე ვფიქრობ, არის მხოლოდ შენს სასიკეთოდ.  
რაღაცას გკითხავ, და იცოდე, არ დამიძალო.  
ჩემი და გიყვარს?

### ედმუნდი

მიყვარს დიდი პატივისცემით!

### რიგანი

რასაც ღირსება, ჩემი სიძის, არ შეუბღალავს?

### ედმუნდი

არ გეკადრება, ქალბატონო, ამგვარად ფიქრი.

### **რიგანი**

რატომღაც ვეჭვობ, მეტისმეტი სიახლოვე გაქვთ.

### **ელმუნდი**

პატიოსნებას გეფიცები, ასე არ არის.

### **რიგანი**

არ დაგიმაღავ, ჩემი და მძულს. ჩემო ძვირფასო,  
შენც მოერიდე.

### **ელმუნდი**

ჩემში ეჭვი არ შეიტანო!  
აი, მოდიან, ჰერცოგი და მისი მეუღლე.  
*შემოდიან დროშებით და დაფდაფებით ოლბენი,  
გონერლი და ჯარისკაცები*

### **რიგანი**

*თავისთვის*  
ომი წავაგო, მირჩევნია, ვიდრე ელმუნდი  
ჩემს დას დავუთმო. ვერ ავიტან ამ დამარცხებას!

### **ოლბენი**

კეთილი იყოს ეს შეხვედრა, ძვირფასო დაო!  
სერ, როგორც მითხრეს, მეფე თავის შვილთან მისულა.  
მასთან არიან თურმე სხვებიც, ყველა ისინი,  
ვინც გაერიდა გამეფებულ უსამართლობას.  
საქმე ღირსებას შეეხება და მეც აქა ვარ.  
რაკი ფრანგები შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში,  
შევებრძოლები მხოლოდ იმათ, და არა მეფეს,  
ან მის მომხრეებს, ვისაც ბევრი ჰქონდა მიზეზი,  
გულნაკლულობის.

### **ელმუნდი**

ღირსეულად ბრძანეთ სათქმელი!



**რიგანი**

მერე ამაზე ვინ კამათობს.

**გონერძილი**

გავერთიანდეთ.

ანლა ყველანი ერთად დავდგეთ. მტერი ერთი გვყავს.  
რა დროს ჩვენს შიდა პრობლემებზე საუბარია!

**ოლბენი**

მოვეთათბიროთ მაშინ სარდლებს და გადავწყვიტოთ,  
რა სტრატეგია ავირჩიოთ.

**ელმუნდი**

მეც გამოგყვებით.

**რიგანი**

შენ არ წამოხვალ?

**გონერძილი**

აღბათ არა.

**რიგანი**

სჯობს, ჩვენთან იყო.

**გონერძილი**

*თავისთვის*

მიგიხვდი რა გსურს, რას ეშმაკობ.

*რიგანს*

კარგი, წამოვალ.

*მათი გასვლისას შემოდის ედგარი, ისევ ღარიბულად ჩაცმული*

**ედგარი**

თუ თქვენ იკადრებთ, ჩემისთანა კაცს, მოუსმინოთ,  
რადაც ამბავი უნდა გითხრათ.

**ოლბენი**

*ყველას*

ახლავე მოვალ.

*ელგარს*

გისმენ!

*გადიან ოლბენის და ელგარის გარდა*

### **ელგარი**

დაიწყებოდეს ვიდრე ბრძოლა, ეს წავიკითხეთ.  
თუ გაიმარჯვებთ, ბუკით მიხმეთ და გეახლებით.  
მიუხედავად უბადრუკი გარეგნობისა,  
დამერწმუნეთ, სერ, დავამტკიცებ, რაც აქ წერია.  
თუ დამარცხდებით, აღარაფერს აზრი არა აქვს.  
ახლა გისურვებთ, მოგიმართოთ თქვენ ღმერთმა ხელი.

### **ოლბენი**

წერილს ახლავე წავიკითხავ.

### **ელგარი**

მე ვერ დავიცდი.  
დრო როცა მოვა, ბუკის ხმაზე თქვენთან ვიქნები!

### **ოლბენი**

კეთილი, წადი. წავიკითხავ, აუცილებლად.  
*ელგარი გადის. შემოდის ელმუნდი*

### **ელმუნდი**

მტერი გამოჩნდა! მოამზადეთ სასწრაფოდ ჯარი!  
აი, აქ გახლავთ დაზუსტებით ინფორმაცია,  
რაც მზვერაგებმა მოიპოვეს. უნდა იჩქაროთ!

### **ოლბენი**

რიგზე იქნება ყველაფერი.  
*გადის*

### **ელმუნდი**

მე ორივე დას სიყვარულის მივეცი ფიცი.  
გველნაკებნივით გაურბიან ერთიმეორეს.

სძულთ ერთმანეთი. ჯერ არ ვიცი, რომელს ავირჩევ.  
ორივეს ერთად? იქნებ არცერთს. ან რომელიმეს.  
ვიდრე ორივე ცოცხალია, ეჭვი არ უნდა,  
გამოსავალი არ იქნება. ქვრივს თუ ავირჩევ,  
სულ შეიშლება გონერილი. არადა, მას მე  
როგორ შევირთავ. მას ქმარი ჰყავს, რომლის გარეშე,  
ომს ვერ მოვიგებ. თუ მოვიგეთ, თვითონ იფიქროს,  
რას გააკეთებს. მოიშორებს. რადგან მის ქმარს სურს.  
რომ შეიწყალოს კორდილიაც და მეფე ლირიც.  
მოგვაგებინა ჯერ ეს ომი და მერე ვნახოთ!  
ჩემზე თუ იქნა, მათ ნამდვილად არ შევიწყალებ!

*გადის*

## სურათი II

*მინდორი ორ ბანაკს შორის. ისმის ბუკის ხმა.  
შემოდიან დაფდაფებით და ბაირალებით ლირი, კორდილია და მათი  
ჯარი. სკენას გადაჭრიან და გადიან.  
შემოდიან ეღვარი და გლოსტერი*

### ეღვარი

აქ ჩამოვუქი, დაისვენე, ხის ქვეშ ჩრდილია.  
ილოცე მამა, გაიმარჯვოს იქნებ სიმართლემ.  
თუ დაგიბრუნდი, მაშინ ჩემთან, შენ სამუდამო  
სიმშვიდეს ჰპოვებ.

### გლოსტერი

თქვენ, ბატონო, ღმერთმა გიშველოთ  
*ეღვარი გადის. ისევ ბუკის ხმა – უკანდახვეის ნიშანი.  
შემოდის ეღვარი*

### ეღვარი

ადე, მოხუცო, ხელი მომე, აქ ვერ დავრჩებით.  
ტყვედ შეუპყრიათ მეფე ლირიც და კორდილიაც.  
იმათი საქმე წასულია.

## გლოსტერი

მე არ წამოვალ!  
აქაც მშვენივრად შეიძლება კაცი ჩაძაღვდეს.

## ელგარი

მაგას ნუ ამბობთ, ნაღვლიან ფიქრს ისევ აჰყევით?  
ამ ქვეყნად მოსვლას, ანდა წასვლას, არავინ გვკითხავს.  
თავისი დრო აქვს. მომე ხელი.

## გლოსტერი

კარგი, წავედით.  
*გადიან*

## სურათი III

*ბრიტანელების ბანაკი ღუვრთან ახლოს  
ბუკით და დროშებით შემოდის გამარჯვებული ედმუნდი.  
ჯარისკაცებს შემოჰყავთ ლირი და კორდილია*

## ედმუნდი

აქედან სადმე გაიყვანეთ. დაუდარავნდით.  
ვიდრე ზემდგომნი მოიცლიან და ინებებენ,  
გამოუტანონ განაჩენი.

## კორდილია

პირველი არ ვართ,  
ვინც სიკეთის ქმნა დააპირა და დაისაჯა.  
ჩემზე არ ვდარდობ, თქვენზე ვფიქრობ, დევნილო მეფევ!  
მე რას დამაკლებს, რაღას მიზამს, ბედი მუხთალი.  
თქვენი შვილები, ჩემი დები, არ უნდა ენახოთ?!

## ლირი

არა, არა, არა, არა! წავიდეთ საპყრობილეში.  
მხოლოდ ჩვენ, ერთად. მგალობელი ორი ჩიტივით,  
ერთ გალიაში. როცა მეტყვი, მამა, დამლოცე,

მე დაგიჩოქებ და ხელახლა გთხოვ პატიებას.  
ერთად ვილოცოთ, ბედნიერი დრო მოვიგონოთ.  
ბევრი ვიცინოთ ოქროსფერთიან პეპლის ამბებზე.  
მათი ჭკორები სასახლიდან ჩვენამდე მოვა.  
ვინ რა მოიგო, რა წააგო, ვინ სად გააგდეს.  
ჩვენ გაგვაოცებს მოვლენების იდუმალება  
და შევეცდებით ჩამალული აზრის ამოხსნას.  
იატაკის ქვას სიარულით ჩვენც გავცკვეთ ცოტას.  
აღბათ რამდენი მოაზროვნე, გამოკეტილი  
იჯდა საკანში, როცა იწვნია ვერაგ ბედის  
უკუღმართობა!

### **ელმუნდი**

გაიყვანეთ დროზე ესენი!

### **ლირი**

მსხვერპლად შეწირვა, კორდილია, უფლის ნებაა.  
ჩვენ ველარავინ ველარ გაგვყრის. უკვე ჩემთან ხარ.  
აღარ იტირო. დასჭირდებათ ღვთიური ცეცხლი,  
მელიებივით წამოგვყარონ აწი სოროდან.  
სულ მალე ნახავ, იმათ რა დღე გაუთენდებათ.  
წამო, წავედით!

*ლირი და კორდილია გაჰყავთ*

### **ელმუნდი**

მოდი აქ, ჩემთან, კაპიტანო! კარგად მისმინე!  
ამას წაიღებ. მათ გაყვები საპყრობილეში!  
დაწინაურდი, ხომ ასეა?! კმაყოფილი ხარ?  
რაც აქ წერია, ამას ზუსტად თუ შეასრულებ,  
დაჯილდოვდები უფრო უხვად. კარგ ბედს ეწვევი.  
კაცი ყველა დროს მოერგება! ის, ვინც მხდალია,  
ღირსი არ არის ხმლის ტარების. ან ახლავე თქვი,  
შევასრულებო, ანდა წადი, კარგად იყავი!

### **კაპიტანი**

მე შევასრულებ!

## ელმუნდი

რომ მორჩები, შემატყობინე.  
დაიმახსოვრე, გააკეთო უნდა იმგვარად,  
როგორც მე მინდა. მთავარია, დრო არ დაკარგო!  
მანდ გიწერია ყველაფერი.

## კაპიტანი

ჩალას და თივას ნუ შემატყობინებ, ფურგონს ვერ ვზიდავ,  
კაცის საქმე კი, რასაც ჰქვია, ყველაფერს ვიზამ!

*კაპიტანი ვალის*

*საყვირის ხმა. შემოდინ ოლბენი, გონერლი, რიგანი,  
სხვა კაპიტანი და ჯარისკაცები*

## ოლბენი

თქვენ დღეს იბრძოდით თავგანწირვით. ისიც ცხადია,  
ბელი გწყალობდათ. შეგიპყრიათ, ვინც მტრად მიგაჩნდათ.  
ახლა მოვითხოვ მე გადმომცეთ. მე გადავწყვიტავ,  
ვის რა მივაგო საკადრისად.

## ელმუნდი

*ვიფიქრე, ალბათ*

უმჯობესია, ის საბრალლო, მოხუცი მეფე,  
მკაცრი დაცვის ქვეშ ყოფილიყო. ხომ შეიძლება,  
მისმა ტიტულმა, ან ასაკმა, ვინმე მიიმხროს,  
ჩვენს წინააღმდეგ აამხედროს. იმავე მიზეზით  
დავაპატიმრე დედოფალიც. როცა მიბრძანებთ,  
ორივეს მოგვკრით სამსჯავროზე. თუ გნებავთ, ხვალვე.  
ბევრი ოფლი და სისხლი ვღვარეთ. ძმამ ძმა დაკარგა.  
დიდი ტკივილი გამარჯვებას მუდამ თან ახლავს.  
ახლა აჯობებს, რომ ვიგლოვოთ დაზოცილები.  
მეფე ლირის და კორდილიას დროც მალე მოვა.

## ოლბენი

რაკი ამ ომში გვერდით მყავდი, ნუ გავიწყდება,  
ხელქვეითი ხარ. თავს მიიჩნევ ჩემს თანასწორად?!

## რიგანი

თანასწორია. ჩვენ მივიჩნევთ! დიას, ასეა!

სჯობდა გაგვეოთ სხვისი აზრიც. ის მეთაურობს  
ჯარს და იცავს, ჩემი ქვეყნის უსაფრთხოებას.  
პირადად ჩემი სიცოცხლეც კი, მას აბარია.  
რითი არ არის თანასწორი, იქნებ მიბრძანოთ.

### **გონერული**

ნეტავ რას ცხარობ, თვითონ არის გამორჩეული,  
შენ რა უბოძე!

### **რიგანი**

მთელი ჩემი ძალაუფლება!  
სწორედ ამიტომ იგი ყველას თანასწორია!

### **გონერული**

მეტისმეტია უკვე მართლაც. ქმარია შენი?

### **რიგანი**

ზოგი ხუმრობა ხომ მართლდება?!

### **გონერული**

ასე გეგონოს!

### **რიგანი**

არ ვიცი რატომ, ქალბატონო, შეუძლოდა ვარ.  
ძალა არ მყოფნის საკადრისად რომ გიპასუხო.  
ჯარი, ტყვეები, ჩემო სარდალო, ყველაფერი,  
რაც მაბადია, ჩემი ჩათვლით, ახლა შენია!  
საჯაროდ ვამბობ, რომ გაცხადებ შენ ჩემს მეუღლედ!

### **გონერული**

ვერ ეღირსება!

### **ოლბენი**

შენ ის არ ხარ, ვინც ხელს შეუშლის!

### **ედმუნდი**

არც თქვენ ხართ, მილორდ!

**ოლბენი**

ნაბიჭვარო, სწორედ რომ მე ვარ!

**რიგანი**

*ელმუნდს*

დაფდაფით ვამცნოთ, რომ გიბოძე ყველა ტიტული.

**ოლბენი**

მაგას ვერ იზამ. მიზეზს გეტყვი. ელმუნდი უნდა  
დავაპატიმრო. უმძიმესი ღალატისათვის.  
ის კავშირშია ლამაზ გველთან.

*უთითებს გონეროზე*

*რაც შეეხება*

შენს განცხადებას, ჩემო დაო, მას გაგაუქმებ,  
ჩემი მეუღლის სასარგებლოდ. რადგან ისინი,  
უკვე შეთანხმდნენ რა ხანია, ქორწინებაზე.  
აქ ერთადერთი, ვინც თქვენ დაგრჩათ, რომ შეიყვაროთ,  
მე გახლავართ!

**გონერილი**

რა სპეტაკლი გაითამაშე?!

**ოლბენი**

გლოსტერ, ახლა შენ მოემზადე! დაჰკარით ბუკი!  
თუ არვინ მოვა ბუკის ხმაზე, რომ დაამტკიცოს  
ყველა შენი დანაშაული, თვითონ დაგაწერ  
ჩემი ხმლის წვერით გულის ფიცარზე. ბრძოლაში გიწვევ!  
*ესვრის ხელთათმანს*

**რიგანი**

ცუდად ვარ! ცუდად!

**გონერილი**

*თავისთვის*

საწამლავი არ გიღალატებს!



## ედმუნდი

*ძირს ისვრის ზელთათმანს*

აჰა, მივიღე გამოწვევა! აბა, ვინ არის,  
ვინც დამაბრალა მე ლალატი? ცილს რატომ მწამებს!  
დაჰკარით ბუკი. გამობრძანდეს თუკი გაბედავს!  
მზადა მაქვს ხმალი. დაუშტკიცებ მე მას სიმართლეს.

## ოლბენი

მაცნე!

## ედმუნდი

მაცნე, სადა ხარ!

## ოლბენი

შენ ვილას უხმობ! მაცნე არ გყავს. ახლა მარტო ხარ!  
ის შენი ჯარი, შეკრებილი ჩემი სახელით,  
უკვე დავშალე!

## რიგანი

*ცუდადა ვარ, უფრო და უფრო.*

## ოლბენი

რა დაემართა. წაიყვანეთ ჩემთან კარავში.

*რიგანი გაჰყავთ. შემოდის მაცნე*

საყვირს ჩაჰბერონ და მის ხმაზე, ეს წაიკითხე!

## კაპიტანი

მიდი, ჩაჰბერე!

## მაცნე

*კითხულობს*

„თუ ოფიცერთა რიგებში ბრძანდება ვინმე, მღვთმარეობით  
ან შთამომავლობით წარჩინებული, ვისაც შეუძლია ედმუნდს,  
გლოსტერის გრაფად მიხნეულს, დაუშტკიცოს, რომ იგი  
მოლაღობა და უამრავი ცოდვის ჩამდენი, ბუკის მესამე დაკვრაზე  
გამოვიდეს. ედმუნდი მზადაა პასუხი გასცეს“.

**ედმუნდი**  
ბუკი!

*პირველი ღაკერა*

**მაცნე**  
კიდე!

*მეორე ღაკერა*

**მაცნე**  
მესამე!

*მესამე ღაკერა*  
*მოისმის საპასუხო ხმა და შემოდის ედგარი იარაღასხმული.*  
*წინ მუბუცე მოუძღვის*

**ოლბენი**  
ჰკითხეთ რა უნდა, ბუკის ხმაზე რატომ მოვიდა!

**მაცნე**  
ვინ ხარ? რა გქვია? ბუკის ხმაზე რატომ მოხვედი?

**ედგარი**  
ჩემი სახელი წაიშალა. იგი ღალატმა  
გაანადგურა. წარმოშობით ისეთივე ვარ  
როგორც მეტოქე, ვისაც ვიწვევ.

**ოლბენი**  
დაასახელე!

**ედგარი**  
ვინ მიპასუხებს გრაფ გლოსტერის, ედმუნდის ნაცვლად.

**ედმუნდი**  
აქა ვარ თავად. რა გნებავს, თქვი!

**ედგარი**  
აილე ხმალი.

შეურაცხყოფად თუ მიიღებ, რასაც მე ვიტყვი,  
დაე პასუხი ზმალმა გამცეს. მზად დაგიხვდები.  
აქ ვარ იმისთვის, რომ დაგიცვა ჩემი ღირსება.  
ვასრულებ ალთქმას, ჩემს უმთავრეს მოვალეობას.  
მიუხედავად იმისა რომ, დღეს ხარ ძლიერი,  
წარჩინებული, ამაყი და, აღზევებული,  
ტკბები კიდევაც ამ დიდებით, მე გეუბნები,  
მოლაღატე ხარ! მოატყუე მამაშენი! ძმა!  
ღალატობ ღმერთებს! დიდებული ჰერცოგის კარზე,  
ინტრიგას ხლართავ. ჩაფლული ხარ სიბინძურეში,  
როგორც გომბეშო, შხამით სავსე. აბა გაბედე,  
ტყუილიაო, განაცხადე. ეს ჩემი ზმალი,  
ჩემი მარჯვენა, ჩემი გული, ალგებეჭდავენ  
მწარე სიმართლეს, გამყიდველო, მაგ ვერაგ გულში!

### **ედმუნდი**

რატომღაც მალავ ვინაობას. არ მეუბნები.  
მშვენიერი გაქვს გარეგნობა, გაბედულიც ხარ.  
სიტყვაზე გენდო? ამას ითხოვ? რაინდთა წესით,  
სწორედ ამიტომ შემიძლია არ შეგებრძოლო.  
მაგრამ მაბრალებ შენ მე ღალატს. ნათქვამს გიბრუნებ.  
ეგ სიძულველით სავსე გული უნდა გაგიპო  
და შეგ დაემარხო სამუდამოდ, რაც დამაბრალებ.  
ბუკი!

*ბუკის ხმა. იბრძვიან. ედმუნდი დაეცემა*

### **ოლბენი**

არ მოკლა! შეწყვიტეთ!

### **გონერილი**

ღალატია!

ბრძოლის წესებით, ხომ შეგეძლო უარი გეთქვა.  
ნუთუ ვერ ხედავ, რომ გატყუებს! სახეს იფარავს!  
და ეშმაკურად სურს დაგამარცხოს.

## ოლბენი

ხმა ჩაიწყვიტე!  
აი ამ წერილს ჩაგჩრი პირში! შენ, ვაჟბატონო,  
ვერც მოვიფიქრებ, რა გიწოდო, შენს ვერაგობას  
კარგად შეხედე! გეცნო არა?! დახევა გინდა!

## გონერლი

ასეც რომ იყოს, ვინმე რამეს მე გამიბედავს?!  
კანონი მე ვარ და არა შენ!

## ოლბენი

ო, შე ურჩხულო.  
ეს რა არის-თქო, იცი-მეთქი?

## გონერლი

მე რა არ ვიცი!  
*გადის*

## ოლბენი

უკან გაჰყევით! სულ გაგიჟდა, ნახეთ რას იზამს!

## ედმუნდი

ბევრად მეტი მაქვს ჩაღენილი, იმაზე მეტი,  
ვიდრე შენ აქ ჩამომითვალე. დრო გამოაჩენს.  
წარსულად იქცა ყველაფერი. მეც. თქვი, ვინა ხარ,  
თუ ღირსეული მეტოქე ხარ, მაშინ შეგინდობ!  
შენ მე მომიგე!

## ედგარი

ჰო, ერთმანეთს უნდა შევუნდოთ!  
ერთი სისხლი გვაქვს, ჩვენ ორივეს! მე და შენ, ედმუნდ,  
სხვადასხვა გვექონდა უფლებები. ცუდი ეს იყო.  
მე ედგარი ვარ! მამაშენის შენსავით შვილი.  
ღმერთის სამართალს კაცი ვერსად დაემალება!  
ცოდვა ტკბილია, სასჯელია ძალიან მწარე!  
მამას მიეზლო მისი ცოდვის სამაგიერო,  
დაუბნელდა ორივე თვალი.

## ედმუნდი

ასე ყოფილა.

ბედის ბორბალმა წრე მოხაზა. და მეც მივიღე

## ოლბენი

შენში ღირსება თავიდანვე ამოვიცანი  
მეფური ქცევით! როგორ მინდა, გადაგეხვიო  
და დაგარწმუნო, სიძულვილი ჩემს გულს არასდროს  
მიკარებია. არც შენი და არც მამაშენის!

## ელგარი

დიდო ჰერცოგო, მე მჯერა თქვენი.

## ოლბენი

სად იყავი

ამდენი ხანი მიმალული. როგორ გაიგე  
საბრალო ხვედრი მამაშენის. როგორ იტანჯა!

## ელგარი

მასთან ვიყავი და მაგ ტანჯვას ვუმსუბუქებდი.  
მოკლედ ვიამბობთ, თხრობა მიჭირს, გული მიკვდება.  
როცა გავიგე, რომ რატომღაც, მდეგარი მომდევს,  
ნაბრძანებია, რომ შემიპყრონ და მერე მომკლან,  
მაშინ ვიგრძენი, რა ტკბილია თურმე სიცოცხლე.  
სიკვდილის შიშით ყოფნას ვარჩევთ მაინც არყოფნას.  
სხვა გზა არ იყო, შევიმოსე მათხოვარივით.  
გიჟს დავემსგავსე. ძაღლებიც კი მერიდებოდნენ.  
ასეთ ყოფაში შევხვდი მამას. სისხლი სდიოდა,  
თვალეგამოთხრილს. საბრალო კაცს ხელი ჩაკვიდე.  
თან დავყვებოდი. ვმათხოვრობდი. ვცდილობდი, სასო  
არ წართმეოდა. არ ვუთხარი, ო, ღმერთო ჩემო!  
არ გამოუუტყდი, ვინ ვიყავი. და მხოლოდ ახლა,  
როცა ავისხი იარაღი, (კაცმა არ იცის,  
რა მოხდებოდა, თუმც იმედი მე მაინც მქონდა),  
კურთხევა ვთხოვე. ყველაფერი მაშინ ვუამბე.  
იმისმა გულმა, გატეხილმა, უკვე მრავალჯერ,

ამ უკიდურეს ემოციებს – დიდ მწუხარებას და დიდ სიხარულს, ერთდროულად თავზე დატეხილს, გელარ გაუძლო და ღიმილით დალია სული.

### **ედმუნდი**

სული შემიძრა, მაგ ამბავმა. თითქოს რაღაცა ჩემთვის მენიშნა, მაგრამ ვატყობ, რომ დაგრჩა კიდევ რაღაც სათქმელი.

### **ოლბენი**

ნურას იტყვი, უფრო საშინელს. არ შემიძლია. ვერ მოგისმენ. ცრემლს ვერ ვიკავებ!

### **ელგარი**

ზოგჯერ გგონია, რომ დამთავრდა, ზღვარს მიაღწევი. ისე უსაზღვრო, როგორც განცდა სიყვარულისა, არის რაიმე? გადაფარავს მწუხარებასაც. ზღვარს არ ჰქონია თურმე ზღვარი. ის არ არსებობს. მამას ხმამაღლა დავტიროდი. ამ დროს მოვიდა ერთი უცნობი, რომელიც ადრეც შემხვედრია, როცა ძონძებში გამოხვეულს, ზიზლით მიცქერდნენ, ახლა შეიტყო, ვინ ვიყავი. მორთო ბლავილი, შეჰკლავდა თითქოს ზეცას. მერე მომხვია რკინის მკლავები. გადაემხო ისიც მამაჩემს, თან მიაბობდა გაუგონარ, სევდიან ამბავს, მეფე ლირთან რაც მას გადახდა. როცა ყვებოდა, თანდათან თითქოს უწყდებოდა სიცოცხლის ძარღვი. ამ დროს მებუკემ უკვე ორჯერ მისცა ნიშანი. რა უნდა მექნა, იქ დავტოვე, თითქმის უგონოდ.

### **ოლბენი**

ის ვილა იყო?

### **ელგარი**

კენტრი იყო. უსამართლოდ გაძევებული!  
თავის მტერ მეფეს უკან გაჰყვა, გვერდით დაუდგა.  
*შემორბის დიდებული, სისხლიანი დანით ხელში*

**დიდებული**

გვიშველეთ! ჩქარა, მოგვეშველეთ!

**ელგარი**

რა ამბავია?

**ოლბენი**

დროზე, გვითხარი!

**ელგარი**

სისხლიანი დანა რატომ გაქვს?

**დიდებული**

სისხლი ვერ ისევ თბილი არის, ორთქლიც კი ასდის!  
პირდაპირ გულში ჰქონდა დანა. მოკვდა!

**ოლბენი**

ვინ მოკვდა?

**დიდებული**

თქვენი მუელლე. თქვა, ჩემი და მე მოვწამლეო.

**ემუნდი**

ორივე დაზე დანიშნული ვარ. აწი უკვე  
ჩვენ სამივე ერთად ვიქნებით!

**ელგარი**

კენტი მოვიდა!

**ოლბენი**

გინდ მკვლარი იყვენ, გინდ ცოცხალი, აქ მოასვენეთ.

*დიდებული ვადის*

თავზე დაატყდათ ზეცის რისხვა უსამინლესი,  
მაგრამ სიბრალოლს არ განვიცდი.

*შემოდის კენტი*

კენტი მობრძანდა.

შესაფერისი დრო რომ იყოს, დიდი პატივით  
დაგხვდებოდით.

## კენტი

მივულოცო მშვიდობის ღამე  
მინდა ჩემს მეფეს. მას ვერ ვხედავ, აქ არ ბრძანდება?

## ოლბენი

რა ღაგვემართა, მეფე ყველას გადაგვავიწყდა.  
ელმუნდ, სად არის მეფე ლირი და კორდილია?

*კონურელი და რივანი შემოაქვთ*

კენტ, მათ შეხედეთ!

## კენტი

ეს რა ხდება? რა ამბავია?

## ელმუნდი

თურმე ელმუნდიც ჰყვარებია ვილაცას მართლა.  
ჩემი გულისთვის დამ და მოკლა. თავიც მოიკლა.  
მე ვყვარებივარ!

## ოლბენი

ასე იყოს. გადააფარეთ!

## ელმუნდი

ეს საქციელი არ მჩვევია, მაგრამ ვკვდები და,  
იქნებ მოვასწრო, გავაკეთო კეთილი საქმე.  
ახლავე ვინმე გააგ ზავნეთ საპყრობილეში.  
წადით სასწრაფოდ, დროს ნუ კარგავთ. ნაბრძანები მაქვს  
ორივე მოკლან, მეფე ლირიც და კორდილიაც,  
არ ღაგვიანდეს, უნდა იჩქაროთ.

## ოლბენი

ჩქარა! ჩქარა!

## ელგარი

ვის დაავალე? ვის უბრძანე? რამე ნიშანი  
არ ღაგვჭირდება?

## ელმუნდი

ეგ მართალია. ჩემი ხმალი უნდა წაიღოთ.  
კაპიტანს მისცენ.



## ელგარი

ხომ გაიგე, უნდა იჩქარო!  
*შეკრიკი გადის*

## ელმუნდი

თქვენმა მეუღლემ, ჩემთან ერთად გასცა ბრძანება,  
რომ კორდილია ჩამოეხრჩოთ ციხის საკანში,  
ვითომდა თვითონ, სიმწრისაგან, თავი მოიკლა.

## ოლბენი

ღმერთო, უშველე! მოაშორეთ ესეც აქედან!

*ელმუნდი გააქვთ*

*შემოდის ლირი. მკლავებზე მკვდარი კორდილია ჰყავს.  
უკან ამალა შემოჰყვება*

## ლირი

*ხმამღლა ბლავის, თითქოს ყმუის*  
ხალხო, ვინა ხართ! ქვად იქეცით, ნუთუ ყველანი!  
ამდენი ენა მე რომ მქონდეს, ამდენი თვალი,  
ჩემი გოდება გაარღვევდა ზეცის კარიბჭეს.  
ის აღარ არის! საშუალოდ წავიდა ჩემგან!  
მკვდარია, მკვდარი! როგორც მთელი ჩვენი სამყარო.  
სარკე მათხოვეთ. თუ დაორთქლავს თავისი სუნთქვით,  
ცოცხალი არის.

## კენტბი

ეს ყოფილა, განკითხვის ჟამი!

## ელგარი

უფრო სასტიკი ვერ იქნება!

## ოლბენი

აღსასრულია!

## ლირი

მგონი შეირხა. ცოცხალია. იღონდაც შენ ხმა  
კვლავ გამაგონე, ყველა ტკივილს დავივიწყებდი,  
რაც კი ოდესმე განმიცდია.

**კენტი**

ჩემო ბატონო!

**ლირი**

ვინ ხარ, გამშორდი!

**ელგარი**

კენტი გახლავთ, თქვენი ერთგული.

**ლირი**

ჭირს წაუღიხართ! თქვე მკვლელებო! მოღალატენო,  
ვერ დავიცავი! სამუდამოდ დამტოვა მარტო!  
კორდილია, დარჩი ჩემთან, ცოტა ხანს კიდევ.  
რამე მითხარი? ხმა ჰქონდა სულ მშვიდი და წყნარი.  
და რა კარგია, როცა ქალი ასე საუბრობს.  
ვინც ჩამოგახრჩო, ამ ხელებით მოგკალი იგი.

**დიდებული**

ჰომართალს ამბობს ბატონებო.

**ლირი**

არ იყო ასე?

ხმაღს რომ ვიქნევი, მახსოვს ის დრო, ყველა გარბოდა.  
ახლა დავბერდი. დამასუსტა ამდენმა ტანჯვამ.  
კარგად ვერ ვხედავ. შენ ვინა ხარ? კენტს მიგამგვანე!

**კენტი**

თუ ვინმე სძულდა და უყვარდა ბედს ერთდროულად,  
სწორედ ეს არის!

**ლირი**

შენ კენტი ხარ, თუ მეჩვენება?

**კენტი**

სწორედ ისა ვარ, თქვენი კენტი. თქვენი კაიუს!

**ღირი**

რა მშვენიერი ვინმე იყო. ერთი გენახათ,  
როგორ იბრძოდა! კენტი მოკვდა! მიწაში ლპება.

**კენტი**

არა ბატონო. მართლა მე ვარ!

**ღირი**

ასე ყოფილა.

**კენტი**

არ მიგატოვებ, მეც თქვენს ტანჯვას ვიზიარებდი.  
გვერდით ვიყავი.

**ღირი**

კეთილი იყოს შენი მოსვლა.

**კენტი**

ნუთუ რაიმეს შეიძლება კეთილი ერქვას!  
გარშემო მხოლოდ წყვილია, შავი და ბნელი.  
თქვენი უფროსი ქალიშვილებიც – ორივე მოკვდა!  
განინადგურეს თვითონ თავი.

**ღირი**

მეც ასე ვფიქრობ.

**ოლბენი**

ალბათ არც ესმის, თუ რას ამბობს. არა მგონია,  
ვინმე, აქ მყოფი, ეცნობოდეს.

**ელგარი**

როგორც ეტყობა.  
*შემოდის მაცნე*

**მაცნე**

ელმუნდი მოკვდა.

**ოლბენი**

ელმუნდისთვის ვილას სცალია.

დიდებულებო, ბატონებო! გვსურს ნება გამცნოთ:  
შევუმსუბუქებთ, რითაც შევძლებთ, ჩვენს მეფეს ტანჯვას.  
ყველაფერი მას უბრუნდება! ჩვენ გადავდგებით.  
ამ დიდებულ, მოხუც მეფეს, არ მოაკლდება  
პატივისცემა სიკვდილამდე!

*ელგარს და კენტს*

თქვენ, ბატონებო,

თქვენს ტიტულებსაც დაგიბრუნებთ და ზედ დავურთავ  
უფრო მეტ ხარისხს, მეტ უფლებას ერთგულებისთვის!  
ყველა სიკეთე დაფასდება. ბოროტებასაც  
უნდა მივაგოთ საკადრისი. ერთი შეხედეთ!

**ღირი**

ჩემი მასხარა ჩამოახრჩვეს? ის აღარ არის?  
ხომ აქვს უფლება ძალღს, ცხენს, ვირთხას, იყოს ცოცხალი,  
შენ რატომ არ გაქვს? ვეღარ გნახავ, ვეღარასოდეს.  
ვეღარასოდეს! ვეღარასოდეს! ვეღარასოდეს!  
ვინმემ ეს ღილი შემიხსენით. გმადლობთ, ბატონო.  
ხედავთ რა ხდება?! მას შეხედეთ. ბაგეს უცქირეთ.  
შეხედეთ, ნახეთ.

*კვდება*

**ელგარი**

მილორდ, მილორდ! გრძნობა დაკარგა.

**კენტი**

რას ელოდები, გასკდი, გულო!

**ელგარი**

შემხედეთ, მილორდ!

**კენტი**

ნუღარ აწუხებთ მეტად მის სულის! მშვიდად წავიდე.  
ნუთუ არ ეყო რაც იტანჯა ამ დაუნდობელ  
წუთისოფელში.

**ელგარი**

ჰო, წავიდა. გარდაიცვალა.

### **კენტი**

საოცარია, ამდენ ტანჯვას როგორ გაუძლო.  
რა ძალა ჰქონდა!

### **ოლბენი**

გავასვენოთ გარდაცვლილები.  
საყოველთაო გემართებს გლოვა და მწუნარება!  
*კენტს და ეღვარს*  
უნდა აიღოთ მმართველობა, ჩემო ერთგულნო!  
სისხლში ჩაძირულ ამ ქვეყანას, მოვლა სჭირდება.

### **კენტი**

მე გზას ვადგავარ. მივდივარ, სერ. უნდა წავიდე.  
მეფე მეძახის, უარის თქმა არ შემიძლია.

### **ეღვარი**

ღროის სიმძიმეს გაუუძელით, გადავიტანეთ.  
ახლა კი კარგად გავიაზროთ, რა დაგვემართა.  
რაც თავს დაატყდა და სადამდეც ამან იცოცნლა,  
ჩვენ, ახალგაზრდებს, არ მოგვიწევს ამის გამოცდა.

*გადიან. სამკლოვიარო მარში*